საჯარო ბიბლიოთეკა

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— დაიხურა კომკავშირის საკავშირო ყრილობა.
— გერმანიის მთავრობის პარტიებმა მოიწონეს შტრეზემანის პოლიტიკა ჟენევაში.
— საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ მოიწონა დუმერ—პერეს საფინანსო პროექტი.
— ფრანგებმა ალექსანდრეტას „დამოუკიდებლობა“ გამოაცხადეს.
— ყოფ. იმპერატორ ვილჰელმს მისცეს შვეიცარიაში გადასახლების უფლება.

ოთხშაბათი, 24 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 65 (1520)

საბჭოთა სამაზრო ყრილობების გამო

თემსაბჭოების არჩევნები თითქმის ყველგან დამთავრდა. ჯერი მიდგა საბჭოთა სამაზრო ყრილობებზე. მთელ რიგ მაზრებში უკვე მიმდინარეობს ამხანად ასეთი ყრილობები. ზოგან კი გაცხოველებული სამზადისია სამაზრო ყრილობებისათვის.

მართალია თემსაბჭოების არჩევნები წელს გაცილებით წარმატებით ჩატარდა და ძირითად საბჭოთა ორგანოებში შედარებით უკეთ მომზადებული, მშრომელ გლეხობის ნდობით აღჭურვილი პირები მოჰყვენ, მაგრამ, რომ საბჭოთა აღმშენებლობა შეუფერხებლათ და დაუბრკოლებლათ წავიდეს წინ, ამისათვის საჭიროა თემსაბჭოების მუშაობის სათანადოთ ხელმძღვანელობა და ამ მუშაობის, როგორც ურთიერთშორის, ისე საერთო პარტიულ და ხელისუფლების ხაზთან შეთანხმება.

ეს ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრება სამაზრო საბჭოებს და უმთავრესად მათ აღმასრულებელ კომიტეტებს. ამიტომ იმაზე, თუ რამდენათ საქმიან და ნდობით აღჭურვილ პირებისაგან იქნება არჩეული სამაზრო აღმასკომი, ბევრათაა დამოკიდებული უახლოესი წლის განმავლობაში მაზრის ეკონომიური და კულტურული წინმსვლელობა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ საერთო ნივთიერ ხელმოკლეობის პირობებში, როცა მაზრა ჩაყენებულია ხარჯთაღრიცხვის განსაზღვრულ ვიწრო ჩარჩოებში, საჭიროა მართლაც გამოცდილი და საქმის კარგათ მცოდნე ხელი, რომ უმტკივნეულოთ წარმართოს სოფლად სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული მუშაობა.

ამიტომ, ახალი სამაზრო აღმასკომების არჩევნების დროს, მტკიცედ უნდა იქნას დაცული არჩევნების დემოკრატიული წესი. ის ხაზი, რომელიც აიღო პარტიამ და ხელისუფლებამ თემსაბჭოების არჩევნების ჩასატარებლათ, აქაც უნდა იქნას გადმოტანილი და უკლებლივ უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში.

მართალია, ჩვენ არც ისე მდიდარი ვართ მომზადებული და გამოცდილების მქონე მუშაკებით, მაგრამ ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ განვლილი 5 წლის განმავლობაში, ბევრგან უკვე აღიზარდა და გაიწვრთნა მშრომელ გლეხთა წრეებიდან გამოსული ახალი საბჭოთა მუშაკები. საჭიროა ამ გარემოებას სათანადო ანგარიში გაეწიოს სამაზრო ხელმძღვანელ საბჭოთა ორგანოების; კანდიდატთა შერჩევის დროს და ამ ორგანოების მუშაობაში ჩაბმულ იქნას ისეთი პირები, რომელთაც სავსებით დაიმსახურეს თავის წარსული მუშაობით და რევოლიუციის ინტერესებისადმი ერთგულებით მშრომელი გლეხობის ნდობა.

ეს აუცილებელია, როგორც თვით სამაზრო საბჭოთა ორგანოების ავტორიტეტისათვის ფართე მშრომელი მასის თვალში, ისე მაზრის ხელმძღვანელ ორგანოების მუშაობის გამოცოცხლება - გაუმჯობესებისათვის.

გარდა ამისა, საბჭოთა სამაზრო ყრილობებზე, ისე როგორც ეს ხდებოდა სათემო არჩევნებზე, დელეგატებს სრული საშუალება უნდა მიეცეთ თავისუფალი და საქმიანი კრიტიკით გამოვიდნენ აღმასკომების წარსულ მუშაობის შეფასებაში.

სამაზრო ყრილობები უთუოდ შეჩერდებიან, როგორც არსებულ ნაკლულოვანებებზე მაზრაღმასკომის მუშაობაში, ისე იმ გადაუდებელ ამოცანებზე, რომელნიც უნდა დაისვან მაზრის ხელისუფლების წინაშე დამდეგ საანგარიშო წლის განმავლობაში. აქ უთუოდ საჭიროა ერთგვარ ზომიერების გამოჩენა. მომავალ სამუშაო გეგმის არსებულ შესაძლებლობასთან შეფარდება და ისეთი ამოცანების დასახვა, რომელთა მოგვარებასაც მართლაც შესძლებს სამაზრო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი.

თემსაბჭოების არჩევნები ღირსეულათ ჩაატარა ძირითადმა პარტიულ და ხელისუფლების ორგანოებმა. არჩევნების ირგვლივ დაირაზმა მშრომელი და ღარიბი გლეხობა. სოფლის მოსახლეობის აქტივობის ზრდა, როგორც თემსაბჭოების არჩევნებმა დაგვანახვა, მშრომელთა ხელისუფლების განმტკიცება - გამაგრებისაკენ იქნა მიმართული.

ამხანად სწარმოებს სამაზრო საბჭოების ყრილობები. ჩვენ გვჯერა, რომ პარტია და ხელისუფლება აქაც გამარჯვებული გამოვა არჩევნებიდან და კომპარტიის მე-14 ყრილობის რეზოლიუციები ღარიბ და საშუალო გლეხთა შეკავშირების, სოფლის კულტურულ და ეკონომიურად დაწინაურების საქმეში, სამაზრო ყრილობების მუშაობაშიაც ჰპოვებს თავის გამოხატულებას.

ბრძოლა მფლანგველობასთან

თანამდებობრივი ბოროტმოქმედებები და მფლანგველობა სამეურნეო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ არის მთლიანად აღმოფხვრილი. განსაკუთრებით დასჩემდა ეს სენი კოოპერატივებს. ჩვენს ორგანოებში აქა-იქ შემძვრალი არიან ბნელი ელემენტები, რომელნიც არავითარ საშუალებას არ თაკილობენ პირადი გამორჩენის მიზნით. ხშირად ისინი მოხერხებულად იხვეჭენ დაწესებულებათა ხელმძღვანელების ნდობას, როგორც „საქმის მცოდნე და პატიოსანი“ პირები და ამით უხვად სარგებლობენ თავისი უძირო ჯიბის გასავსებად. სახელმწიფოსათვის საზარალო ხელშეკრულებათა განზრახ დადება და ასეთივე ოპერაციების წარმოება, ანგარიშ ქვეშ გაცემულ თანხების ხანგრძლივი გაჩერება და კერძო საქმეებში დაბანდება, ყალბი საბუთების შედგენა და ამ გზით ფულების მითვისება, პირდაპირი მფლანგველობა და მრავალი სხვა—აი ამ ბოროტმოქმედთა და კომბინატორების „მოღვაწეობის“ შინაარსი.

აურაცხელია ის ნივთიერი ზარალი, რომელსაც ეს არამზადები აყენებენ მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მოსახლეობას. გარდა ამისა, მფლანგველობა სახელს უტეხს ხალხის თვალში კოოპერატივებს და სამეურნეო ორგანოებს და ჰბადებს უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ეს ბოროტმოქმედება არა ნაკლებ მავნეა, ვინემ პოლიტიკური კონტრრევოლიუცია.

დაუზოგველი ბრძოლა მფლანგველობასთან და მფლანგველებთან დგას და კიდევ კარგა ხანს იდგომება ჩვენს წინაშე. რა ზომები უნდა მივიღოთ ამ სენის მოსასპობად? აქ პირველ რიგში დგას ჩვენი აპარატის **გაჯანსაღების** საკითხი. მისი შემადგენლობის შერჩევა უნდა ხდებოდეს დიდი დაკვირვებით; იქიდან რკინის ცოცხით უნდა გამოვდევნოთ საეჭვო და მერყევი ელემენტები.

დიდი მნიშვნელობა აქვს თანამდებობაზე ახლად მისაღებ პირის **ვინაობის და წარსულის გამორკვევას.** არის შემთხვევები, როცა ერთ დაწესებულებაში რომელიმე თანამშრომელმა ჩაიდინა ბოროტმოქმედება და ამისათვის დათხოვნილ იქნა, გაიხედავ და ცოტა ხნის შემდეგ იგი წამოხტუნებულა, ისიც არა იშვიათად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სხვა ორგანოში, სადაც განაგრძობს თავის ძველ „ხელობას“. ასეთი მოვლენები ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქნეს აღმოფხვრილი.

ამასთან დაკავშირებით ბოლო უნდა მოეღოს **„ნათლი-მამობას“, პროტექციებს**, რაც ასე გავრცელებულია ჩვენში. პროტექციების საშუალებით არა ერთი და ორი გამოუსადეგარი და საეჭვო ადამიანი ეწყობა სამსახურში.

გაფლანგვათა სიხშირე ხიხსნება აგრეთვე **კანტროლის სისუსტით.** ინსპექციამ, დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, სარევიზიო კომისიებმა და თვით მასამ ფხიზელი თვალყური უნდა ადევნონ იმ პირებს, რომელნიც სამეურნეო ოპერაციებს აწარმოებენ და დაწესებულებათა თანხებს ატრიალებენ. სხვათა შორის, ყურადღება უნდა მიექცეს ბუჰგალტერიის კარგად დაყენებას.

მცირე მნიშვნელობა არა აქვს **მუშა და გლეხ კორესპონდენტების** მამხილებელ წერილებს. მათ დიდი დამსახურება მიუძღვით ბოროტმოქმედებათა გამოაშკარავებაში და ამ მიმართულებით შემდეგშიც უნდა განაგრძონ მუშაობა.

ბოროტმომქმედთა წინაალმდეგ **უსასტიკესი** ზომები უნდა იქნას მიღებული. დღეს, როცა ლოზუნგად გვაქვს გამოცხადებული უკიდურესი მომჭირნეობის დაცვა ყველაფერში და ხარჯების მაქსიმალური შემცირება, როცა ბრძოლა სწარმოებს თვითეული საბჭოთა კაპეიკისათვის,—ოდნავ რბილი მოპყრობა სახალხო სიმდიდრის მიმთვისებლებისა და მფლანგველების მიმართ მიუტევებელი დანაშაულობაა.

სასამართლოებში ასეთი კატეგორიის დანაშაულებანი უნდა გაირჩეს **სასწრაფოდ, რიგს გარეშე.** გლეხობა სამართლიანად სჩივის, რომ კოოპერატიულ ქონების მფლანგველთა საქმეები თვეობით ჭიანურდება. მიზანშეწონილია აგრეთვე მოეწყოს **საჩვენებელი** გასამართლება.

საბჭოთა ხელისუფლება კიდევ იღებს საჭირო ზომებს მფლანგველთა წინაალმდეგ. ამის ერთ ნიმუშს დღეს გაეცნობა მკითხველი. წარმოკავშირში მოკალათებულმა მპარცველთა ბანდამ უკვე მიიღო ღირსეული სასჯელი.

და ეჭვი არ არის, რომ ხელისუფლების და მასსის გაერთიანებული ღონისძიებებით ბოლო მოეღება ბოროტმოქმედებას და მფლანგველობას ჩვენს ორგანოებში.

რეაქციის გაძლიერება ჩინეთში

დუან-ძი-ჯუი სტუდენტების და რადიკალურ ინტელიგენციის ალაგმვას მოითხოვს

პეკინის სტუდენტები, პროფესორები და სახალხო არმიელები მთავრობის გადადგომას მოითხოვენ

სახალხო არმიების საზაო პირობები.—ტაკუს ინციდენტი მოგვარებულია.

პრესა 18 მარტის დემონსტრაციის შესახებ

პეკინი, 22 მარტი. მიუხედავათ იმისა, რომ ხელისუფლებამ სასტიკად აკრძალა უკმაყოფილების გამოხატვა პეკინში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის გამო, მთელი პრესა მკაცრი კილოთი ეხება 18 მარტის ამბებს და მოითხოვს საქმის გამოძიებას. გაზეთებს არ სჯერათ ოფიციალური ცნობების სისწორე და ყველა დუან-ცზი-ჟუის სდებენ ბრალს.

როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, თითქოს დემონსტრანტებმა ნავთს ასხამდნენ კედლებს და ბომბებს ისროდნენ, რადგან არც ცეცხლის გაჩენის და არც აფეთქების შემთხვევა არ ყოფილა.

გაზეთი „ჩინ-ბაო“, პროფესორთა და ინტელიგენტურ წრეების ორგანო, მოითხოვს დაარსებულ იქნეს კომისია, რომელშიაც შევლენ სამოქალაქო, სამხედრო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები; კომისიამ უნდა გამოიძიოს საქმე და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველგვარ სინდისს და რომელთაც კაბინეტი მხოლოდ იმისთვის შეადგინეს, რომ თბილი ადგილები მისცენ თავიანთ მეგობრებს. თავისი ძლიერების გამოსაჩენად მათ მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება ნახეს—მკვლელობა. მთავრობა სროლას არ უნდა უტეხდეს ხალხს, რომელიც იკრიბება პროტესტის გამოსათქმელად იმპერიალისტების წინაალმდეგ. გაზეთი სასაცილოდ იღებს ოფიციალურ განმარტებას და მოითხოვს მთავრობის გადადგომას, რადგან, წინაალმდეგ შემთხვევაში, „ხალხის მრისხანება კიდევ უფრო გაძლიერდება და ნაკუწებად აქცევს მთავრობის წევრებს“.

სახალხო არმიების ხმა.

პეკინი, 22 მარტი. ჩინეთის პრესა იტყობინება, რომ ტიან-ცზინის სახალხო არმიების სარდლებმა—გენერლებმა ლი-ლინ-ჩუნმა და ფან-შენტოემ შემდეგი დეპეშა გამოგზავნეს 18 მარტის ამბების გამო:

„ჩვენ მივიღეთ შემაძრწუნებელი ცნობები მთავრობის მიერ პატრიოტულად განწყობილ მასების ამოჟლეტის შესახებ. ჩვენ არ შეგვიძლია აღშფოთება არ გამოვსთქვათ. **საჭიროა მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები. ძირიან-ფესვიანად უნდა შეიცვალოს მთავრობის შემადგენლობა, დაპატიმრებული და დასჯილი უნდა იქნეს ამ საზიზღარი ბოროტმოქმედების ჩამდენნი. ჩვენი არმიები ხალხის მხარეზე არიან. ჩვენ უნდა დავიცვათ ის პოზიცია, რომელიც ხალხს უპირავს“.**

1-ლი სახალხო არმიის უკან დახევა.

პეკინი, 22 მარტი. მრავალრიცხოვანი მტრისთვის სასტიკი წინაალმდეგობის გაწევის შემდეგ, პირველი სახალხო არმიის სარდლობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სამხედრო მოქმედების გაგრძელება სავსებით გაანადგურებს არმიას და საბოლოოდ ხელფეხს გაუხსნის რეაქციას.

ამიტომ პირველ სახალხო არმიის სარდლობამ გადასწყვიტა უკან დაიხიოს წინანდელ პოზიციებისაკენ, რათა გადაარჩინოს არმიის ცოცხალი ძალა.

გარდა აღნიშნულ მოსაზრებისა, ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევია შემდეგი გარემოებით: პირველ სახალხო არმიის ჯარები ფაქტიურად ალყაშემორტყმული იყვნენ მოწინაალმდეგე ჯარებით; მეორე და მესამე სახალხო არმიები ხო-ნანის პროვინციაში დამარცხების შემდეგ რეალურ მებრძოლ ძალას აღარ წარმოადგენდენ. მიუხედავად იმისა, რომ ტიან-ცზინის სამხრეთით პირველი სახალხო არმია წარმატებით იბრძოდა, ლი-ჩინ-ლინის ჯარები ჩჟილის პროვინციაში და ჩჟან-ცზუნ-ჩანის ძალები შან-დუნის პროვინციაში განაგრძობდენ სასტიკ წინაალმდეგობას.

ყოველივე ეს გარემოებანი მოითხოვდენ ხანგრძლივ სომარ მოქმედებას, რაც გაანადგურებდა არმიის ცოცხალ ძალას. ამიტომ პირველმა სახალხო არმიამ გადასწყვიტა უკან დახევა ტიან-ცზინიდან და სხვა ფრონტებიდან პეკინის მიდამოებში და ჩრდილოეთ-დასავლეთით.

საზავო პირობები.

პეკინი, 22 მარტი. პირველი სახალხო არმიის სარდლობის გადაწყვეტილებაზე საბოლოოდ გავლენა იქონია ყველა არმიების სარდლის მოწოდებამ, რომელიც გამოაქვეყნეს გენერლებმა ვან-ში-ცზენმა და სუნ-ვაო-ნიმ.

მოწოდება მოითხოვს ზავის ჩამოგდებას შემდეგ პირობებში: ჩჟილის პროვინცია პეკინითურთ და ჟეხოლის ოლქი საბუფერო ტერიტორიად ჩაითვლება მებრძოლ მხარეებს შორის; ამ ტერიტორიის სამოქალაქო ხელისუფლებას შეადგენს ცენტრალური მთავრობა სამხედრო ჯგუფების წინამძღოლთა ჩაურევლად; პირველი სახალხო არმია უკან იხევს ჩრდილოეთ-დასავლეთის პროვინციებისაკენ ამ მხარის მიწების დასამუშავებლად; მეორე სახალხო არმიის ჯარისკაცები, შენ-სის პროვინციის მცხოვრებლები, ბრუნდებიან თავ-თავიანთ სახლში; ყველა მებრძოლი არმიები რჩებიან ეხლანდელ პოზიციებზე საზავო კონფერენციამდე; საზავო კონფერენციას უნდა დაესწრონ მუშების, გლეხების, მასწავლებლობის და ვაჭრების წარმომადგენლები.

პირველი სახალხო არმიის სარდლობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც თანახმა ჩამოაგდოს ზავი ზემოდ ჩამოთვლილ პირობებში.

პირველი სახალხო არმიის ჯარებმა უკან დაიხიეს სრული წესრიგით ისე, რომ არც ერთი ჯარისკაცი არ დაუკარგავთ.

მუკდენელები არ გამოეხმაურენ მოწოდებას ზავისაკენ.

პეკინი, 22 მარტი. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სახალხო არმიის სარდლობა დათანხმდა ზემოდ ჩამოთვლილ პირობებს, მუკდენელები დღემდე არ გამოხმაურებიან საზავო მოწოდებას და განაგრძობენ წინსვლას ტიან-ცზინისაკენ, რომელიც, შესაძლოა, მათ უკვე დაკავებულიც აქვთ.

რეაქციამ თავი წამოჰყო.

პეკინი, 22 მარტი. ფრონტებზე მდგომარეობის შეცვლამ, რომელიც ამ უკანასკნელ დროს მოხდა, გაათამამა რეაქციური ელემენტები: მათ აშკარად წამოჰყვეს თავი პეკინის დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ.

იტყობინებიან, რომ დუან-ცზი-ჩჟუიმ, რომელმაც ფინ-იუი-სიანს უფლება მისცა აწარმოოს კამპანია უ-პეი-ფუს წინაალმდეგ, უკმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ შეუძლებელი ხდება სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, რადგან სტუდენტები და რადიკალური ელემენტები არავითარ დისციპლინას არ ემორჩილებიან. ირკვევა, რომ ამის თქმა დუან-ცზი-ჩჟუის დასჭირდა იმისათვის, რომ სახალხო არმიების ზოგიერთი პოლიტიკური გამოუცდელი წინამძღოლი გამოიყენოს რეაქციის ინტერესების დასაცავად და სახელი გაუტეხოს სახალხო არმიას.

დუან-ცზი-ჩჟუის ამ განცხადების საპასუხოდ, პირველი სახალხო არმიის სარდალის თანამდებობის შემსრულებელმა ჯან-ში-ძიანმა გაუგზავნა მას დეპეშა, რომელიც შედგენილია ტრადიციული ჩინური ცერემონიის სტილით. ამ დეპეშაში ჯან-ში-ძიანი ლაპარაკობს, რომ საჭიროა უფროსებს დაუჯეროთო, უკმაყოფილებას გამოსთქვამს სტუდენტების საქციელის გამო, და წინადადებას აძლევს დუან-ცზი-ჩჟუის ზომები მიიღოს ზოგიერთ სტუდენტის ალაგმვად.

რეაქციის დროებითი გაძლიერება მოსალოდნელია, მიუხედავად იმისა—დარჩება სახალხო არმია პეკინში, თუ არა.

ამასთანავე ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ნაციონალურმა მუშათა მოძრაობამ ღრმად გაიდგა ფესვები. დროებით გაძლიერებული რეაქცია ვერ შესძლებს ნაციონალური მოძრაობის ჩაქრობას.

პროტესტები პეკინის დემონსტრანტების დახვრეტის გამო.

პეკინი, 22 მარტი. ჩინეთის ყოველი კუთხიდან მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები პეკინში პროტესტებს გზავნიან დემონსტრაციის დახვრეტის გამო.

20 მარტს ტიან-ცზინში შესდგა მიტინგი, რომელსაც 20.000 კაცი დაესწრო. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს დუან-ცზი-ჩჟუის მთავრობის დამხობას და ახალი მთავრობის შედგენას; რეზოლიუცია მოუწოდებს სახალხო არმიის სარდლობას დააპატიმრონ და სიკვდილით დასაჯონ დუან-ცზი-ჩჟუი და პრემიერი ჩია-ტე-იაო, რომელნიც დამნაშავენი არიან დემონსტრაციის დახვრეტაში და მოითხოვს მსხვერპლთა დასაფლავებას სახელმწიფოს ხარჯზე. დასასრულ რეზოლიუცია მოითხოვს ჩინეთიდან იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლების გაძევებას, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბოქსიორთა ოქმს.

შანხაიდან მთელი ქვეყნის ყოველ კუთხეში დაგზავნილია ცირკულიარული დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია პროტესტი მშვიდობიანი დემონსტრაციის მხეცურად ამოჟლეტის გამო.

მრავალრიცხოვანი საპროტესტო დეპეშებია მიღებული აგრეთვე გომინდანის პროვინციალურ კომიტეტებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან.

რკინისგზელების ფედერაციამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდება: „ხალხმა შური უნდა იძიოს ამ შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედების გამო“.

სუნ-იატ-სენის საფლავის გვერდით.

პეკინი, 22 მარტი. პეკინის სტუდენტთა კავშირმა დაარსა კომისია, რომელმაც ნებართვა უნდა მიიღოს მსხვერპლთათვის მასიური სამოქალაქო პანაშვიდის გადახდაზე. დაღუპულთა გვამები ჯერ ცენტრალურ ტაძარში უნდა ჩაამწკრივონ და შემდეგ ძმათა სასაფლაოზე დაასაფლავონ დასავლეთის გორაკებზე, სადაც სუნ-იატ-სენი არის დასაფლავებული.

ტაკუში მომხდარი ინციდენტი მოგვარებულია

პეკინი, 22 მარტი. როგორც სჩანს, ტაკუში მომხდარი ინციდენტი მოგვარებულია, თუმცა სამხედრო ხელისუფლების პასუხი უცხოეთის სახელმწიფოთა ულტიმატუმზე ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული. ალბად, სახალხო არმიის სარდლობამ სამხედრო ოპერაციების კრიტიკულ მომენტში გართულების თავიდან ასაცილებლად მიიღო უცხოეთის სახელმწიფოების წინადადება არ შეუშალოს ხელი გემების მიმოსვლას და დაიტოვოს გემებზე მყოფ ჩინელ მგზავრების გაჩხრეკის უფლება.

მიღებული ცნობების თანახმად, მუკდენის ფლოტილიის სარდალი თანახმაა შეასრულოს უცხოეთის სახელმწიფოთა მოთხოვნილებები, მაგრამ ჯერ კიდევ გამოურკვეველია, რა ხასიათის გარანტიებს აძლევს მათ.

ერთა ლიგის სესიის ჩაშლის შემდეგ

ჩემბერლენის დეკლარაცია

ლონდონი, 22 მარტი. ინგლისის კაბინეტმა მოისმინა ჩემბერლენის დეკლარაცია, რომელიც შეეხებოდა ჟენევაში გამართულ დებატებს. ეს დეკლარაცია გამოქვეყნებული იქნება ხვალ თემთა პალატაში.

გერმანიის მთავრობის პარტიების აზრი

ბერლინი, 22 მარტი. მთავრობის პარტიებმა შეიმუშავეს დადგენილება, რომელიც იწონებს გერმანიის დელეგაციის პოზიციას და მოქმედებას ჟენევაში. დადგენილების პროექტი დღეს შეტანილი იქნება რეიხსტაგში. როგორც დადგენილებაშია ნათქვამი, რეიხსტაგი მოელის, რომ მთავრობა მიიღებს ყოველგვარ ზომებს ლოკარნოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე შედეგების ცხოვრებაში გასატარებლად, განსაკუთრებით საოკუპაციო ტერიტორიების მიმართ.

საპარლამენტო წრეების ცნობით, სოციალ - დემოკრატები მოიწონებენ ამ დადგენილებას.

ბრიანი არ აძლევს მნიშვნელობას ხოუტონის განცხადებას

ლონდონი, 22 მარტი. ჟურნალისტებთან საუბარში ბრიანმა განაცხადა, **რომ არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს ხოუტონის განცხადებას.**

„ელჩებს — განაცხადა ბრიანმა— უფლება აქვთ გააკეთონ ყოველგვარი მოხსენება. ხოუტონის მოხსენება, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ შესცვლის საფრანგეთსა და ამერიკას შორის დამყარებულ ურთიერთობას“.

შტრეზემანი ჟენევის მარცხის შესახებ

ბერლინი, 22 მარტი. ვოლფის სააგენტო აქვეყნებს იმ სიტყვის შინაარსს, რომელიც შტრეზემანმა წარმოსთქვა რეიხსტაგში ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელი სესიის გამო.

შტრეზემანმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ დიადი იდეა ერთა ლიგის ყოვლის შემცველობისა, რომლის განხორციელებას გერმანიის ლიგაში შესვლა დააახლოვებდა, უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე ცალკე სახელმწიფოების ინტერესები.

შტრეზემანის აზრით, ერთა ლიგის მომხრეებს გერმანიის ლიგაში მიღებისათვის უპირატესობა უნდა მიეცეთ ყველა დანარჩენ საკითხებთან შედარებით.

„თავისთავად ცხადია, სთქვა შტრეზემანმა, რომ სესიის მონაწილეებმა ძლიერი კრიზისის წინაშე დააყენეს ერთა ლიგა, მაგრამ ჩვენ უნდა განვაგრძოთ ბრძოლა იმისათვის, რომ გერმანია ერთა ლიგაში სარგებლობდეს თანასწორი უფლებებით როგორც დიდი სახელმწიფო, თუნდაც ერთა ლიგა ახალ დიპლომატიურ იარაღს წარმოადგენდეს, რომლის შემწეობით კერძო ინტერესებს დაიცავენ. ლოკარნოს შედეგი გერმანიისათვის კერძო შეთანხმებას წარმოადგენს და ის სრულებით არ უარყოფს მეგობრულ ურთიერთობის აუცილებლობას და სასურველობას სხვა სახელმწიფოებთან.

მორალური და საქმიანი თვალსაზრისით ჩვენ დავსტოვეთ ჟენევა ისე, რომ არავითარი ზიანი არ მოგვსვლია. გერმანიის დელეგაციის მიზანი იყო არ დაეშვა ლოკარნოს პოლიტიკის ჩაშლა. უგუნურობა იქნებოდა პოლიტიკური ურთიერთობის განხორციელებაზე უარის თქმა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთა ლიგის მექანიზმმა ამჟამად უარი სთქვა ამუშავებაზე“.

კამათი რეიხსტაგში

ბერლინი, 22 მარტი. კამათმა, რომელიც შტრეზემანის სიტყვის შემდეგ გაიმართა, დიდი ინტერესი გამოიწვია რეიხსტაგში, იმისდამიუხედავად, რომ ცალკე პარტიების დამოკიდებულება წინდაწინვე გამორკვეული იყო და მთავრობამ უზრუნველყო წინანდელი საგარეო პოლიტიკის გაგრძელება მმართველ პარტიების და სოციალ - დემოკრატების ხმების შემწეობით.

ნაციონალისტები და ტევტონელები (ფაშისტები) ადგილებიდან ხშირად სიტყვას აწყვეტინებდენ შტრეზემანს.

გრაფ ვესტარპმა, ნაციონალისტების პირველმა ორატორმა, პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ შტრეზემანი შეეცადა სიტყვებით შეელამაზებინა ჟენევის მოლაპარაკების ჩაშლა. ვესტარპის აზრით, ერთა ლიგა გერმანიას არ მისცემს სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმების საშუალებას, რადგან მისი დანიშნულებაა გერმანია მორჩილებაში იყოლიოს.

გამოძახილი გერმანიაში.

ბერლინი, 22 მარტი. ჟენევის მოლაპარაკების ჩაშლამ განაახლა დისკუსია, რომელიც შეეხება გერმანიის მიერ ლოკარნოს პოლიტიკის გაგრძელების საკითხს. ამის გამო გაძლიერდა უთანხმოება სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის გერმანიის მუშათა კლასის საგარეო პოლიტიკის საკითხში.

სოციალ - დემოკრატიული „ფორვერტს“-ი იცავს ლოკარნოს პოლიტიკას, მიმართავს მისთვის ჩვეულ დემაგოგიურ ხერხს და მიუთითებს მოჩვენებით კომუნისტურ და ნაციონალისტურ ერთიან ფრონტზე, „რომელიც მიმართულია ევროპის მუშათა მოძრაობის ბელადების პოლიტიკის წინაალმდეგ“, ერთა ლიგას რომ უჭერენ მხარს.

კომუნისტური „როტე ფანე“ მოუწოდებს მუშებს ქარხნებში გამართულ კრებებზე განიხილონ საკითხი—შესაძლებელია თუ არა, რომ ლიუტერის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვაგვარად გაგებამ გათიშოს მუშათა კლასი იმ გამოცდილების შემდეგ, რომელიც ჟენევამ მოგვცა. ისევე, როგორც ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების კონფისკაციის სასარგებლო კამპანიის დროს, სოციალ-დემოკრატიული მასები ზეგავლენას ახდენდენ თავიანთ ბელადებზე, ეხლაც ამ მასებმა უნდა აიძულონ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელი აიღოს ლიუტერის მთავრობის დახმარებაზე და მოითხოვოს რეიხსტაგის დათხოვნა.

ჟენევა და ვარშავა.

ვარშავა, 22 მარტი. ჟურნალისტებთან საუბრის დროს პრემიერმა სკშინსკიმ განაცხადა, რომ ერთა ლიგის უკანასკნელ სესიას გერმანიისათვის არა სასიამოვნო შედეგები მოჰყვა: ცხადი გახდა, რომ ლიგის საბჭოს წევრთა უმრავლესობა აუცილებლად სთვლის გერმანიასთან ერთად პოლონეთის შეყვანას ლიგის საბჭოში, ლოკარნოს შედეგების შესანარჩუნებლად. სკშინსკის აზრით, ამას მოწმობს პოლონეთისათვის ადგილის დათმობა იმ კომისიაში, რომელმაც უნდა შეიმუშავოს თეზისები ლიგის საბჭოს სტრუქტურის შეცვლის შესახებ და წარუდგინოს სექტემბრის სესიას.

შეკითხვაზე, რამდენად მართალია ხმები, რომ თუ პოლონეთის მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი დარჩა, უკანასკნელი საბჭოთა კავშირისაკენ იბრუნებდა პირს. სკშინსკიმ უპასუხა: „ჟენევა ვერ შესცვლიდა პოლონეთის პოლიტიკას“.

საბჭოთა პრესა

მთავარი ღონისძიებანი

მე-14 პარტყრილობამ აიღო მტკიცე გეზი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს წარმოების უზრუნველყოფა კვალიფიციურ მუშა-ხელით. უკვე დღესაც მეტად აფერხებს საბჭოთა მრეწველობის განვითარებას დახელოვნებულ მუშების და ტეხნიკურ პერსონალის ნაკლებობა. ეს უფრო საგრძნობი გახდება ახლო მომავალში, წარმოების გაფართოვებასა და მის ახალ ტეხნიკურ საფუძველზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

ამიტომ დღეს ასე დიდი ყურადღება ექცევა პროფესიულ-ტეხნიკურ განათლების საქმეს. კვალიფიკაციის საკითხს, სხვათა შორის, ჩვენც შევეხეთ გუშინ. საჭიროა ერთი მხრით ამჟამად ფაბრიკა-ქარხნებში დაბანდებულ მუშების გადამზადება, მეორე მხრივ კვალიფიკაციურ მუშების ახალი კადრების შექმნა. გაზ. „პრავდა“-ში ამავე საკითხს აშუქებს ამხ. ვ. ვორობიევი და მის გადასაჭრელად აყენებს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

„1. სისწორით განისაზღვროს მუშა-ხელის მოთხოვნილება ამა თუ იმ წარმოებისათვის ან სამეურნეო გაერთიანებისათვის. გამოყოფილ იქნეს პროფესიების ჯგუფი, რომელნიც მოითხოვენ ხანგრძლივ შესწავლას—1, 2 ან 3 წლის განმავლობაში, და დაწყებულ იქნეს რეალური მუშაობა კვალიფიციურ მუშების მომზადებისათვის წარმოების ნორმალურ განვითარების უზრუნველსაყოფად უახლოეს წლებში.

2. თანახმად საკ. კომპარტიის მე-14-ე პარტყრილობის დადგენილებისა, ამხ. ბუხარინის მოხსენების მიხედვით „მიღებულ იქნეს ყველა ზომები საფაბრიკო-საქარხნო სკოლების შემდგომი გაფართოებისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის“, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, როგორც კვალიფიციური მუშების მომზადების ძირითადი წყაროსი, და შემდეგ საბრიგადო და ინდივიდუალური შეგირდობის სწორი დაყენებისა და ყოველმხრივი გაფართოებისათვის.

3. ყოველნაირად, გამოაშკარავებულ მოთხოვნილებათა ნიადაგზე, გაიშალოს მუშაობა წარმოებაში უკვე ჩაბმულ მუშების კვალიფიკაციის ასაწევად, ამ მიზნით მოკლევადიან კურსების სათანადო ქსელის ორგანიზაციით, ამასთან კურსებზე უნდა იქნენ მოზიდულნი პირველ რიგში ის მუშები, რომელთა მუშაობა მოითხოვს დამატებით გაწვრთნას“.

შრომის კომისარიატმა, პროფკავშირებმა და სამეურნეო ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ გეგმა ამ და სხვა საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად. რამდენი კვალიფიციური მუშა საჭირო უახლოეს წლებისთვის და რა დარგში, როგორ უნდა მოეწყოს მათი მომზადების საქმე,—ეს ყველაფერი დაწვრილებით უნდა იქნეს გათვალისწინებული. შემთხვევითი ხასიათის და უგეგმო მუშაობა აქ დაუშვებელია.

ინგლისის მუშათა კლასი ბრძოლისათვის ემზადება

მოქმედების კომიტეტის საგანგებო კონფერენცია ლონდონში

„ინგლისის იმპერიის დროშა ძარცვა-გლეჯისა და მკვლელობის სიმბოლოა“

კონფერენციაზე ყველა რეზოლიუციები ერთხმად იქნა მიღებული

ლონდონი, 22 მარტი. კვირას 21 მარტს „ლაჩბერ ბასის“ დიდი დარბაზი ლონდონის პროლეტარულ უბანში ბატერსიში გაჭედილი იყო მოქმედების საგანგებო კონფერენციის დელეგატებით; აღნიშნული კონფერენცია მოიწვია ინგლისის მუშათა მოძრაობის უმცირესობამ.

კონფერენციას ესწრება 883 დელეგატი 547 ორგანიზაციიდან, რომლებშიაც ითვლება 950.000 მუშა (წარსულ კონფერენციას დაესწრო 633 დელეგატი 406 ორგანიზაციიდან, რომელნიც აერთიანებდენ 760.000 მუშას.) დელეგატების გარდა დარბაზში კიდევ 1.500 სტუმარია.

კონფერენცია გაიხსნა ტომას მანის თავმჯდომარეობით დილის 10 საათზე და 30 წუთზე „ინტერნაციონალის“ სიმღერით. პრეზიდიუმის ესტრადაზე ორი თავისუფალი სავარძელია; ერთ მათგანზე მოთავსებულია უმცირესობის მოძრაობის გენერალურ მდივანის ჰარრი პოლიტის სურათი, მეორეზე—უმცირესობის მოძრაობის აღმასკომის წევრის განნინგტონის სურათი. ორივე სურათი მორთულია წითელი დროშებით. ამხანაგი პოლლიტი და ამხ. განნინგტონი, როგორც ვიცით, ციხეში იმყოფებიან დაპატიმრებულ 12 კომუნისტს შორის.

პრეზიდიუმის და კომისიების არჩევის შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს ტომას მანნი.

პარლამენტის დეპუტატი ბატერსიდან კომუნისტი საკლატვალა ესალმება კონფერენციას და ბრიტანეთის იმპერიის დროშას უწოდებს ძარცვა-გლეჯის და მკვლელობის სიმბოლოს. საკლატვალას სიტყვა იფარება მქუხარე ტაშით.

მისასალმებელ სიტყვების შემდეგ წარმოდგენილი იქნა რეზოლიუცია პროფკავშირთა უფლებების დაცვის შესახებ. რეზოლიუციის შესავალ ნაწილში აღნიშნულია ის საფრთხე, რომელიც მუშათა კლასს მოელის. ამ საფრთხის მაჩვენებელია სამხრეთ უელსის მაღაროების მუშების და კომუნისტური პარტიის ლიდერების დევნა და აგრეთვე პროფკავშირებისათვის პოლიტიკური მიზნით გადასახადების აკრეფის აკრძალვა და მთავრობის ნებართვით შტრეიკბრეხერთა ორგანიზაციების დაარსება. რეზოლიუცია აღნიშნავს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მთავრობა სცდილობს „არმიის და ფლოტის მუშები დაუპირდაპიროს პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშებს“, ამის შედეგი იყო გაფიცვა ფილლდემის სამხედრო საწყობებში, სადაც მთავრობა მუშების ადგილას ჯარისკაცებს აყენებს.

რეზოლიუცია მოითხოვს:

1) მაღაროებსა, სახელოსნოებსა, და ქარხნებში ისეთ კომიტეტების მოწყობას, რომელნიც პროფკავშირთა ძირითადი უჯრედები იქნებიან და პროფკავშირების ადგილობრივ საბჭოებს დაუკავშირდებიან.

2) „მუშათა თავდაცვის კორპუსის“ მოწყობა პროფკავშირთა საბჭოების კონტროლის ქვეშ.

3) „ამბოხების“ კანონის და ყველა იმ კანონების გაუქმება, რომლებიც მიმართულია მშრომელთა წინაალმდეგ.

4) წინაალმდეგობის გაწევას ადგილობრივ ხელისუფლებისათვის, რომელიც სცდილობს შეზღუდოს კავშირების თავისუფლება.

5) მეზღვაურებისა და ჯარისკაცებისათვის შტრეიკბრეხერებათ გამოსვლის აკრძალვას.

დასასრულ, რეზოლიუცია მოუწოდებს ინგლისის პროფკავშირების კონგრესის გენერალურ საბჭოს მოითხოვოს ყველა პოლიტიკურ პატიმართა, კლასთა ბრძოლის მსხვერპლთა დაუყოვნებლივი განთავისუფლება.

მუშათა თავდაცვის კორპუსის საკითხის განხილვის დროს სრული ერთსულოვნება სუფევდა. ორატორები მოითხოვდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს და ადგილობრივ „მუშათა თავდაცვის კორპუსის“ რაზმების შედგენას ფიზიკურად ჯანსაღ მუშებისა, პროფკავშირთა წევრებისაგან.

დღის სხდომა გაიხსნა წითელი არმიის „მარშით“.

დღის სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლიუცია „კაპიტალისტურ შეტევის“ შესახებ. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ პროფკავშირთა ადგილობრივი საბჭოები გადაიქცენ მოქმედების საბჭოებათ მუშათა მოძრაობის ყველა ორგანიზაციების (პროფკავშირულ, კოოპერატიულ და პოლიტიკურ ორგანიზაციების) შესაკავშირებლად ყველა მშრომელ მამაკაცთა და დედაკაცთა ჩასაბმელად ბრძოლაში.

შემდეგ რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ საჭიროა კოოპერაციამ და მუშათა პარტიამ დახმარება გაუწიოს პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს; გენერალურმა საბჭომ უნდა გამოიყენოს მთელი საერთაშორისო პროფმოძრაობის დახმარება.

შემდეგ განხილული და მიღებული იქნა რეზოლიუცია პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ. რეზოლიუცია აღნიშნავს კაპიტალისტების შემოტევას ხელფასის დაკლების მიზნით, აგრეთვე ომის საშიშროებას და ესალმება პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს და ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტს, რომელიც ცდილობს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და ამსტერდამის გაერთიანების კონფერენციის მოწვევას. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ საბჭოთა პროფკავშირებმა მიატოვონ თავიანთი ამხანაგები, პროფინტერნის წევრები, და ქედი მოიხარონ ამსტერდამის წინაშე. მთლიანობისაკენ მივყავართ მხოლოდ ერთ გზას, რომელიც გაითვალისწინა ინგლისის პროფკავშირთა ყრილობამ სკარბოროში,—სახელდობრ—ერთიანი ინტერნაციონალის დაარსებას. ამიტომ მსოფლიო კონგრესის მოწვევა ამსტერდამის ინტერნაციონალის, პროფინტერნის და ამ ორ ორგანიზაციაში შემავალ პროფკავშირების მონაწილეობით, რჩება პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლის პრაქტიკულ მეთოდათ“.

რეზოლიუცია მოითხოვს საერთაშორისო პროფკავშირთა კონფერენციის მოწყობას შტრეიკბრეხერების წინაალმდეგ საბრძოლველად. გენერალურ საბჭოს წინადადებას აძლევს მიიღოს შემდეგი პრაქტიკული ზომები ზემოაღნიშნულ მიზნების მისაღწევად: საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა, კონფერენციაზე დელეგაციის გაგზავნა ევროპის მუშებისათვის ინგლისის პროლეტარიატის თვალსაზრისის განსამარტავათ, და მუშათა დელეგაციების გაგზავნა საბჭოთა კავშირში.

ყველა რეზოლიუციები ერთხმად იქნა მიღებული. მთელი ყრილობა აღფრთოვანებულია. განსაკუთრებული ენტუზიაზმი გამოიწვია ამერიკის და ინდოეთის დელეგატების გამოსვლამ.

კონფერენცია დამთავრდა ტომას მანნის საბოლოო სიტყვით, რომელმაც აღნიშნა კონფერენციის ერთსულოვნება.

კონფერენციის დარბაზი მორთული იყო ცნობილ მხატვარის რეგლანდ ბოუტონის ხელმძღვანელობით, რომელიც ამას წინად შევიდა კომუნისტურ პარტიაში.

პოლონეთი თავს იმართლებს

ვარშავა, 22 მარტი. გაზეთი „ნოვი კურიერ პოლსკი“ ეხება „იზვესტია“-ს უკანასკნელ წერილებს პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოების შესახებ და **უსაფუძვლოდ სთვლის აზრს, თითქოს პოლონეთი ერთიანი ფრონტის შექმნას ცდილობდეს საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ.**

გაზეთის სიტყვით, თითქო **პოლონეთის დიპლომატია დიდი ხანია საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას აწარმოებს საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ,** ყოველთვის მოითხოვს, რომ ამ ხელშეკრულებაში შევიდნენ აღმოსავლეთ ევროპის ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები თანასწორუფლებიანი კონტრაგენტების სახით. გაზეთის სიტყვით, საბჭოთა პრესის უკანასკნელი გამოსვლები გაუგებრობით არის გამოწვეული; ალბად, „იზვესტია“ თავის თვალწინ ხედავს გრძელ მაგიდას, რომელსაც ერთი მხრით საბჭოთა კავშირი უზის, მეორედან—ყველა დანარჩენი მონაწილენი; ნამდვილად კი, პოლონეთის აზრით, კონფერენცია მრგვალ მაგიდას უნდა უსხდეს.

სერიოზულმა ზნეობრივმა გამარჯვებამ, რომელსაც პოლონეთმა მიაღწია ჟენევაში, გაზეთის აზრით, აღმოსავლეთ ევროპაში ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთობის განვითარებას ძველი გზებით, „საიდანაც მის გადაცდენას ვითომდა სცდილობს საბჭოთა პრესის ერთი ნაწილი“.

მთავრობის კრიზისი პოლონეთში

ვარშავა, 22 მარტი. „ექსპრეს პორანი“ იტყობინება, რომ ჟენევიდან სკშინსკის დაბრუნების გამო **მოსალოდნელია ეხლანდელი პოლონეთის მთავრობის შემადგენლობის შეცვლა. მოელიან შინაგან საქმეთა მინისტრის რაჩკევიჩის და სამხედრო მინისტრის ჟელიგოვსკის გადადგომას,** აგრეთვე პერსონალურ ცვლილებებს მემარჯვენეების წარმომადგენლებს შორის კაბინეტში.

გაზეთი ფიქრობს, რომ ახლო მომავალში მოხდება სერიოზული პოლიტიკური ამბები, რომელმაც უნდა ცხადჰყოს რამდენად მტკიცეა კოალიციონური მთავრობა.

მატეოტის მკვლელების საქმე

რომი, 23 მარტი. სასამართლოს თავმჯდომარემ დასკვნა გაუკეთა ექსპერტიზის შედეგებს და წარუდგინა ნაფიც მსაჯულებს ნივთიერი საბუთები, რომელზედაც დამყარებულია მთელი ბრალდება: მატეოტის ტანისამოსი და შიგნით ჩასაფენის ნაჭრები. ექსპერტიზამ გამოარკვია, რომ ავტომობილის ფანჯრებზე თითების ნაკვალევი ეკუთვნის ბრალდებულ დუმინის და ვოლპის.

ბრალდებულთა დამცველმა ფარინაჩიმ წარუდგინა სასამართლოს მატეოტის მიერ დაწერილი ბროშიურა გერმანულ ენაზე „ფაშისტური ხელისუფლების ერთი წელი“.

მოწმემ დეპუტატმა კარინელლიმ განაცხადა, რომ მატეოტის სახით ფაშისტებს უნდოდათ მოესპოთ ფაშისტების ყველაზე ძლიერი და შეურიგებელი მტერი.

მოწმეთა დაკითხვის შემდეგ, სასამართლომ დაათვალიერა ავტომობილი, რომლითაც წაყვანილი იქნა მატეოტი.

უკანასკნელი ცნობები

შეტაკება პოლიციასთან

პარიზი, 22 მარტი. ქ. მეტცის პოლიციამ აკრძალა მანიფესტაცია, რომელიც მოქმედების კომიტეტის მიერ იყო დანიშნული.

მიუხედავად ამისა, ჰავასის სააგენტოს ცნობით, მაინც გაიმართა სამი მიტინგი დახურულ შენობებში. როცა ხალხი გამოვიდა ქუჩებში წითელი დროშებით, მათ წინააღმდეგ გაგზავნეს ცხენოსანი პოლიციის რაზმები, რომლებიც ხმლებით დაერიენ დემონსტრანტებს.

დემონსტრანტები მოეფარენ სახლებს და ქვები დაუშინეს პოლიციელებს. დაჭრილები არიან ორივე მხრით.

ოსმალეთ გერმანეთის სავაჭრო ხელშეკრულება

ანგორა, 22 მარტი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა იმ ქვე-კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოლაპარაკების წარმოება გერმანიის და ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.

პრიმო-დე-რივერას განცხადება

პარიზი, 22 მარტი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარის დროს მაროკოში არსებულ მდგომარეობის შესახებ პრიმო-დე-რივერამ განაცხადა: „უმჯობესია განსაზღვრული მსხვერპლის გაღება და სამუდამოდ ზავის ჩამოგდების მიღწევა, ვინემ დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდება, რომელიც დროებითი იქნება. საფრანგეთის და ესპანეთის სარდლობას შორის ამჟამად სრული თანხმობაა. აბდ-ელ-ქერიმს ხელიდან ეცლება ძალები. საგაზაფხულო კამპანია გადასწყვეტს რიფების საკითხს.

ინგლისის კოლონიების წარმომადგენელთა კონფერენცია

ლონდონი, 22 მარტი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ კოლონიების სამინისტრომ წინადადება მისცა ინგლისის კოლონიებს ვესტ-ინდოეთში გამოგზავნონ წარმომადგენლები კონფერენციაზე, რომელიც 17 მაისს გაიხსნება ლონდონში.

ვესტ-ინდოეთის ყველა კოლონიები—იამაიკა, ტრინიდადი, ბერბადოსი, გრენადა, სანტა-ლიუჩია, სენტ-ვინსენტი, ბაგამა, ინგლისის გვიანა და განდურა მიპატიჟებული არიან კონფერენციაზე.

კონფერენციის მსჯელობის საგანი იქნება: სასურველია თუ არა კოლონიების სამინისტროსთან მუდმივი სათათბიროს დაარსება, მუდმივი სამდივნოთი, როგორც კოლონიების საკითხებში სათათბირო ორგანოსი.

ავსტრიის დელეგაციის აზრი სომხეთზე

ერევანი 23 მარტი. მიღებულია „როტე ფანე“-ს ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია ავსტრიის დელეგაციის სომხეთში მოგზაურობის ანგარიში. დელეგაცია აღტაცებულია სომხეთის აღმშენებლობით.

ხელშეკრულება საფრანგეთისა და სამხრეთ სლავიის შორის

ვენა, 22 მარტი. ბელგრადის გაზეთების ცნობით, ახლო მომავალში მოსალოდნელია ხელშეკრულების დადება [illegible] საფრანგეთისა და სამხრეთ-სლავიას შორის. [illegible] საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებული გაზეთი „ვრემია“ ამტკიცებს, რომ ხელშეკრულება მომავალში სამხედრო შეთანხმებით იქნება შევსებული.

რკინის-გზელების გაფიცვა

ლონდონი, 22 მარტი. ლორენცო-მარკესის (აფრიკის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ეკუთვნის პორტუგალიას) რკინისგზელთა გაფიცვა, რომელიც რამოდენიმე თვის წინ დაიწყო გრძელდება. პორტუგალიის ხელისუფლებას დაპატიმრებული გაფიცულები მძევლებათ ჰყავთ წამოყვანილი. მათ აჯენენ მატარებლებში იმ მიზნით, რომ ამრიგათ თავიდან აიცილონ მატარებლების დამსხვრევა გაფიცულების მხრივ. ამას წინათ ქალაქში კვლავ ადგილი ჰქონდა მღელვარებას, მაგრამ როგორც ოფიციალურ ცნობაშია ნათქვამი „ჯარებმა აღადგინეს წესრიგი“. ლისაბონიდან გაიგზავნა შტრეიკბრეხერები, რომელთაგან 60 კაცი უკვე ჩავიდა ლორენცო-მარკესში. დაპატიმრებულ გაფიცულთა ნაწილი გაგზავნეს პორტუგალიაში სამხედრო გემებით, რადგან სავაჭრო გემებმა უარი სთქვეს მათ წაყვანაზე.

აერო-გიგანტის დამსხვრევა

ბერლინი, 23 მარტი. იაპონიის ახალი ბომბების მსროლელი აეროპლანი-გიგანტი რომელსაც 1800 ცხენის ძალიანი მოტორი ჰქონდა, საცდელ ფრენის დროს იაკუსკაში ჩამოვარდა და დაიმსხვრა. მოკლულია 4 კაცი.

ტიან-ძინის დაცლა

პარიზი, 23 მარტი. ფენ-იუ-სიანის ჯარებმა (სახალხო არმია) დასტოვა ტიან-ძინი.

მოხსენება ჟენევის კონფერენციის შესახებ

ლონდონი, 23 მარტი. ფიქრობენ, რომ ერთა ლიგის მუშაობის გარშემო თემთა პალატაში კამათი ლოიდ-ჯორჯის სიტყვით გაიხსნება; ლოიდ-ჯორჯის შემდეგ გამოვა მაკდონალდი. ოპოზიციის ლიდერებს პასუხს გასცემს ჩემბერლენი, ხოლო ბოლდუინი, მოლაპარაკების სხდომის დასასრულს, მას შემდეგ რაც თავის აზრს გამოთქვამენ თემთა პალატის სხვა გამოჩენილი წევრები.

არ ალაპარაკოს

ვარშავა, 22 მარტი. მემარჯვენე ჯგუფები განაგრძობენ გააფთრებულ კამპანიას პოლონეთის დეპუტატ ბრილის წინააღმდეგ, რომელიც ამას წინათ საბჭოთა კავშირში ჩამოსული პოლონეთის პარლამენტის დეპუტატებს მეთაურობდა. ფაშისტები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ მოხსენებების მოწყობას საბჭოთა კავშირის შესახებ.

ბრილმა გაილაშქრა ლიუბლინში კრებაზე, იმ ჭორების წინააღმდეგ, რომელსაც ბურჟუაზიული გაზეთები ავრცელებენ საბჭოთა კავშირზე. ვარშავაში კრების მოწყობის ცდის დროს, მოხდა შეტაკება მოქალაქეთა და პოლიციელებს შორის. მიტინგი უნდა შემდგარიყო ცირკში, პოლიციამ არ დართო ნება. მუშები შეეცადენ ძალით შესულიყვნენ ცირკის შენობებში, მაგრამ მათ პოლიციელთა შეიარაღებული რაზმი გადაეღობა. დაპატიმრებულია ასზე მეტი კაცი.

სუელსის მისასალმებელი წერილი

ხარკოვი, 24 მარტი. ხარკოვიდან გამგზავრების წინ, ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. სუელსმა მიმართა უკრაინის პროფკავშირებს მისასალმებელი წერილით, რომელშიაც კმაყოფილებას გამოსთქვამს მათი მიღწევებით სოციალისტურ აღმშენებლობის დარგში.

სიცივე ევროპაში

ბერლინი, 22 მარტი. მთელ გერმანიაში მოულოდნელად დაიწყო სიცივეები. სიცივეების შესახებ ცნობები მოდის აგრეთვე საფრანგეთიდანაც, სადაც ზოგიერთ რაიონებში თოვლი მოვიდა.

უმუშევართა კომიტეტის დაპატიმრება

ვარშავა, 23 მარტი. ჩენსტოხოვში დაპატიმრებულია უმუშევართა კომიტეტის მთელი შემადგენლობა. კომიტეტს ბრალი ედება უმუშევართა მანიფესტაციის მოწყობის განზრახვაში. დაპატიმრებულთაგან ჯერჯერობით განთავისუფლებულია მხოლოდ პოლონეთის სოც. პარტიის ორი წევრი.

ფინ-იუი-სიანი ურგაში

ურგა, 23 მარტი. აქ ჩამოვიდა მარშალი ფინ-იუი-სიანი თავის ცოლ-შვილით.

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის საკონსულო კონვენციის პროექტი

მოსკოვი, 23 მარტი. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ მოიწონა სპარსეთ-საბჭოთა კავშირის საკონსულო კონვენციის პროექტი და ნება დართო კავშირის რწმუნებულებს ხელი მოაწერონ მას.

პროექტი ანიჭებს ორივე მხარეს უფლებას დანიშნონ საკონსულო წარმომადგენლები. მასში გათვალისწინებულია საკონსულო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო ემბლემებით სარგებლობის უფლებები და დადგენილებანი: კანცელიარიის, არქივის და ქონების ხელშეუხებლობის, კონსულების საშინაო უფლებების, მათი პირადი ხელშეუხებლობის, შტატის მდივნების, კონსულების მოადგილეების და სხვათა შესახებ.

გარდა ამისა, კონვენცია განსაზღვრავს ნოტარიალურ ფუნქციებს პასპორტების საქმეში და კონსულების დამოკიდებულებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

თავისი ხასიათით სპარსეთთან დადებულ საკონსულო კონვენციას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს კონვენცია იქნება პირველი, რომელიც დადებულია სპარსეთის მიერ ე. წ. „კაპიტულიაციის“ რეჟიმის საფუძვლის გარეშე.

განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას პლენუმი.

მოსკოვი, 23 მარტი. 22 მარტს გაიხსნა განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას პლენუმი.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია

ივანოვო-ვოზნესენსკი, 23 მარტი. 22 მარტს ჩამოვიდა ავსტრიის მუშათა დელეგაცია, რომელმაც დაათვალიერა მუშათა უბანი და ქალაქის ახალი წყალსადენი და შემდეგ მონაწილეობა მიიღო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.

სამხრეთ-სლავიის მთავრობის ჭორები

მოსკოვი, 23 მარტი. უკანასკნელ ხანებში სამხრეთ-სლავიის მთავრობის წრეები ავრცელებენ ხმებს, თითქოს ადგილობრივ კომუნისტურ და მუშათა წრეში მომხდარ დაპატიმრების დროს გამოირკვა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ახორციელებს ხელმძღვანელობას ორგანიზაციებს და მიმდინარეობებს, რომელთაც მიზნად დაისახეს სამხრეთ-სლავიის სამეფოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წესწყობილების დამხობა.

ამის გამო სამხრეთ-სლავიის პრესაში იბეჭდება ცნობები და წერილები „მოსკოვის ემისარების“ შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი მონაწილეობას იღებს ადგილობრივ კომუნისტურ მოძრაობაში.

საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატს საჭიროთ მიაჩნია კატეგორიულად განაცხადოს, რომ არც საბჭოთა კავშირის მთავრობა და არც მის სრულუფლებიან წარმომადგენლებს არავითარი კავშირი არ აქვს სამხრეთ-სლავიის შინაურ საქმეებთან.

სარკინიგზო კონფერენციის მუშაობის შედეგები

მოსკოვი, 23 მარტი. ვარშავიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე სარკინიგზო კონფერენციებზე ვარშავაში სერებრკოვი, რომელმაც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს აცნობა, რომ ვარშავაში და პრაგაში 22 თებერვლიდან—19 მარტამდე გაიმართა 4 კონფერენცია.

ამ კონფერენციებს სასურველი შედეგები მოჰყვა. კერძოთ, იტალიის, ავსტრიის და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა მოგვმართეს თხოვნით მიგვეწვიოთ ისინი მეორე კონფერენციაზე, რომელიც განიხილავს ევროპა-აზიის პირდაპირ მიმოსვლის საკითხს. მათ უნდათ, რომ დეკემბერში მოსკოვში დაწესებული პარიზ-ტოკიოს ხაზი გაფართოვდეს ევროპის სამხრეთ-დასავლეთით და დაწესებული იქნას ტოკიო-რომის და ტოკიო-ვენის ხაზი.

აღმოსავლეთი

რაულ პერეს საფინანსო პროექტი

პარიზი, 22 მარტი. მინისტრთა საბჭომ მოიწონა ფინანსთა მინისტრის რაულ პერეს საფინანსო პროექტი.

პროექტი ითვალისწინებს სენატის და პალატის მიერ მიღებულ გადასახადების შემოღებას, ყველა იმ პირთა რეგისტრაციას, რომელნიც საშემოსავლო გადასახადს იხდიან 40-დან ათას ფრანკამდე, გადასახადის გადიდებას აღებმიცემობაზე და აგრეთვე საფოსტო-სატელეგრაფო და სატელეფონო ტარიფების გადიდებას.

იტალია სამხრეთ-სლავია და საფრანგეთი

პარიზი, 22 მარტი. „პტი პარიზიენი“-ს ცნობით, იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის წარმოებულ მოლაპარაკებას დამატებითი მეგობრული ხელშეკრულების დადების შესახებ, ჯერ კიდევ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან იტალია მოითხოვს ხელშეკრულების დადებას ორ მხარეს შორის, მაშინ როდესაც სამხრეთ-სლავია მხარს უჭერს აგრეთვე საფრანგეთის მიზიდვას.

ამის გამო ბრიანმა წინადადება მისცა ნინჩიჩს, რომ დადებული იქნას მეგობრული ხელშეკრულება საფრანგეთსა და სამხრეთ-სლავიის შორის. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების ტექსტი განხორციელდა, საფრანგეთ – სამხრეთ-სლავიას დამოკიდებულება ისეთივე ექნება, როგორც საფრანგეთ – ჩეხო-სლოვაკიის.

„პტი პარიზიენი“ დასძენს, რომ როგორიც არ უნდა იყოს იტალია-სამხრეთ-სლავიის შეთანხმების პირობები, სრულიად არ შესუსტდება მცირე ანტანტის კავშირი და არავითარი ცვლილება არ მოხდება სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ ორიენტაციაში.

„რვა საათის“ სამუშაო დღე

ლონდონი, 22 მარტი. ოფიციალურ წრეებში დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ მის გამო, რომ პარასკევს ინგლისის და იტალიის შრომის მინისტრებს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება რვა საათის სამუშაო დღის შესახებ კონვენციის სხვადასხვა მუხლებში. სხვათაშორის კონფერენციამ აღიარა, რომ კონვენციას ძალა ვრცელდება რკინის-გზებზედაც: რკინის-გზებზე დაცული უნდა იქნეს 48 საათის სამუშაო კვირა, მაგრამ „ყოველგვარ დაბრკოლებათა“ თავიდან ასაცდენად მიღებულია მთელი რიგი დადგენილებებისა, რომლითაც დაშვებულია ზედმეტი საათის და „სასწრაფო“ სამუშაოები განსაკუთრებულ შემთხვევაში.

სხვა დადგენილებათა რედაქციაც საკმაო უფლებას იძლევა, რომ ცალკე ქვეყნების მთავრობებმა დაუშვან სათანადო „გამონაკლისი“.

სხვადასხვა

აბდ-ელ-ქერიმის დაქორწინება რაისულის ქალზე. ტანჟერიდან მიღებული ცნობებით, რიფების ბელადი ახლო მომავალში დაქორწინდება მაროკოელთა ტომის ერთ-ერთ წინამძღოლის რაისულის ქალზე. ამ ფაქტს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან რაისულის ტომს დიდი გავლენა აქვს რიფებს შორის. ერთ დროს საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა წაქეზებით ეს ტომი აბდ-ელ-ქერიმის წინააღმდეგ გამოდიოდა.

ოქროს მედალი კაპიტან ვილკინსს. შვეციის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ოქროს მედალი უძღვნა კაპიტან ვილკინსს, რომელსაც ნორდენშელდის შემდეგ პირველმა მოახერხა პოლიარულ ზღვების ჩრდილოეთ-ამოს. ნაწილში შესვლა და იქ დღემდე უცნობ დიდი ტერიტორიების აღმოჩენა.

ყოფილ ჯარისკაცთა წითელ კავშირის სრულიად გერმანიის კონფერენცია. 21 მარტს ჰალეში გაიხსნა ყოფილ ჯარისკაცთა წითელ კავშირის სრულიად გერმანიის მესამე კონფერენცია.

გამგეობის ანგარიშიდან სჩანს, რომ ადგილობრივ ჯგუფების რიცხვი გასულ წლის განმავლობაში 250-დან 500-დე გაიზარდა.

ტელმანმა ყრილობას სალამი გადასცა საკავშირო კომპარტიის, კომინტერნის აღმასკომის და საბჭოთა კავშირის მუშებისაგან.

ექსკაიზერი ბინას იცვლის. ჟენევიდან მიღებული ცნობის თანახმად, მოკავშირე სახელმწიფოებმა ნება დართეს ყოფილ კაიზერს ვილჰელმს, გადასახლდეს დორნიდან (ჰოლანდია) შვეიცარიაში.

გერმანიის მისია. კელნში გამართულ მანიფესტაციაზე რეინის პირველი ზონის განთავისუფლების გამო, ჰინდენბურგმა განაცხადა, რომ გერმანიის მისია ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

ვენიზელოსი ისვენებს. ათენიდან მიღებული ცნობის თანახმად, ვენიზელოსმა ინდოეთიდან გამოგზავნა დეპეშა, რომელშიაც აცხადებს, რომ უარს ამბობს თავის კანდიდატურის წამოყენებაზე საბერძნეთის საპრეზიდენტო არჩევნებში.

— **დუმელის აფეთქება.** ლონდონის ქარხანაში ბირმინგამის მახლობლად, (ინგლისში) ერთ-ერთ დუმელში მოხდა აფეთქება, რომლის დროს მოკლულია 16 მუშა და მძიმედ დაჭრილია 17. გამდნარ ლითონის ნაკადმა დაფარა ქარხნის მთელი ტერიტორია.

— **პარტახტიანი სახადი ბესარაბიაში.** ბესარაბიის გაზეთების ცნობით, მთელს ბესარაბიას მოედო პარტახტიანი სახადის ეპიდემია, რომელიც სიმშილობის ნიადაგზე წარმოიშვა.

აღმოსავლეთი

სირია

ალექსანდრეტის „დამოუკიდებლობა“

პარიზი. 22 მარტი. როგორც ჰავასის სააგენტოს ატყობინებენ ბეირუთიდან, ალექსანდრეტის წარმომადგენელთა საბჭომ გამოაცხადა ალექსანდრეტის ოლქის დამოუკიდებლობა. პრეზიდენტის თანამდებობა შეითავაზეს საფრანგეთის დელეგატს ალექსანდრეტაში—დიურიეს.

შენიშვნა: ალექსანდრეტის ოლქი ჯერ კიდევ ოსმალების რეჟიმის დროს ერთგვარ თვითმართველობით სარგებლობდა. ფრანგებმა ამ ოლქის მოსახლეობას ის მცირე უფლებებიც მოუსპეს, რომლებითაც ის წინად სარგებლობდა. ამ ოლქის „დამოუკიდებლობა“, რომელზედაც დეპეშაში ლაპარაკი, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ის ადმინისტრატიულად მოსწყვეტეს დანარჩენ სირიას, რაც რასაკვირველია სრულებით არ ასუსტებს ფრანგების ბატონობას ამ ოლქზე. ალექსანდრეტის წარმომადგენელთა საბჭო სავსებით საფრანგეთის ხელისუფლების კარნახით მოქმედობს.

ახალგაზრდობის კომინტ. აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 23 მარტი. ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დილის სხდომაზე 21 მარტს გრძელდებოდა კამათი აღმასკომის ანგარიშის გამო. კომკავშირის მუშაობის შესახებ აღმოსავლეთში მოხსენება წაიკითხა ფოკინმა. საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ხიტაროვის მოხსენება საორგანიზაციო მშენებლობის შესახებ.

22 მარტს პლენუმმა მოისმინა მიულლერის მოხსენება ახალგაზრდობის კომინტერნის ეკონომიურ-პროფესიონალურ მუშაობის შესახებ; და შემდეგ გლაუბაუფის მოხსენება კომკავშირების საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ. შორინმა წაიკითხა მოხსენება ბავშვთა საერთაშორისო მოძრაობის შესახებ.

კომკავშირის ყრილობის დახურვა

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მუშებისა და გლეხების მიღება უმაღლეს სასწავლებლებში.

მოსკოვი, 23 მარტი. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა განათლების სახ. კომისარიატს უზრუნველყოფილი იქნას მუშების და გლეხების მიღება, მაგრამ არ უნდა იქნას შესუსტებული მოთხოვნილება სასწავლო მომზადების მხრივ: გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც ამზადებენ სოფლისთვის სპეციალისტებს, პირველ რიგში უნდა იგზავნებოდენ გლეხები.

ლუნაჩარსკის იუბილე

მოსკოვი, 23 მარტი. რუსეთის სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიამ თავის საზეიმო სხდომაზე ლუნაჩარსკის იუბილე გადაუხადა 30 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად. იუბილეს დღეს ლუნაჩარსკის 50 წელიწადი შეუსრულდა.

კომკავშირის საკავშირო ყრილობის დახურვა

მოსკოვი, 23 მარტი. 22 მარტს დაიხურა რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირის ყრილობა. უკანასკნელ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარმა ვოროშილოვმა, რომელსაც ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდენ. შემდეგ ყრილობა ისმენს სტალინის წერილს ყრილობისადმი.

შემდეგ ყრილობა ისმენს მოხსენებას კომისიების და სექციების მუშაობის შესახებ და იღებს რეზოლიუციებს.

ხანგრძლივი ტაშით და „ინტერნაციონალის“ მღერით მიღებული იქნა გადაწყვეტილება რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირისათვის „სრულიად საკავშირო ლენინურ კომკავშირის“ წოდების შესახებ.

ყრილობა იღებს რეზოლიუციას რ. ახალგ. ლენინ. კომკავშირის ცეკას მოხსენების გამო. რეზოლიუცია იწონებს ცეკას პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს. რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

ერთხმად იქნა მიღებული აგრეთვე რეზოლიუცია ბუხარინის მოხსენების გამო. ყრილობა გადაჭრით გმობს ოპოზიციის საქციელს მე-14 პარტყრილობაზე.

შემდეგ ყრილობა ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს 69 კაცის შემადგენლობით. კომიტეტში შედიან: ჩაპლინი, მილჩაკოვი, სობოლევი, მათვეევი, ლომინაძე, მაცკი, ივანოვი, კოსარევი და სხვ.

ყრილობა იხურება ჩაპლინის საბოლოო სიტყვით.

პროფ. ზაიონჩკოვსკის გარდაცვალება

მოსკოვი, 23 მარტი. 22 მარტს, უეცრად გარდაიცვალა სამხედრო აკადემიის პროფესორი ანდრია მედარდისძე ზაიონჩკოვსკი. განსვენებული პროფესორი ეკუთვნოდა ძველი არმიის მუშაკთა იმ ჯგუფს, რომელმაც წითელი არმიის ჩასახვის პირველი დღეებიდანვე სინდისიერად ემსახურება მას.

მოსკოვი, 23 მარტი. 22 მარტს, გარდაცვლილი სამხედრო აკადემიის პროფესორი ზაიონჩკოვსკი იყო ძველი არმიის გამოჩენილი და დიდი სამხედრო მუშაკი (ინფანტერიის გენერალი და კორპუსის კომანდირი).

ის ცნობილია აგრეთვე მრავალი სამხედრო-სამეცნიერო შრომით.

ზაიონჩკოვსკი ჯერ კიდევ 1918 წელს შევიდა წითელი არმიის რიგებში. 1919 წელს და 1920 წ. დასაწყისში, როდესაც სამოქალაქო ომი უძლიერესად გამწვავებული იყო, ზაიონჩკოვსკი მუშაობდა სამხრეთის ფრონტზე მე-13 არმიის შტაბის უფროსად და მონაწილეობას იღებდა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1922 წელს ის საპასუხისმგებლო პედაგოგიურ და სამხედრო-სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა სამხედრო აკადემიაში. განაგებდა ტაქტიკის და სტრატეგიის კათედრებს, ხოლო უკანასკნელ წელს იყო სამხედრო ისტორიის პროფესორად.

მოსკოვი, 23 მარტი. საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურმა სამხედრო საბჭომ დაადგინა სამძიმარი გაუგზავნოს განსვენებულ ზაიონჩკოვსკის ოჯახს. დასაკრძალავ ხარჯებს კისრულობს რევოლიუციური-სამხედრო საბჭო; ის აღნიშნავს ზაიონჩკოვსკის უდიდეს დამსახურებას წითელი არმიის წინაშე და შუამდგომლობს, რომ განსვენებულის ქვრივს პენსია დაენიშნოს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

სახელმწიფო თამბაქოს ფაბრიკის პროდუქცია

ერივანი, 23 მარტი. მიმდინარე წლის იანვარში სახელმწიფო თამბაქოს ქარხანამ დაამზადა 2.897.000 ცალი პაპიროსი, თებერვალში კი 2.840.000 ცალი.

ქალაქის საბჭოს არჩევნები

ლენინაკანი, 23 მარტი. დამთავრდა არჩევნები ქალაქის საბჭოში. საბჭოში არჩეულია 259 კაცი აქედან 24 ქალი.

ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა გაიმართება დღეს საღამოს.

საბჭოთა სამაზრო ყრილობა მოწვეულია

სამხედრო სამეცნიერო ჯგუფი

ერივანი, 23 მარტი. სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების კონფერენციის დადგენილებით ქალაქის ყველა კლუბებსა და ქარხნებში ეწყობიან სამხედრო-სამეცნიერო ჯგუფები, რომლებსაც კავშირი ექნებათ სამხედრო ნაწილების ასეთსავე ჯგუფებთან.

რიონის ელსადგური

სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა ფერო-მარგანეც. კომისიამ გამოიანგარიშა რიონზე ასაგებ ელექტრო-სადგურის მოსალოდნელი დატვირთვა. წინასწარი ანგარიშით ყველა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება 29 ათასი კილოუატი. აქედან, იმ შემთხვევაში, თუ მოწყობილი იქნება ფერო-მარგანეცის გადადნობა, ჭიათურის შავი ქვის რაიონს დასჭირდება 2.750 კილოუატი, რკინისგზის ხაზს ელექტროფიკაციის ზესტაფონ-ხაშურის შუა—13.300 კილოუატი. გროზნო ფოთის ნავთსადენის საქაჩი სადგურების ელექტროფიკაციას—1.375 კილოუატი.

სადგურის აგება რიონზე დაჯდება შედარებით ძალიან იაფი. სადგური არა მარტო შექმნის ხელსაყრელ პირობებს ფერო-მარგანეცის წარმოების განსავითარებლად, იგი ელექტრო ენერგიას მიაწოდებს მრავალ სხვა წარმოებებსაც.

სადგურის იაფი ენერგია საშუალებას მისცემს სახელმწიფოს მოაწყოს აზოტიური ნაერთების გასანოყიერებლად ნივთიერებათა.—წარმოება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ საჭირო არ იქნება მიწდვრების გასანოყიერებელი მინერალების შემოტანა უცხოეთიდან ამიერ-კავკასიის და საერთოდ საბჭოთა კავშირის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

გარდა ამისა, სადგურის იაფი ენერგია შესაძლებელს გახდის დასავლეთ საქართველოში უხვად არსებულ სხვა და სხვა მადნების—ბარიტის, ოხრის, ინფუზორიტის—ქიმიურ გადამუშავებას და იმათგან ისეთი ქიმიური პროდუქტების დამზადებას, რომლის წარმოება დღემდე არ არის მოწყობილი საბჭოთა კავშირში.

ამავე სადგურის იაფი ენერგიის საშუალებით მოსახერხებელი გახდება ელექტრო-ცემენტის წარმოების ორგანიზაცია, ცემენტის მადნებით მდიდარია დასავლეთ საქართველო—განსაკუთრებით ბაღდადის ახლო მდებარე მიდამოები.

პარტიული ცხოვრება

მუშათა, სოფლის, სამხედრო და ახალგაზრდათა კორესპონდენტების თათბირისათვის

ცირკულიარულად.

ახლი ამიერ-კავკასიის ყველა გაზეთების რედაქციებს

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კომპარტიების ც. კ. ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებას

ჩ. წ. აპრილის დასაწყისში საკავშირო კომპარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა“ და ჟურნალი „მუშათა და გლეხთა კორესპონდენტი“ იწვევს მუშათა, სოფლის, სამხედრო და ახალგაზრდათა კორესპონდენტების სრულიად საკავშირო მესამე თათბირს. მუშა და გლეხ-კორესპონდენტთა მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირში და კერძოდ ამიერ-კავკასიაში, გვავალებს სერიოზული ყურადღებით მოვეკიდოთ ამ თათბირს.

ვინაიდან ამიერ-კავკასიაში მუშათა და გლეხ-კორესპონდენტთა მოძრაობა ჩამორჩენილია კავშირის სხვა დანარჩენ ნაწილებთან შედარებით, განსაკუთრებით ორგანიზაციულად, საჭიროა მე-3 თათბირამდე დარჩენილი დრო გამოყენებული იქნას მუშა და სოფლის კორესპონდენტთა სრულიად საკავშირო მე-2-ე თათბირის დადგენილებათა განსახორციელებლად.

მთავარ მომენტს ამ მუშაობაში უნდა წარმოადგენდეს მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა რიგების გარდაქმნა წრეებათ პარტიის გადაწყვეტილების და „პრავდა“-სთან მოწყობილი თათბირის თანახმად.

მთელი მუშაობა უნდა ჩატარდეს გაზეთების რედაქციების უშუალო ხელმძღვანელობით, პარტიულ კომიტეტების ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებათა დახმარებით.

იმ მიზნით, რათა შესრულებულ მუშაობას ჯამი გაუკეთდეს და მომავალ სრულიად საკავშირო თათბირისათვის მასალები შეგროვდეს, ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება მიზანშეუწონლად სთვლის არასაგაზეთო რესპუბლიკანურ და ამიერ-კავკასიის თათბირის მოწვევას და წინადადებას იძლევა მოწვეული იქნას კორესპონდენტთა საგაზეთო თათბირი ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებათა და რედაქციათა ხელმძღვანელობით, და ამ თათბირზე არჩეული იქნან დელეგატები საკავშირო თათბირზე გასაგზავნად.

იმ შემთხვევაში, თუ საგაზეთო თათბირის მოწვევა შეუძლებელია, საჭიროა დელეგატების გამოყოფა მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა საგაზეთო ბიუროებისა და წარმოებებში არსებულ წრეების საშუალებით.

ამ დარგში მიღებულ ყოველგვარ ღონისძიებათა და საგაზეთო და სრულიად საკავშირო თათბირისათვის მზადების შესახებ საჭიროა ინფორმაცია მიაწოდოთ საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებას.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე—**სუტირინი.**

მდივანი—ნ. გელსკი.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი

ახალი კურსი მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შედეგები ნახევარი წლის განმავლობაში

საქ. საკონტ. კომ. პლენუმის სხდომაზე ამხ. კაკაბაძემ მოხსენება გააკეთა ახალ კურსზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში და საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შედეგებზე დაწყებული 1925 წლის 1 ოქტომბრიდან 1926 წლის 15 მარტამდე.

თავის მოხსენებაში ამხ. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ამჟამად მუშათა და გლეხთა ინსპექცია სავსებით ჩამოყალიბებულია. თუ პირველი ეტაპი, რომელიც 1923 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო, ხასიათდებოდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის საკონტროლო-შემმოწმებელი მუშაობით, ხოლო მეორე ეტაპი პრობლემების შესწავლითა და ეკონომიური ანალიზით, მესამე პერიოდი უკვე პირველ რიგში აყენებს სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციას.

სახელმწიფო აპარატს საფუძვლიანათ და სისტემატიურათ შესწავლის საქმეში ადგილი აქვს დიდ დაბრკოლებებს, გარდა ამისა, თვით რაციონალიზაციის პროცესი მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის მუშაკების ყოლას, რომლებიც ერკვევიან შრომის მეცნიერულად ორგანიზაციის საკითხებში და საკმაო ცოდნით არიან აღჭურვილი, ამასთანავე ინსპექცია კვლავ განაგრძობს მუშაობას საკონტროლო გამოკვლევებისა და ეკონომიურ ანალიზის დარგში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის მთელი გეგმა ემყარება სამ სახელმძღვანელო იდეას:

1) მეურნეობისა და კულტურის აღორძინება სოფლად, 2) საწარმოო ძალების განვითარება მრეწველობაში და 3) კავშირის განმტკიცება მუშებსა და გლეხებს შორის. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე არსებულ ამოცანების შესრულებას აფერხებდა საგეგმო დავალებათა სიმრავლე, სამუშაო გეგმების არა თავის დროზე მიღება, ამ გეგმების სირთულე და ის გარემოება, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია ვერ იყო საკმაოთ უზრუნველყოფილი ფინანსიურათ, რაც ხელს უშლიდა ადგილებზე მუშაკების მიცლინებას.

მიუხედავათ ამისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეასრულა ყველა სამუშაო დაკისრებული დავალებათა მიხედვით, გარდა ისეთი სამუშაოსი, რომლის შესახებ ჯერ კიდევ არ ჰქონდა მას სამუშაო გეგმა მიღებული.

ამხ. კაკაბაძის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი აღნიშნავს ერთგვარ მიღწევებს ინსპექციის წინაშე არსებულ ამოცანების განხორციელების საქმეში.

ამასთანავე პლენუმი აღნიშნავს, რომ ობიექტიური პირობები საშუალებას არ აძლევდა მუშათა და გლეხთა ინსპექციას სავსებით შეესრულებია დასახული ამოცანები. პლენუმი საჭიროთ სთვლის სათანადო ღონისძიებების გატარებას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და იმ მიზნით, რათა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები თანდათან შეეფარდებული იქნენ რაციონალიზაციის მუშაობის შესასრულებლათ.

პლენუმი აგრეთვე საჭიროთ სთვლის მაქსიმალურად შემცირებული იქნეს საგეგმო დავალებათა რიცხვი.

იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციას მეტი საშუალება უნდა ექნეს საკუთარ ინიციატივის გამოჩენისა, დამოუკიდებელ გამოკვლევათა საწარმოებლათ, პლენუმი ურჩევს მუშათა და გლეხთა ინსპექციას შემდეგში თავი შეიკავოს ისეთ რევიზიებისა და გამოკვლევებისაგან, რომელთაც არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა, რაც ხელს უშლის ინსპექციის ორგანოების განტვირთვას.

მიღებული იქნეს ზომები ინსპექციის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლათ და სხვა.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია და მუშათა და გლეხთა კორესპონდენტები

ამხ. დოლიძის მოხსენების გამო, მუშათა და გლეხ კორესპონდენტებთან კავშირის [illegible] ცნობის: [illegible] ბის წინაშე მუშკორთა და გლეხკორთა გაერთიანებულ ცენტრალურ ბიუროს მოწყობის შესახებ.

საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს დაევალა შეიმუშაოს ღონისძიებები მუშკორთა და გლეხკორთა კულტურული დონის ამაღლებლათ და მათ დასაცავად დევნისაგან.

ამასთანავე ერთად პრეზიდიუმს დაევალა მიიღოს ზომები რედაქციების პასუხისმგებლობის გასაძლიერებლათ ისეთ ცნობების მოთავსებისათვის, რომლებიც წინასწარ შემოწმებას საჭიროებენ იმ მუშკორებისა და გლეხკორების პასუხისგებაში მიცემით, რომლებიც განზრახ ყალბ ცნობებს აწვდიან რედაქციებს და სხვა.

პარტაქტივის ზედმეტათ დატვირთვის შესახებ

ზედმეტად პარტაქტივის დატვირთვა გავლენას ახდენს პირველ ყოვლისა მუშაობის ხარისხზე, ხოლო მეორე მხრივ ის ვნებს თვით მუშაკების ჯანმრთელობას. ამ საკითხის მოსაწესრიგებლად გადადგმული ნაბიჯები ჯერ-ჯერობით მიზანს ვერ აღწევს. სპეციალისტი ექიმები საჭიროდ სთვლიან ამ საკითხის შესწავლას პარტდატვირთვის საფუძვლიანად გადასინჯვას. ზედმეტათ დატვირთვას ადგილი აქვს არა მარტო პასუხისმგებელ მუშაკთა შორის, არამედ ის ჩვეულებრივ მუშაკთა შორისაც ფრიად ფეხმოკიდებულია. ეს გამოწვეულია მთელი რიგი მიზეზებით და მათ შორის ჩვენი კულტურული მიზეზებითაც. პლენუმმა დაადგინა: წინადადება მიეცეს პრეზიდიუმს დეტალურად დაამუშაოს ეს საკითხი და ცეკასთან ერთად გამოიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებები ამ დარგში შესაფერის კორექტივების შესატანად.

ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის შემადგენლობა

თბილისის კომკავშირის ორგანიზაცია შეიცავს ქალაქის 4 რაიონს, 12 სოფლისას და სამხედრო ნაწილებს.

დღეს ორგანიზაციაში ირიცხება 326 უჯრედი, რომელიც შესდგება 10.572 წევრების და კანდიდატებისაგან. აქედან 9.572 წევრია და 1.000 კანდიდატი.

შედარებით წარსულ წელთან ორგანიზაცია გაიზარდა 2.562 კაცით, (1925 წ. 1 მარტს ორგანიზაციაში ირიცხებოდა 8.010 კაცი და 255 უჯრედი).

ორგანიზაცია უმთავრესად გაიზარდა მუშებისა და გლეხების ხარჯზე. სამრეწველო დარგის მუშების რიცხვი ორგანიზაციაში უდრის 4.711 წევრს, ან 49,2%, ღარიბესი გლეხები 278—2,9%, საშუალო გლეხები 3.125—32,6%, ხელოსნები 90—1,0% და სხვები 1.368—14,3%. ქალთა რიცხვი ორგანიზაციაში უდრის 13,2%-ს. ა. ლ. კ. კ. წევრთა რიცხვი, რომლებიც იმავე დროს კ. პ. წევრებიც არიან, უდრის 396 კაცს ან 10,4%.

თბილისის მაზრაში ითვლება 77 უჯრედი, რომელიც აერთიანებს 1.545 წევრს და კანდიდატს. მაზრაში წევრთა შორის გლეხობა შეადგენს 83,4%, მოჯამაგირეები 8,6%, მუშები 1,9% და სხვ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ კომკავშირის წევრები ჩაბმული არიან საბჭოების მუშაობაში, კოოპერატივებში, გლეხკომებში, ა. ლ. კომკავშირის ორგანიზაციის ზრდასთან ერთად იზრდება წევრთა აქტივობაც.

ნ. განევიჩი.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

გავაცხოველეთ მუშაობა

ს. ს. კოშკის ტეხერში, ხახუტის ტეხერში და ლინის კალთაში არსებობს ა. ლ. კ. კ. უჯრედები, რომლებსაც ხელმძღვანელობს ს. ხახუტის ტეხრის თემკომი. წინად ამ უჯრედებში უფრო გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა, სისტემატიურად ხდება კრებები, მიმდინარეობდა პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა, კომკავშირის ინიციატივით სოფლებში იმართებოდა წარმოდგენები. კოლექტიურად მუშავდებოდა მიწები; ქვრივ-ობლებს და წითელარმიელების ყანებს ვამუშავებდით, საზოგადოებრივ სამუშაოებში ვიღებდით აქტიურ მონაწილეობას. ამან სახელი მოუხვეჭა უჯრედებს გლეხურ ახალგაზრდობაში კომკავშირის, რის შედეგიც იყო ჩვენი რიგების ზრდა. ეს იყო 1923—24 წლებში. შემდეგ, 1924 წელში ამ უჯრედებს მოშორდენ აქტიური წევრები, ზოგი სასწავლებელში წავიდა, ზოგიც ჯარში გაიწვიეს, რამაც შესუსტება მუშაობა, შეანელა. 1925 წელში ისევ დაეტყო მუშაობას გამოცოცხლება. ეს უმთავრესად აიხსნება მით, რომ თემურ სისტემაზე გადავედით და ხელმძღვანელობა თემკომს დაევალა. კრებები სისტემატიურად ხდება; არსებობს სხვადასხვა წრეები. აღდგენილია კავშირი პარტიულ უჯრედთან; ვუშვებთ კედლის გაზეთს.

ტეხერელი.

სასოფლო მეურნეობა

საჭირბოროტო საკითხი

(მეცხვარეობის განვითარებისათვის)

ცხვარი ზამთარ-ზაფხულობით იშვიათად დგება ამავე საძოვარზე. ამ მხრივ ის ძლიერ სათუთი ცხოველია. ჩვენი ცხვარი თუ საზამთრო საძოვრიდან საზაფხულოზე არ გაირეკა, ივლისის თვის შუამდის უსათუოდ ამოწყდება. საქართველოს მეცხვარეობა მუდამ სარგებლობდა ორი სხვადასხვა მხარის: ახალქალაქის და თუშეთის საძოვრით. მე აქ მინდა თუშ-ფშავის საძოვრებზე მკითხველთ მივაწოდო ზოგიერთი ცნობები.

თუშ-ფშავის მთის საძოვრები მაინც და მაინც ვერ არის დიდი სივრცის. ბალახის ხარისხის მხრივაც ის ძლიერ ნაკლებია, მაგრამ ქისტ—ჩეჩნების ბანდიტური ნაწილების შიშით რომ მას მეცხვარეები არ გაურბოდნენ, შესაძლებელია მოეწყოს 200—300 ათასი სული ცხვარი, რის შემდეგაც საძოვრების ასე საბედისწერო კრიზისი გაქრებოდა.

ამ საძოვრებზე ყოველ წელს ორგანიზაციულად დარაზმული ბანდები გადმოდიოდნენ საზღვარზე და საზაფხულოდ იქ დაბანაკებულ მეცხვარეებს სტაცებდნენ ასობით და ათასობით ცხვარს.

1917, 18, 19, 20 წლებში ბანდიტობამ გასაოცარი სახე მიიღო. იმ ხანებში ისინი არ სჯერდებოდნენ „ბორბალოს უდელტეხილ“, „ბათურის“ და „ბოთნის თავი“ „ალაზნის თავი“, „ტებულფყუტაროვანის“ და „პირიქით“ თუშეთის მიდამოებს საქონლის მოტაცებას, და თავისუფლად ჩამოდიოდნენ ვაკე კახეთში, საიდანაც უშიშრად იტაცებდნენ დიდძალი ღირებულების საქონელს. შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, რომ საქონელთან ერთად გაუტაცნიათ მწყემსები და ქალები, რომელთაც 60—80 ვერსის მოშორებულებს მკვდარს პოულობდნენ, ზოგიერთებს კი უგზოუკვლოთ კარგავდნენ.

მარტო ერთი დაცემის დროს თავდამსხმელებსა და მეცხვარეების მხრიდან მოკლულ იქნა 80 კაცი. ამის შემდეგ ბანდიტებსა და მეცხვარეებს შორის თითქოს ზავი ჩამოვარდა, მაგრამ მათი ზავი და კატის პარასკევი ერთი გამოდგა. იხელთეს თუ არა დრო, ისევ განაგრძეს თავდასხმები ძველებურათ.

სტატისტიკური ცნობების მიხედვით 21, 22, 23 და 24 წლის განმავლობაში ზემო ალვანის სოფლის მეხიზრეებთაგან გაიტაცეს ბანდიტების მიერ 31 კაცი. ამათში მოკლულ იქნა 19. ცხვარი გატაცებულ იქნა 4290 სული, ხარები და ცხენები კი 79.

ამავე ხნის განმავლობაში ქვემო ალვანის მეხიზრებლებისაგან გატაცებულ იქნა 177 ცხენი და ხარი და 6327 სული ცხვარი. მოკლულ იქნა ცხრა კაცი.

გატაცებულ საქონლის ღირებულება, სულ ნაკლები რომ ვიანგარიშოთ ორ სოფელში უდრის 263.540 მანეთს.

გასულ წელს ბანდიტების თავგასულობას მთავრობის მიერ მიექცა განსაკუთრებული ყურადღება და იქ ჩაყენებულ იქნა 80 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმი. რაზმის დანიშნულება იყო დაეცვა მთებში მომწყვდეული მეცხვარეები დაცემა-აოხრებისაგან. ის დანიშნულიც იყო საზღვრების ისეთ ჯვარედინებზე, საიდანაც განტაცი საქონელი აუცილებლად უნდა გაატარონ. რაზმის ქირას იხდიდა ხაზინა და უნდა ითქვას, რომ გასულ წელს საბჭოთა მთავრობამ ხსენებული რაზმის ჩაყენებით დაუფასებელი სამსახური გაუწია თუშ-ფშაველ მეცხვარეებს.

საიჯარო გადასახადი ხაზინას იმდენი შემოუვიდა, რომ ის რაზმზე გაწეულ ხარჯებს ორჯერ მაინც დაფარავდა. გასულ წელს ამ მთებზე დაბანაკებული იყო 18 ბინის ცხვარი, ხოლო რომ მთები სავსებით დაიფაროს ცხვარით, დაეტევა 70—80 ბინამდის, ან სამასი ათასამდის სული ცხვარი. ამრიგათ, საიჯაროდან სახელმწიფო თვალსაჩინო შემოსავალს მიიღებს. ვინაიდან მეცხვარეები იძულებულნი არ იქნებიან თავიანთი ფარა გადარეკონ სხვა მოსაზღვრე რესპუბლიკებში, სადაც საიჯარო გადასახადს კერძო პირებს სასარგებლოდ უმოწყალოთ იხდიან და შორ გზაზე გადასვლა • გადმოსვლის დროს • დიდძალი საქონლის დაღუპვასაც გადურჩებიან.

წელს მოსალოდნელია დიდძალი მწყემსობა დაიძრას ამ მხარისაკენ და დაცვის საქმე თუ ასე გაგრძელდა, უსათუოდ დაიფარება მთების საძოვრები. მწყემსები თითო სულ ცხვარზე გადასახადს იხდიან 15 კაპ. ასე რომ მოსალოდნელია მიღებულ იქნა 45.000 მან. (300,000×15 კ.).

ამ წელს სამარისი იქნება 50 მეცვარის ჩაყენება ხუთი თვის განმავლობაში. თვითეულს რომ მიეცეს 50 მანეთი ჯამაგირად, საჭირო იქნება 12.500 მანეთი. ამრიგათ, რომ მთავრობამ გააგრძელოს მომავალ ზაფხულსაც იქ რაზმის დგომა, ზარალს ხაზინა არას გზით არ მიიღებს და თანაც გაკეთდება დიდი სასარგებლო საქმე.

მაგრამ, როგორც ირკვევა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წელს იქ რაზმის ჩაყენება ზედმეტად მიაჩნია. ის ფიქრობს თურმე: „შარშან მეცხვარეებზე დაცემები არ უწარმოებიათ და მიმდინარე წელსაც მოსალოდნელი არ არის რაიმე ექსცესებს მიეცეს ადგილი“. კომისარიატის ეს მოსაზრება შეიძლება ნაწილობრივად მართალიც იყოს, მაგრამ მეცხვარეებს ვერავინ დააჯერებს იმაში, რომ ბანდიტობა საბოლოოთ აღმოფხვრილია.

თუ მართლაც გამართლდა კომისარიატის ეს მოსაზრება და რაზმი მომავალ ზაფხულსაც არ იქნა ჩაყენებული, მას უსათუოდ მოჰყვება სამწუხარო შედეგი, ვინაიდან არამც თუ ვინმე ახალი მწყემსი, არამედ ის, ვინც გასულ წელს იყო იქ, თავს არიდებს ამ მთებს და თუ ვინმე რაინდი აღმოჩნდა და გაბედა დაბანაკება, უსათუოდ დაზარალებული დაბრუნდება.

ამ საქმეს უნდა მიექცეს შინაგან საქმეთა კომისარიატის და თელავის სამაზრო აღმასკომის განსაკუთრებული ყურადღება. ყოველი მიზეზის გარეშე მიმდინარე წელსაც უნდა მოეწყოს თუშეთის მთების დამცველი, საზღვრების გამო მთავრობისათვის მოუხერხელი რაზმი.

ხოლო, თუ რაიმე ტექნიკური ან სხვა მოსაზრებით რაზმის შარშანდებურად იქ ჩაყენება, მაშინ მთები განსაკუთრებული პირობების ქვეშ უნდა გადაეცეს თვით მეცხვარეებს მათი ამხანაგობა „მწყემსი“-ს სახით, რომელმაც აუცილებლად უნდა ჩააყენოს რაზმი და შემოსავლის ნაწილიდან უნდა დაფაროს მათი შესანახი ხარჯები, ხოლო ნაწილით აუნაზღაუროს მთავრობას საიჯარო გადასახადი.

გრ. ჭოჭუა.

მეაბრეშუმეობის განსავითარებლად

თუთის ხეების მოჭრის აკრძალვა

ამ უკანასკნელ ხანში მეაბრეშუმეობამ ჩვენს სასოფლო მეურნეობა და ეკონომიკაში საპატიო ადგილი დაიჭირა. მაგრამ მეურნეობის ამ დარგის უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას, სხვათა შორის, ძალიან აფერხებს თუთის (ბჟოლის) ხის ნაკლებობა. თუმცა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს სათანადო ზომები აქვს მიღებული, რომ თუთის პლანტაციები გაშენდეს არა მარტო საბრეშუმო რაიონებში, არამედ იქაც, სადაც მეაბრეშუმეობა ახლად იკიდებს ფეხს, მაგრამ სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობები და მათ შორის ადგილებზე ახალი გზების გაყვანა და ძველების გაფართოება, მიწების გადამიჯვნა იწვევს თუთის ხეების განადგურებას. ვინაიდან აღნიშნული მდგომარეობა დიდ საფრთხეს უქადის მეაბრეშუმეობის განვითარებას საქართველოში, ამიტომ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა აკრძალა თუთის ხეების მოჭრა, მიწადმოქმედების კომისარიატს განზრახვა აქვს ამავე დროს აწარმოოს გლეხებში კამპანია თუთის ხეების მოჭრის წინააღმდეგ. კომისარიატმა აგრეთვე გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს ხელისუფლების წინაშე, რათა იმ დაწესებულებებს, რომლებიც აწარმოებენ ძვირფასი ჯიშის ხეების დამზადებას და მათ გასაღებას საზღვარგარეთ, სასტიკათ აეკრძალოთ თუთის ხეების დამზადება. კომისარიატმა ამასთან ერთად აცნობა ადგილობრივ აღმასკომებს, რათა გზების გაყვანისა, თუ გაფართოების და ადგილების გადამიჯვნის დროს ერიდონ თუთის ხეების გაჩეხვას.

რამდენი ტრაქტორია საქართველოში

მიმდინარე წლის პირველ მარტისათვის საქართველოში იყო სულ 44 ტრაქტორი; აქედან ახალქალაქის მაზრაში—1, გორში—5, დუშეთში—2, თელავში—4, ოზურგეთში—1, სენაკში—6, სიღნაღში—11 და თბილისის მაზრაში—14.

სისტემების მიხედვით ტრაქტორები ნაწილდება შემდეგნაირად: ფორძონის სისტემის ტრაქტორები—32, „ი. დ.“—1, „ფაულერ-კომპაუნდ“—3, „მულონ“—4, „ფიატ“ № 703—2, „ბოლდ“—1 და „ჰარტ-პერ“—1.

აღნიშნულ ტრაქტორებიდან „ფაულერ-კომპაუნდ“-ის სისტემის ტრაქტორში 40 ძალისაა, დანარჩენები კი 6-30-დე.

რაც შეეხება რუსეთის ქარხნებში დამზადებულ ტრაქტორებს, მათ გასული წლის განმავლობაში ავრცელებდა საქციო საზოგადოება „სელმაშ“-ი, მაგრამ გავრცელებას არ ჰქონია სისტემატიური ხასიათი, კერძო მეურნენი იძენდენ რუსეთის ქარხნების გუთნებს, უმთავრესად, „ოკ“, „დ. 105“ და „დ. 8“ სისტემებისას.

სულ შეძენილია თბილისის, ბორჩალოს, გორის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში 700 გუთანი.

სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და იარაღებს იძენდა და ანაწილებდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებულ გეგმის თანახმად.

შეძენილ მანქანების დიდი ნაწილი მოდის ამერიკაში და გერმანიაში დამზადებულ მანქანა-იარაღებზე.

სამკურნალო მცენარეების დამზადება

სამკურნალო მცენარ დამზად

ამ რამოდენიმე წლის წინად სოფელ ციხის ძირში (ჩაქვის მახლობლად) მოეწყო ამხანაგობა, რომლის მთავარ მიზანს შეადგენს სამკურნალო მცენარეების შეგროვება და ნახევრად ფაბრიკატების დამზადება. ამხანაგობაში წევრებად შედიან ადგილობრივი გლეხები და აგრეთვე კვალიფიციური მუშაკები—ფარმაცია ფარმაკოლოგიის მცოდნე რამოდენიმე სპეციალისტი.

ამხანაგობა აგროვებს და ახარისხებს სამკურნალო წამლების ნედლეულს იკვლევს აჭარისტანის და გურიის ხალხო მდიდარ სოფლების მცენარეობას და ამავე დროს აწარმოებს შეგროვილი მცენარეებისაგან ნახევრად ფაბრიკატების დამზადებას.

გასულ საოპერაციო წლის განმავლობაში ამხანაგობა აწარმოებდა მუშაობას ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მიერ დაკისრებულ გეგმის შესასრულებლად.

ამხანაგობის მიერ შეგროვილ იქნა დიდი ძალი გვიმრა, კატაბალახას ძირები, ბელადონა, შროშანა ადგილობრივი ბაზრის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. უცხოეთში გასაზიდათ ამხანაგობამ დაამზადა საპარსული გვირილის და ფიტოლაკის ძირები.

უკანასკნელი სამკურნალო მცენარეები დიდი მოგებით გასაღებულ იქნა ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მიერ ამერიკასა და ინგლისის ბაზარზე.

ციხის ძირის სამკურნალო მცენარეთა დამამზადებელმა ამხანაგობამ თავისი მუშაობით მეტად დააინტერესა ადგილობრივი გლეხობა, რომლებიც თან და თან თავს ანებებს სიმინდის თესვას და ხელს კიდებს სამკურნალო მცენარეთა მოვლა-მოშენებას.

რკინისგზებზე

შავი ზღვის რკინისგზა

გუშინ მოსკოვიდან დაბრუნდა შავი ზღვის რკინისგზის სამუშაოთა უფროსი ინჟინერი კაციტაძე. ამხ. კაციტაძის გადმოცემით, საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა ყველა ის სამუშაოები შავი ზღვის რკინისგზის სამხრეთ ნაწილში, რომელიც გათვალისწინებული არის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით.

ხარჯთაღრიცხვა უდრის 1.700.000 მანეთს. ამასთან ერთად სამუშაოთა უფროსმა ინჟინერმა კაციტაძემ მიიღო დაპირება უმაღლეს ორგანოებიდან, რომ მიმდინარე წელს სამუშაოების საწარმოებლად გაღებული იქნება დამატებითი ხარჯები ხარჯთაღრიცხვის გარეშე.

მოძრაობის მოწესრიგება ქალაქის ქუჩებზე

გუშინ, საღამოს 6 საათზე, შედგა შოფერების, მილიციონერების და ტრანსპორტის სხვა მუშაკთა გაერთიანებული კრება. თბილისის მილიციის უფროსმა ამხ. ხმალაძემ კრებას გააცნო ქალაქის ქუჩებში მოძრაობის მოწესრიგებისათვის გამომუშავებულ ამ დამატებითი დადგენილებათა პროექტი. რომელიც შემუშავებულ იქნა ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის „ქომეის“-ს და ქალაქის მილიციის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისიის მიერ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, პროექტი კრების მიერ მოწონებულ იქნა. პროექტი ძალაში შევა მისი ქალაქის აღმასკომის მიერ დამტკიცების შემდეგ.

შაქრის ჭარხლის მოყვანა

შარშან გორის მაზრაში, დოღლაურის ველზე (სად. გორის მახლობლად) საცდელად დათესილ იქნა შაქრის ჭარხალი, რომელიც გამოგზავნეს კიევიდან, ხუთ სხვადასხვა ადგილას იქნა დათესილი და ყველგან მისცა შაქრის შემადგენლობა 40 პროცენტამდის, ჩვეულებრივად კი ეს შემადგენლობა არ აღემატება 17 პროცენტს.

წრეულს დათესილი იქნება 5—6 დესეტინა. თუ შედეგი ასეთივე ნაყოფიერი იქნა, მაშინ. ჭარხლის მოყვანა მიიღებს დიდ საწარმოო მასშტაბს.

შემდეგისათვის უკრაინიდან გადმოტანილი იქნება ერთ-ერთი გაუქმებული შაქრის ქარხანა. რასაც დასჭირდება ერთი მილიონი ფუთი ჭარხალი, ამ რაოდენობის მოსაყვანად კი საჭიროა 10.000 დეს. მიწა.

ხუთშაბათს, 25 მარტს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება

სამგლოვიარო საღამო

ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგების

მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მოგილევსკის

ხსოვნის აღსანიშნავად.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვლენ ამხანაგები: **ცხაკაია, მახარაძე, ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, ნაზარეტიანი, აღამალი-ოღლი, ლუკაშინი, კარინიანი, ელიავა, ხანოიანი, ლევანდოვსკი, იაკუბოვი და კახიანი.**

პროფკავშირის წევრებისათვის შესვლა თავისუფალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსეული სასჯელი სახალხო ქონების მფლანგველებს

საქართველოს საგანგებო კომისიამ დაამთავრა საქმე იმ პირთა ჯგუფის დანაშაულობრივ მოქმედების შესახებ, რომელნიც მიეტმასნენ საბჭოთა ხელისუფლებას და რომლებმაც თავიანთი „მოღვაწეობის“ ადგილად პირჩიეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალური ორგანო—„**წარმოკავშირი**“.

გამოძიების შედეგი იძლევა მრავალნაირ ბოროტმოქმედებათა ბნელ სურათს, დაწყებული ქურდობიდან და გათავებული ყალბი დოკუმენტების შედგენით და სახალხო ფულების სისტემატიური გაფლანგვით.

ამ ბნელი ოპერაციების მთავარი მწარმოებელნია—მატყლის დამზადების აგენტურა და აგრეთვე სხვადასხვა პირები, რომლებსაც უკავიათ ცოტად თუ ბევრად საპასუხისმგებლო თანამდებობანი, უმთავრესად საფინანსო-სამეურნეო დარგში.

ათეული ათასი მანეთი სახალხო ფულები, რომელიც გაცემული იყო მატყლის დასამზადებლად, რჩებოდა ამ პირთა ჯიბეებში და იხარჯებოდა პირად საჭიროებებზე, აღნიშნულ დაწესებულებას კი არ მიუღია არც ერთი ფუთი მატყლი; მიღებულ ფულებს ეს ვაჟბატონები აბანდებდენ თავიანთ საქმეებში სარგებლის მისაღებად. არ ერიდებოდენ არც ცუღლუტობას, ცუდი ხარისხის მატყლს ურევდენ კარგ მატყლში, რის გამოც საზოგადოება „მატყლს“ მოუვიდა 8.000 მანეთის ზარალი. ფულის ერთ ნაწილს ხარჯავდენ თავისთვის ზედმეტ ნამუშევრის და საკომპენსაციო გამოსაწერად, ალბად, „კარგი“ მუშაობისათვის. დანარჩენ ნაწილს პირდაპირ ფლანგავდენ, ხოლო შემდეგ გაფლანგვის დასაფარავად დაწესებულებაში ადგენდენ ყალბ ანგარიშებს და დოკუმენტებს.

დიდი თანხები გაჰქონდათ ანგარიშის ქვეშ ყალბი დოკუმენტებით, რასაც უყოყმანოდ ამტკიცებდენ „მათი ძმა-ბიჭები“ და ერთხელ გადახდილ ანგარიშებს ადგენდენ ხელახლა გასასტუმრებლად.

ამ პირთა ასეთი მოქმედების შედეგად, რომელნიც მოკალათებული იყვენ საბჭოთა აპარატში, გაფლანგული აღმოჩნდა სახალხო ფულები და წარმოკავშირმა ნახა უამრავი ზარალი.

თავიანთი მოქმედებისათვის ბრალდებულებმა მიიღეს ღირსეული სასჯელი: სამი მათგანი, ყველაზე უფრო თავზეხელაღებული აფერისტები და ხაზინის გამქურდავნი—**ოტიაშვილი, მეტრეველი და აბაშიძე—დახვრეტილი იქნენ.** დანარჩენებს მიესაჯათ გამასწორებელ სახლში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით: **ირაკლი ამირეჯიბს**—7 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით; **გველესიანს**—5 წლით დაპატიმრება; **ჩოჩუას და ბრეგვაძეს**—3 წლით. **ლუკაშვილს და დევდარიანს**—2 წლით და **ბრეგაძეს**—6 თვით.

გაფლანგველებს ჩვენს ორგანოებში მოეღება ბოლო გადამჭრელი ღონისძიებათა მიღებით.

„მ უ შ ა“

გაზეთ „მუშა“-ს, მეათასე ნომრის გამოსვლის გამო, ჩვენმა რედაქციამ გაუგზავნა შემდეგი მისალმება:

მძიმე ნივთიერ პირობებში, ხელმძღვანელ და ტეხნიკურ აპარატის სიმცირის მიუხედავად, „მუშა“-მ გადალახა მრავალი დაბრკოლებანი, რომელიც მისი განვითარების გზაზე იყო ათასეულ ციფრის მიღწევამდე, და დღეს ის უკვე თამამად შეგვიძლია მასიურ მუშურ გაზეთად ჩავთვალოთ. „მუშა“-ს ეხლანდელი ტირაჟი არც კი დასიზმრებია მენშევიკურ საქართველოს დროინდელ ერთად აღებულ რამოდენიმე ბურჟუაზიულ გაზეთებს.

თუ საბჭოთა პრესის ტირაჟის ასეთი არაჩვეულებრივი ზრდა, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ჩვენში, აიხსნება მშრომელი მასის აქტივობის განვითარებით, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქტივობის ამ ზრდაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის თვით საბჭოთა გაზეთებს.

გაზეთ „მუშა“-მ თავისი ათასი ნომერით უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა ქართველი მშრომელი მასის პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდის საქმეში.

დღეს „მუშა“ იბეჭდება საგაზეთო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, შინაარსითაც ის თანდათან უმჯობესდება.

ძმური სალამი გაზეთ „მუშა“-ს რედაქციას, მის ხელმძღვანელებს, თანამშრომლებს და მუშა-გლეხ-კორესპონდენტებს.

1000

„მუშა“-ს პირველი ნომერი გამოვიდა 1922 წლის 21 ნოემბერს. თითქმის სამნახევარ წელმა განვლო ამის შემდეგ და დღეს უკვე ავღნიშნავთ ამ გაზეთის მეათასე ნომრის გამოსვლას.

მძიმე გზა გაიარა „მუშამ“, სანამ ის ამ ოთხნიშნოვან ციფრს მიაღწევდა. არ შეიძლება არ შევჩერდეთ იმ მახინჯ პოლიტიკურ სულისკვეთებაზე, რომელიც მემკვიდრეობით დარჩა ახლად გამარჯვებულ საბჭოთა ხელისუფლებას მენშევიკების ბატონობის დამხობის შემდეგ.

ამ მხრივ, როგორც ხელისუფლებას, ისე მისი აზრის გამომხატველ საბჭოთა პრესას, უაღრესი მნიშვნელობის ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი. ბრძოლა მოწინააღმდეგე ელემენტების პოლიტიკურ და იდეურ განიარაღებისათვის ამ ხუთი წლის განმავლობაში უმთავრესად ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობის გზით მიმდინარეობდა.

დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანტისაბჭოთა ფრონტი საქართველოში თუ საბოლოოდ არაა განადგურებული, ყოველ შემთხვევაში ის მოშლილია ორგანიზაციულად და დაჩაჩანაკებულია იდეურათ, რომ აქ ხელისუფლებასთან ერთად საბჭოთა პრესა დაუცხრომელ მუშაობას აწარმოებდა.

გაზეთ „მუშა“-საც თავის სამწლინახევრის არსებობის განმავლობაში უთუოდ დიდი დამსახურება მიუძღვის ქვეყნის ეკონომიურათ წარმატების, მშრომელი მასის პოლიტიკურ და კულტურულად აღზრდის საქმეში. და რომ ეს ასეა, ამას მოწმობს ის მიღწევები, რომელიც დღეს ამ გაზეთს მოეპოვება.

20.000 ტირაჟი, რომელზედაც საშუალოთ სამჯერ მეტი მკითხველი უნდა ვიანგარიშოთ 300 მუდმივი მუშა და გლეხი კორესპონდენტი,—ნუ თუ ეს არ ჩაითვლება საბჭოთა საქართველოს მუშურ გაზეთის უდიდეს მიღწევათ? „მუშა“ დღეს ათეულ და ოცეულ ათას მშრომელთა მკითხველის უძლიერესი ტრიბუნაა.

მიუხედავათ მძიმე ნივთიერ პირობებისა, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა ამ გაზეთს სამნახევარ წლის განმავლობაში, მან არა მარტო შესძლო პარტიის დავალების შესრულება, არამედ თავის თავის გაუმჯობესებაზე ზრუნვაც მოახერხა. დღევანდელი „მუშა“, სრულიად არ წააგავს მის წინამორბედ ასეულ ნომრებიან „მუშა“-ს. დღეს ის ბეჭდვითი ტეხნიკის საუკეთესო მანქანებზე გამოდის. დღეს „მუშა“ პოლიგრაფიულ ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვით იბეჭდება.

ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია მას. განსაკუთრებით საჭიროა გაზეთის შინაარსის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. „მუშა“-ს თავის მკითხველი ჰყავს. ამ მკითხველს თავისებური ენა და საკითხების შესაფერისად გაშუქება ესაჭიროება. ეს არც ისე ადვილი ამოცანაა. აქ ჩვენ არა გვაქვს დიდი გამოცდილება, მუშა საკუთრივ და თითქმის ახლად იკვლევს გზას ამ მიმართულებით. მიღწევები აქაც უთუოდ თვალსაჩინოა. ჩვენ სავსებით გვჯერა, რომ გაზეთი ღირსეულად დასძლევს ამ სიძნელესაც, ისე როგორც გადალახა მან სხვა დაბრკოლებანი და სწრაფი ნაბიჯით წავა წინ დიდი ოქტომბრის ჩირაღდანით ახალ ათეულ და ასეულ ათას მკითხველებისაკენ.

ა. ბ.

თბილისის საბჭოს სექციებში

22 მარტს საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს ყველა სექციების სხდომა.

სამხედრო სექცია

პირველ რიგში სექციამ მოისმინა სექციის ბიუროს მოხსენება მის მიერ წარმოებულ მუშაობაზე ნოემბრიდან უკანასკნელ დრომდე. მომხსენებელმა ამხ. **ფედიაკოვსკიმ** აცნობა სექციას, რომ ბიურო უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მომავალი მუშაობის გეგმის გამომუშავებას და დემობილიზაციაქმნილ ჯარის ნაწილების დახმარების საქმეს. უვადო შვებულებაში დათხოვილ წითელარმიელთა დახმარების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა მათი მოწყობა სხვადასხვა სამოქალაქო სამსახურში.

სექციამ ბიუროს მუშაობა სცნო დაუკმაყოფილებლად შემდეგი მიზეზებისა და მოსაზრებების გამო: 1. ბიუროსათვის მუშაობა ახალ საქმეს წარმოადგენდა. 2. ბიუროს არ ჰყოლია მუდმივი მუშაკი, 3. ხშირად იცვლებოდა ბიუროს შემადგენლობა და 4. სექციის წევრები გულგრილად და პასიურად ეკიდებოდენ დაკისრებულ მოვალეობას.

მეორე რიგში მოსმენილ იქნა ქალაქის კომენდანტის ამხ. **აბაშიძის** მოხსენება სამხედრო მსახურთა საბინაო საკითხის შესახებ. მომხსენებელმა ციფრებითი ცნობებით დაასურათა სამხედრო მსახურთა დიდი გაჭირვება უბინაობის გამო. ქალაქის აღმასკომს სამხედრო მსახურთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად გადაუცია 18 სახლი, მაგრამ ამ სახლების მდგმურთა 60 პროც. წარმოადგენდენ არა სამხედრო პირნი, სამხედრო პირნი შეადგენდენ მხოლოდ 40 პროც. სამხედრო პირებისათვის ბინების განთავისუფლება მეტად სჭირს, შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელი ხდება. ყველა ამ მიზეზების გამო სამხედრო პირთა საჭიროება ბინების მხრივ დაუკმაყოფილებელი რჩება.

სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის სექციაში

სოფლად მუშაობის სექციის მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნა სატყეო ინსპექტორის ამხ. **ფრუიძის** მოხსენება, რომელიც შეიცავდა თბილისის მაზრის სატყეო მეურნეობისა და ტყეების ექსპლოატაციის მოკლე მიმოხილვას.

თბილისის მაზრის ტყეების საერთო სივრცე უდრის დაახლოვებით 180 ათას დესიატინას. ტყეების ამ სივრცეზე თეორეტიული გამოანგარიშებით ყოველწლიურად შეიძლება დამუშავებულ იქნეს 22 ათასი კუბიკური საჟენი ხე-ტყე. გასულ წელს ტყეების ექსპლოატაციიდან მიღებულ იქნა 181.618 კუბ. საჟ. შეშა, 2883 კუბ. საჟ. ჯირკი, 708 კუბ. საჟ. ფარჩხი, 11.555 ფუთი რკო და სხვა. ...ულ ტყეების ექსპლოატაციისაგან შემოვიდა 120 ათასი მანეთი. ამ თანხაში არ შედის 22 ათასი მანეთი, რომელიც აღებული იქნა ჯარიმის სახით სატყეო წესების დარღვევისა და ტყეების ნებადაურთველად გაჩეხვის გამო. ამხ. ფრუიძის მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად.

ჯანმრთელობის სექცია

ჯანმრთელობის სექციის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ჯანმრთელობის განყოფილების სამკურნალო ქ/განყოფილების მუშაობის შესახებ; მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 5 თვის განმავლობაში ჯანმრთელობის განყოფილების 8 სამკურნალოში პირველი სამკურნალო დახმარება მიუღია 33 ათასს, ხოლო მეორეჯერ დახმარება მიუღია 100 ათასს. კლიენტების უმრავლესობას შეადგენს მცხოვრებლების უღარიბესი ნაწილი. მოკლე ხანში განზრახულია პირველ ქალაქის საავადმყოფოსთან გაიხსნას განყოფილება წითელკანიანი ავადმყოფობისათვის. ამავე საავადმყოფოში გაფართოებული არის პროზექტურა. დიდი წარმატებებით სწარმოებს აგრეთვე ელექტრო-მკურნალობა და მკურნალობა მთის მზის სხივებით. მესამე საავადმყოფოსთან კარგად მიმდინარეობს კანისა და ვენერიულ განყოფილების მუშაობა. აქ ავადმყოფებისათვის მოწყობილია საწოლები. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან თბილისში არ არის სხვა საავადმყოფო, სადაც სწარმოებდეს ამ სნეულებით დაავადებულთა სტაციონალური მკურნალობა.

დასასრულ სექციამ მოისმინა და დაამტკიცა მომავალი მუშაობის გეგმა.

საფინანსო სექცია

საფინანსო სექციის 22 მარტის სხდომაზე პირველ რიგში მოხსენება გააკეთა ამხ. **გავაშელმა** თბილისის და მისი მაზ. 1925-26 წლ. ბიუჯეტის შესახებ. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მიმდინარე სამეურნეო წლის ბიუჯეტი შედგენილია მნიშვნელოვანი დეფიციტით. უმაღლესმა ცენტრალურმა ორგანოებმა დეფიციტი შეამცირეს საგრძნობლად. ცენტრიდან დეფიციტის დასაფარავად გაღებულია მხოლოდ 500 ათასი მანეთი. ამასთან ერთად ნახევარ მილიონ მანეთს გრძელვადიანი სესხის სახით იძლევა მოსკოვის ცენტრალური კომუნალური ბანკი. დეფიციტის დანარჩენი ჯამი დაფარული უნდა იქნეს საგასავლო ნაწილის სხვადასხვა მუხლების შემოკლების საშუალებით. სექციამ ამხ. გავაშელის მოხსენება მიიღო ცნობად.

შემდეგ მოხსენებები გააკეთეს სექციის იმ წევრებმა, რომელნიც მიმაგრებულნი არიან სამუშაოდ ფინინსპექტორებთან. მოხსენებებიდან გამოირკვა: ფინინსპექტორების მუშაობას აბრკოლებს ის გარემოება, რომ მათ არ ჰყავს სათანადო შტატი და არა აქვთ თანხები სამეურნეო და საკანცელარიო მუშაობის საწარმოებლად.

სექციამ დაადგინა, რომ ახლო მომავალში ფინინსპექტორებთან მიმაგრებულმა სექციის წევრებმა წარმოადგინონ წერილობითი მოხსენებები, სადაც დაწვრილებით აღნიშნული იქნება შემჩნეული ნაკლულევანებანი.

დასასრულ სექციის წევრების მიერ აღძრულ იქნა საკითხი დეზერტირის ბაზრის ანტი-სანიტარული მდგომარეობის შესახებ. სექციის დადგენილებით საჭიროა, რომ ადგილობრივ გადასახადების ქვეგანყოფილებას და აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას დაევალოს დეზერტირის ბაზრის მდგომარეობის გამორკვევა და მის შესახებ საკითხის დასმა აღმასკომის პრეზიდიუმში.

სახალხო განათლების სექცია

სახალხო განათლების სექციის უკანასკნელ სხდომაზე სკოლების მდგომარეობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს მე-32-ე, 49-ე, 50-ე და 68-ე შრომის სკოლების წარმომადგენლებმა, რომელთაც აღნიშნეს ჩვენი სკოლების უმწეო მდგომარეობა. მათი გადმოცემით სკოლებს არ მოეპოვებათ ფიზიკური კაბინეტები და თუ მოეპოვებათ,—ხელსაწყოების ძალიან მცირე რაოდენობით. სკოლებთან მოწყობილ სახელოსნოებს არ აქვთ საჭირო ინსტრუმენტები, რის გამოც მოუხერხებელი ხდება მოწაფეების გაწვრთნა სხვადასხვა ხელოსნობაში. სკოლების დიდი უმრავლესობა საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას.

ეკონომიური ცხოვრება

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

საქართველოს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარემ ს. მ. უ. საბჭოს ქვემდებარე ორგანიზაციებს დაუგზავნა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია:

„მიმდინარე სამეურნეო წელს საბჭოთა მრეწველობის პროდუქცია თითქმის სავსებით უახლოვდება ომამდე არსებულ ნორმას. მიუხედავად იმისა ჩვენი მრეწველობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას და ქვეყანა განიცდის საქონლის მწვავე სიმშილს.

ამ მოვლენის თავიდან აცილებლად საჭიროა სახელმწიფო მრეწველობის განვითარება ხდებოდეს გაცილებით უფრო დაჩქარებული ტემპით, ვიდრე ეს იყო დღემდე. ეს კი შეუძლებელია მრეწველობის ტეხნიკური მოწყობილების განახლების და რადიკალური გადახალისების გარეშე.

ეს უამრავი თანხები, რომელიც დასჭირდება საბჭოთა მრეწველობას კაპიტალურ მშენებლობისათვის, უნდა გამოინახოს უმთავრესად თვით საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში სოციალისტური დაგროვებისა და ნივთიერი მარაგის შექმნით, როგორც სასოფლო მეურნეობაში, ისე განსაკუთრებით მრეწველობაში.

მხოლოდ უაღრესი ეკონომიის დაცვით ჩვენი მეურნეობის ყველა დარგებში და არსებული რესურსების გამოყენებით შესაძლებელია ჩვენი მრეწველობის განვითარების უზრუნველყოფა. ამიტომ ჩვენი სამეურნეო ორგანოების უდიდეს პრაქტიკულ ამოცანას ამჟამად უნდა შეადგენდეს სასტიკი ბრძოლის წარმოება ყოველგვარ გაუმართლებელ ზედმეტ ხარჯების წინააღმდეგ.

მომჭირნეობისათვის წარმოებულ ბრძოლაში, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს არა საწარმოო ზედნართ ხარჯების სიდიდე, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ ჩვენი ტრესტების პრაქტიკაში დღესაც ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, როგორიც არის: გაზვიადებული შტატები, პარალელიზმი მუშაობაში, ხშირი და გაუმართლებელი მივლინებები, გადაჭარბებული რეკლამები და სხვა.

ბრძოლა ამ ზედნართი ხარჯების სიდიდის წინააღმდეგ მუდამ შეადგენდა საბჭოთა მრეწველობის ხელმძღვანელთა მთავარ მოვალეობას, მაგრამ დღეს შექმნილი მდგომარეობა უკარნახებს სამეურნეო ორგანოებს, რომ ეს ბრძოლა უფრო ინტენსიურად აწარმოონ.

ზემოხსენებულ მოსაზრებით და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების თანახმად, საქართველოს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ქვემდებარე ორგანოებს აძლევს შემდეგ წინადადებას, რომლის მიხედვით: 1. ტრესტები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ შეუდგენ ყველა ზედნართი ხარჯების გადასინჯვს მათი მაქსიმალური შემცირების მიზნით, 2. სახელმწიფო მრეწველობის სამმართველოს მთავარ ბუჰალტერს ევალება მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ტრესტების ფინანსიურ გეგმების და საანგარიშო ბალანსების განხილვის დროს—ზედხარჯების ჯგუფის ანალიზს; 3. სახელმწიფო მრეწველობის სამმართველოს სარევიზიო განყოფილებას ევალება თვალყური ადევნოს ტრესტების მიერ წარმოებულ მუშაობას ზედნართი ხარჯების შესამცირებლად; 4. დღიდან ამ ბრძანების გამოცემისა სახელმწიფო მრეწველობის უფროსს უნდა წარედგინოს ყოველ ორ კვირაში მოხსენება მუშაობის მიმდინარეობის და მიღწეულ შედეგების შესახებ.

საქონლის შემოტანა და გატანა

გეგმით გათვალისწინებული შემოტანა იანვრის განმავლობაში შედარებით წინა თვეებთან გაიზარდა შემდეგი საქონლის მიმართ: ლითონის ნაწარმოებისა 69 პროცენტით, პურის პროდუქტებისა—4 პროცენტით, ბამბეული მანუფაქტურის—9 პროცენტით, ასანთის—171 პროც., მარილის—31 პროც., ხოლო შემოტანა ქვემო ჩამოთვლილი საქონლისა კი შემცირდა: კალოშებისა—16 პროც., ქაღალდის—6 პროც., ჭურჭლეულობის—24 პროც.

შემოტანილი შაქრის რაოდენობა დარჩა იმდენივე, როგორც წინა თვეებში იყო; ლითონის და ლითონის ნაწარმოების შემოტანის მხრივ გეგმა შეუსრულებელია 11 პროცენტით, ჭურჭლეულობის — 51 პროცენტით, ქაღალდის—19 პროცენტით. დანარჩენი საქონლის შემოტანის დარგში გეგმა გადამეტებით არის შესრულებული.

აბსოლიუტურ ციფრებში იანვრის განმავლობაში გეგმიანი შემოტანა უდრიდა: პურის და პურის ფქვილის 1.313.000 ფუთს, ბამბეული მანუფაქტურის—89 ვაგონს, შაქრისა—336.000 ფუთს, ლითონის და ლითონის ნაწარმოების — 92.000 ფუთს, ჭურჭლეულობის—26.000 ფუთს, კალოშებისა—197.000 ფუთს, ასანთის—9,5 ვაგონს, ქაღალდის—46.000 ფუთს, მარილის—324.000 ფუთს.

ძირითადი საქონლის შემოტანას ომის წინადროინდელი ფასების მიხედვით დეკემბერთან შედარებით მოუმატია 19 პროც., 1924—25 წლის საშუალო თვიურ შემოტანასთან შედარებით—88 პროცენტით და 1925 წლის იანვართან შედარებით—77 პროცენტით.

სულ დანიშნულების ადგილას შემოტანილი ყოფილა იანვრის განმავლობაში—1.976.000 ფუთი ხორბალი და პურის ფქვილი, ანუ დეკემბერში შემოტანილი პურის პროდუქტების 88,5 პროცენტი.

გეგმის გარეშე შემოტანა იანვარში უდრიდა 363.000 ფუთს, ანუ მთელ შემოტანის 18 პროცენტს, რაც დეკემბრის შემოტანის 28 პროცენტს შეადგენს, შემცირების მიზეზი არის ვაგონების მიუწოდებლობა კერძო პირთათვის.

ფართალის ბაზარზე

საფეიქრო სინდიკატის მაღაზიების გადაცემა კომვოლის ტრესტისათვის

საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორამ მოსკოვიდან მიიღო ცირკულიარული განკარგულება ყველა საწვრიმალო მაღაზიების „კამვოლხბიტ“-ისთვის გადაცემის შესახებ.

ამის გამო ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა საკავშირო საფეიქრო სინდიკატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში ამხ. მორდვოვს, რომელმაც ამის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— მოსკოვში დაარსდა ახალი სააქციო საზოგადოება, რომლის მიზანია სახელმწიფო საწვრიმალო ვაჭრობის მოწესრიგება; ამ საზოგადოების ხელში იქნება აგრეთვე საფეიქრო საქონლით ვაჭრობაც.

საფეიქრო სინდიკატი ახალ საზოგადოებას აძლევს ყველა თავის საწვრიმალო მაღაზიებს; საფეიქრო სინდიკატს რჩება მხოლოდ ბითუმად ვაჭრობის უფლება.

განზრახულია ახალ საზოგადოებას დაერქვას „ტექსტილტორგ“-ი; მის განკარგულებაში იქნება აგრეთვე „კომვოლხბიტ“-ის ყველა მაღაზიები.

ახალი საზოგადოების გამგეობა შესდგება 8 კაცისაგან; გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულია „კომვოლხბიტ“-ის თავმჯდომარე ამხ. დეიჩი.

ამჟამად საზოგადოების წესდება მუშავდება უმაღლეს ინსტანციებში; ჯერჯერობით ახალი საზოგადოება იმუშავებს „კამვოლხბიტ“-ის წესდების თანახმად.

საფეიქრო სინდიკატის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორამ მიიღო კატეგორიული განკარგულება დაუყონებლივ შეუდგეს მაღაზიების გადაცემას; გადაცემა დაიწყება 27 მარტს.

„ტექსტილტორგ“-ის მიზანია, რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში მიაწოდოს მომხმარებელს მანუფაქტურა; ჩვენ მიერ მიღებულ ცნობებით, ზედნადები ხარჯები საწვრიმალო საქონელზე არ უნდა იქნეს 20 პროცენტზე მეტი.

ეკონომიურ საბჭოში

საზ-ბა „აბრეშუმი“-ს შესახებ

ეკონომიურმა საბჭომ ამოირჩია სპეციალური კომისია ამხ. ს. ჯუღელის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაავალა საზ-ბა „აბრეშუმი“-ს შესახებ ზოგიერთ საკითხების გამორკვევა. საზ-ბა „აბრეშუმი“-ს მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კომისიამ საჭიროდ სცნო გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) წინადადება მიეცეს საზოგადოება „აბრეშუმი“-ს საორგანიზაციო ბიუროს დაუყონებლივ შეუდგეს საზოგადოების ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას ეკონომიურ საბჭოს მიერ დამტკიცებულ საფუძველზე.

ბ) მიმდინარე წელ. საზ-ბის წევრად ჩაწერის მსურველთ შესავალი გადასახადი განესაზღვროს 50 კაპ.

გ) ნება მიეცეს საზ-ბის საორგანიზაციო ბიუროს მიიღოს წევრებად ისეთი პირნი, რომელთაც ამჟამად არა აქვთ სახსარი საწევრო გადასახადის შემოტანისათვის, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს გადასახადი შეტანილი იქნება საზ-ბის სალაროში პარკის ახალი მოსავლის მიღების დროისათვის.

დ) მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი მიმდინარე წელში პარკის დამზადების კამპანიის ჩატარება გასული წლის მიხედვით, ე. ი. პარკი დამზადდეს „აბრეშუმი“-ს მიერ.

ე) საზ-ბა „აბრეშუმს“ უკვე შეძენილი აქვს 3.000 კოლოფი საზღვარგარეთული თესლი, ხოლო დამზადებულია ადგილობრივი ჭიის თესლი 80.000 კოლოფი, რაც თითქმის აკმაყოფილებს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მოთხოვნილებას, რადგანაც საქართველოში (აფხაზეთთან ერთად) განზრახულია მიმდინარე წელში დარიგდეს მხოლოდ 110.000 კოლოფი თესლი.

ვ) აბრეშუმის ჭიის მეთესლეობის საქმის განვითარება ცნობილ იქნეს მეტად მნიშვნელოვან საკითხად, რომლის მოგვარება და მოწესრიგება ევალება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საზ-ბა „აბრეშუმს“.

ზ) საზ-ბა „აბრეშუმი“ განთავისუფლებულ იქნეს მიმდინარე წელში მეთესლეობის, თუთის ხეების გაშენების ან სხვა რაიმე კულტურულ საქმეების წარმოებიდან, როგორც ახალგაზრდა ორგანიზაცია.

საგზაო მშენებლობა

ახალი გზების გაყვანა

ამ ჟამად საქართველოს სამხედრო გზაზე, იმ რაიონში, სადაც მიმდინარეობს მუშაობა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებად, ხდება ახალი გზატკეცილის გაყვანა; ძველი გზა დანგრეული იქნება. ახალი გზატკეცილის გაყვანა დამთავრდება მიმდინარე გაზაფხულზე.

ამასთანავე განზრახულია გზატკეცილის გაყვანა სვანეთში; სათანადო პროექტი უკვე შემუშავებულია გზატკეცილების სამმართველოს მიერ. გზა გაყვანილი იქნება ჯვარიდან მესტიამდე 105 ვერსის მანძილზე. გზის გაყვანა დაჯდება ორი მილიონი მანეთი.

ამას გარდა, საქართველოს სამხედრო გზაზე ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა ბეტონის საფარის მოსაწყობად. საფარმა უნდა დაიცვას სამხედრო გზა მეწყერისაგან. საფარის სიგრძე იქნება 215 საჟენი.

სურამ-ძირულის გზის გაყვანა, რომელიც დაიწყო გასულ წელში, დიდი თოვლის გამო შეჩერებული იყო. მუშაობა განახლდება ამ დღეებში. უკვე შედგენილია ხიდების, ხელოვნური ნაშენების და სხვა მოწყობილობის პროექტები.

ხიდი მდ. მტკვარზე

ამ ჟამად სოფ. მეტეხთან (გორის მაზრა) სწარმოებს მუშაობა ხიდის ასაგებად მდ. მტკვარზე. ხიდი მზათ იქნება ახლო ხანში.

ელექტრონის ბორანი მდ. არაგვზე

გადაწყვეტილია ელექტრონის ბორანის მოწყობა მდ. არაგვზე. ამ ჟამად სწარმოებს გამორკვევა იმისა, თუ რა ეკონომიური მნიშვნელობა ექნება ელექტრონის ბორანს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

პროფკავშირებში

ვემზადოთ საზაფხულო კულტმუშაობისათვის

ზამთარი უკვე მიწურულშია და ჩვენი პროფკავშირების საზამთრო კულტმუშაობაც ნელ-ნელა სუსტდება და იძინებს. კიდევ ერთი თვენახევარი, ორი თვე გაივლის და ჩვენი საკლუბო მუშაობის წარმოება შეუძლებელი გახდება ზაფხულის სიცხეების გამო მუშათა კლუბებში. ესენი ვერ მიიზიდავენ უკვე ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში თავის ჭერქვეშ ჩვენ მუშებს. ეს ამ უკანასკნელთა ჯანმრთელობისათვის მხოლოდ საზიანო იქნება და ვერავითარ დადებით შედეგს ვერ მოგვიტანს.

ამიტომ ჩვენი კავშირების კულტგანყოფილებათა მთავარი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული იქითკენ, რომ საზაფხულო კულტმუშაობა სავსებით გადატანილი იქნეს მუშათა კლუბებიდან მაერზე: ბაღებში, მოედნებზე, მინდორ-ველზე და ტყეში.

ჩვენი ლამაზი ბუნების მომხიბლავ გულმკერდზე, ღია ცის ქვეშ, უნდა იკითხებოდეს ლექციები და იმართებოდეს საუბრები ბუნების და მთელი სამყაროს სიდიდე—საიდუმლოებებზე. ბუნების წიაღში და სუფთა მაერზე მუშა უნდა ეცნობოდეს ცხოველთა და მცენარეთა მდიდარ სამეფოს და სხ. და სხვ.

ამას გარდა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზიკურ კულტურას, რის საწარმოებლად ქალაქს გარედ მიჩნეული და სათანადოთ მოწყობილი უნდა იქნეს ტანვარჯიშობის მოედნები.

ყოველი დასასვენებელი და სხვა ყველა კვირა-უქმე დღეები უნდა იქნეს გამოყენებული მიზანშეწონილად სხვადასხვაგვარ სამეცნიერო ექსკურსიებისა და მოხალისეთა ტურნირებისათვის.

მუშები უნდა გაეცნონ ჩვენ მუზეუმებს, ფაბრიკა-ქარხნებს, კურორტებს, სანატორიებს, დასასვენებელ სახლებს, საბავშვო კერას, ბაღებს და მათ პირ-ვარამს.

მუშათა ექსკურსიებს უნდა მიეცეს მასიური და სისტემატიური ხასიათი. ჩვენი მდიდარი ქვეყნის სხვადასხვა ღირსშესანიშნავ კუთხეებში უნდა მოეწყოს მუშათა სამარშრუტო მატარებლები.

შარშან, როგორც ვიცით, ამ მხრივ ბევრი გაკეთდა, მაგრამ ეს მაინც არ კმარა; წელს ამ მხრივ მზადება და მუშაობა უნდა გავაორკეცოთ.

ამ მუშაობაში მჭიდროდ უნდა ჩავაბათ უპირველეს ყოვლისა ჩვენი პროფაქტივები და ყველა შეგნებული მუშებიც.

ასეთი მუშაობა არ არის სრულებით ჩვენი მუშებისათვის მომაწყენებელი და უნაყოფოდ დამღლელი. ისინი ამგვარ კულტმუშაობაში მეტს იძენენ გონებრივად და ჯანმრთელობის მხრივაც; უფრო სალად, უფრო ჯანმრთელად და უნარიანად გრძნობენ თავიანთ თავს.

მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ასეთ მუშაობას ჩვენი მუშების კულტურული და გონებრივი ჰორიზონტის გასაფართოებლად და ასამაღლებლად.

ამიტომ ჩვენმა პროფორგანოებმა თავიანთი საქმიანობის მთელი სიმძიმე უნდა გადაიტანონ საზაფხულო კულტმუშაობაზე.

ლანდი.

პროფმუშაობის ქრონიკა

სენაკის სამაზრო პროფბიუროში

◆ **დელეგატების არჩევა.** პროფბიუროს პრეზიდიუმმა დაადგინა 20 მარტამდის მოიწვიოს საქალაქო კონფერენცია ა/კ. პროფკავშირების ყრილობაზე დელეგატების ასარჩევად. ბიურომ დაადგინა აგრეთვე ამ კონფერენციაზე გამოგზავნოს დელეგატები მარნის ხე-ტყის ქარხნიდან.

ჭიათურის სამპროფბიუროში

◆ **მუშაობის განაწილება პრეზიდიუმის წევრთა შორის.** პრეზიდიუმმა განაწილა სამუშაო პრეზიდიუმის წევრთა შორის. ამხ. ხვედელიძეს მიენდო სატარიფო საკონფ. მუშაობის ხელმძღვანელობა, ამხ. თოდრიას საორგანიზაციო და კულტურული და ამხ. ბრეგვაძეს მიენდო ახალგაზრდათა შორის მუშაობა და ინსტრუქტორობა.

◆ **კავშირების სამაზრო განყოფილებების პრეზიდიუმების გამოყოფა:** რადგან მრავალი კავშირების გამგეობის წევრები გაფანტული არიან მაზრის რაიონებში, რის გამოც მათ მოწვევაზე ხარჯები მიდის და სხდომის მოწვევაც გვიანდება, პროფბიუროს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო კავშირების პრეზიდიუმების გამოყოფა, რომლის საკითხის მოგვარებაც მიენდო ამხ. თოდრიას.

◆ **მუშათა სასახლის შეკეთება.** პროფბიურომ დაადგინა შეაკეთოს ჭიათურის მუშათა სასახლე, რისთვისაც გამოყო სპეც. კომისია 5 ამხანაგის შემადგენლობით.

◆ **კავშირების მუშაობის გამოკვლევა.** ბიუროს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ უფრო კარგი ხელმძღვანელობა გაუწიოს კავშირებს, დათვალიერებულ იქნეს მათი მუშაობა, რის შემდეგაც ყველას გააკეთებინოს მოხსენებები პრეზ. სხდომაზე.

სიღნაღის სამპროფბიუროში

◆ **შტატების შემცირება.** კახელ მევენახეთა კოოპერატიული ამხანაგობის მუშა-მოსამსახურეთა შტატების შემცირება, პროფბიუროს დადგენილებით ჩატარდება ადგილობრივი სურსათ-გემოვნების მუშაკთა კავშირის უშუალო მონაწილეობით, რათა შემოკლება მოხდეს კანონიერად კოლექტ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მუხლების მიხედვით.

საქ. კომუნ. მეურნ. კავშირში

◆ **კავშირში გადმორიცხვა.** კომ. მეურ. კავშირის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მოლაპარაკება გამართოს ადგ. ტრანსპ. მომუშავეთა კავშირთან, რათა ცეცხლის მქრობელ რაზმში მომუშავე შოფერები გადმორიცხულ იქნეს კომ. მეურ. კავშირში.

◆ **პროფტეხნიკური კურსები.** კავშირის მიერ დაწყებულია მოლაპარაკება ტრამვაის მუშაკთათვის პროფტეხნიკური კურსების დაარსების შესახებ. ამ საკითხის გარშემო კომისიაში მონაწილეობა მიენდო ამხ. თავდგირიძეს.

რკინისგზის პროფკავშირებში

— **უბნსალაროს თავმჯდომარის დანიშვნა.** განჯის საუბნო კომიტეტმა უბნის დამზღვევ სალაროს თავმჯდომარედ აირჩია ამხ. შუკიურა სულეიმანოვა.

— **საუბნო კომიტეტის გადარჩევა,** ა.-კ. საგზაო კომიტეტმა ჩაატარა ბათომის საუბნო კომიტეტის გადარჩევა.

— **შეგირდების მიმღები კომისიის გადარჩევა.** სამტრედიის საუბნო პროფკავშირმა გამოჰყო განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა წარმოებაში შეგირდების მიღება.

— **სამჭედლო სამქროს ასაგებად.** ლენინაკანის საუბნო კომიტეტმა მიმართა ადმინისტრაციას, რათა დაჩქარებით აშენოს სამჭედლო ცეხი საფაბრიკო საქარხნო სკოლაში.

— **ფიზკულტურის მუშაობის გასაძლიერებლად** ლენინაკანის უბკავშირმა ფიზკულტურის მუშაობის გასაძლიერებლად გადასდო 400 მანეთი.

— **ადგილკომი სუსტად მუშაობს.** 5 მარტს სად. თელავის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ადგილკომის მუშაობის ანგარიში. კრებამ ადგილკომის მუშაობა სცნო არა დამაკმაყოფილებლად.

— **ადგილკომის გადარჩევა.** საღიანდაგო სამსახურის სამმართველოს თანამშრომლებმა მოახდინეს ადგილკომის გადარჩევა.

— **მოხსენებები.** სად. ნავთლუღის ადგილკომმა ჩაატარა თავის დელეგატებს შორის საინსტრუქციო მოხსენებები.

— **აღრიცხვაზე აყვანა.** დეპოს ადგილკომმა მიანდო ამხ. ადამიას აიყვანოს აღრიცხვაზე წერა-კითხვის ყველა არამცოდნენი და მცირემცოდნენი.

— **სამუშაო იარაღებს მოითხოვენ.** სად. ბადიაურის საწარმოო კომისიამ მიმართა ადმინისტრაციას, რათა დაუყოვნებლივ შეიძინოს სამუშაო იარაღები ურომლისოდაც მუშაობა ფერხდება.

— **ჯამაგირების გადიდება.** ა.-კ. დამზღვევ სალარომ რწმუნებულ ექიმებს გაუდიდა ჯამაგირი 176 მანეთამდე.

— **„სპარტაკი“,** კვირას 21 მარტს, პლეხანოვის სახელობის კლუბში წარმოდგენილი იქნება მეორეთ „სპარტაკი“.

— **„ვინ არის დამნაშავე“,** პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებული ქართული დრამწრე ამზადებს ნაკაშიძის პიესას **„ვინ არის დამნაშავე“-ს.**

მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა

დადგენილება შეასრულეთ!

(ოზურგეთის დამზღვ. სალაროს გამგეობის საყურადღებოდ).

გასულ წლის დეკემბრის 15-ს ლანჩხუთში პროფკავშირთა გაერთიანებულ კრებაზე სამაზრო პროფბიუროს პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ი. კალანდაძის და დამზღვევ სალაროს გამგეობის თავმჯდომარის ამხ. პრ. ჟღენტის თანადასწრებით დადგენილ იქნა ლანჩხუთში კბილის ექიმის მოწვევა დამზღვევ კასის ანგარიშზე. მუშა-მოსამსახურენი ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას მოუთმენლად ელოდებიან, რადგან მთელ რაიონში არ არის არც ერთი კბილის ექიმი არა თუ დამზღვევ სალაროს, არამედ კერძოც. საჭიროება კი დიდი არის.

იმედია, სამაზრო დამზღვევ სალაროს გამგეობა არ მისცემს მთლად დავიწყებას ამ საქმეს და დააჩქარებს მის მოგვარებას.

ლანჩხუთელი ყუმბარა.

რევიზორიც ასეთი უნდა.

6 მარტს სამსახურის საქმეებზე მივემგზავრებოდი თბილისში და ავიღე ბილეთი ქუთაისიდან თბილისამდე 10 საათზე, № 5200. უნდა წამოვსულიყავი მატარებ. № 51-ით ქუთაისიდან. მატარებ. იგვიანებდა გამოსვლას, ვინაიდან გზაში ნაწილი რონოდებისა დაეტოვებია სიმძიმის გამო და ხელმეორედ უნდა დაბრუნებულიყო ორთქლმავალის წამოსაყვანად. მე გადავწყვიტე წამოვსულიყავი მატარებელ № 41, რომელიც გამოდიოდა 2 საათის შემდეგ. მივმართე სადგურის მორიგეს ბილეთის შესამოწმებლად. მან განმიცხადა: „შემოწმება არ სჭირია, ვინაიდან ვადა არ გასულია და რიონში პლაცკარტი უნდა აიღო და იქ შეგამოწმებენო“, რის შემდეგ რევიზორი ნიკოლაძე მართმევს ბილეთს და სადგურ რიონის მორიგე ბრეგაძესთან ერთად მიყენებენ ოქმს, № 908, და მაჯარიმებენ, როგორც უბილეთოს, 3 მანეთით და 75 კაპეიკით.

ასეთ ინცინდენტს აღნიშნულ რევიზორის წყალობით ქუთაის-რიონს შუა ხშირად აქვს ადგილი, რაც დროზე უნდა აღმოიფხვრას ასეთი უწესოება.

ქუთაისელი **მიშა პაიჭაძე.**

სიცრუეს მოკლე ფეხები აქვს

(პასუხად მუშა ნატალიაშვილს)

წავიკითხეთ „კომუნისტში“, 2 მარტის № 48-ში (1508) შემდეგი წერილი, რომ ვითომ და ქუთაისის თუთუნის ქარხნის დირექტორი ხშირად მეტად უდიერად ეპყრობოდეს თავის მუშებს და რატომ არ შეიძლება, რომ მან გამოიჩინოს ჩვენი მუშების მიმართ ისეთი სამართლიანობა და სიფაქიზე, რასაც იგი იჩენს ქალების მიმართო?!

მაქვს პატივი გიპასუხოთ, რომ არ არის ქარხანაში არც ერთი მუშა-მოსამსახურე, რომელიც უმადური იყვეს დირექტორის. დირექტორი ყოველმხრივ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე და ეპყრობა ყველას როგორც ძმას და ამხანაგს, მისთვის განურჩეველია, ქალია ის თუ მამაკაცი.

ადგილკომი.

გამოგზავნილი წერილებიდან.

— **შრომის ხელფასი ძალზე მცირე გვაქვს.** ახალციხეში ვმუშაობთ რამოდენიმე ფინაგენტები და აგერ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ აქა ვკრებთ სხვადასხვა გვარ გადასახადებს. ხელფასად თვეში გვეძლევა მხოლოდ 40 მანეთი. ანაკრეფი თანხიდან (როგორც ეს სხვაგან არის) ჩვენ არავითარ პროცენტებს არ გვაძლევენ.

ჩვენ რაღა დავაშავეთ, პროფკავშირო!

ფინაგენტი.

— **უბედურ შემთხვევათა ასაცილებლად.** რკინის გზის მთავარ სახელოსნოსთან, ლიანდების გადასავალზე არის ხიდი, მაგრამ იმ ხიდზე ხალხი არ დადის. ხალხი დაიარება ხიდის ქვეშ რადგან კარები ყოველ მხრივ ღიაა. აქ კი მატარებლები დადის და მოსალოდნელია უბედური შემთხვევები.

მიიღეთ სათანადო ზომები.

ვახ-მეტი.

— **მიეცით ამხანაც სპეც-ტანისამოსი.** ფ.-ტელეგრაფის თითქმის ყველა მუშა-მოსამსახურეებმა (ვისაც კი ერგებოდა) მიიღეს საზამთრო და სხ. სპეც-ტანსაცმელი. შეგირდებისათვის კი [illegible] არ მიუცემიათ.

რაშია საქმე? ჩვენ რაღა დავაშავეთ, პროფკავშირო!?

სურენა.

— **აგვიკლეს ქურდებმა.** ჭიათურაში ცხოვრობენ დიდძალი მუშა-მოსამსახურეებისა, მაგრამ მათ იკლებენ ქურდები. ქურდობა განსაკუთრებით გაძლიერდა შაუმიანის სახელობის ქუჩაზე. გვპარავენ ყველაფერს: —შეშას, თეთრეულს და სხ.

მილიციავ რაღ გძინავს?

მუშა ჭიათურელი.

— **როსკიპ ქალებმა აგვიკლეს.** ყოფ. ვორონცოვის ხიდთან საღამოთი თავს იყრიან მეძავი ქალები, რის გამო ღამით აქ არ გაევლებათ პატიოსან ქალებს და მამა-კაცებს.

მილიციავ, მიიღე სათანადო ზომები!

მაყურებელი.

— **საჩქაროდ უნდა აილაგმოს.** ახალ ბაზარში არის ლატარია, რომლითაც ტყავს აძრობენ უვიც გლეხებს, ამ ლატარიის პატრონს სულ ფუჭი ბილეთები დაუმზადებია და ატყუილებს ხალხს. 14 მარტს ერთმა გლეხმა წააგო 26 მანეთი და არც ერთი კაპეიკისა რამე შეხვდა იმ დროს, როდესაც ბილეთი ღირს 20 კაპ. საჭიროა ასეთი პარაზიტის აღგვა აქედან და გლეხების გადარჩენა ამ უბედურებისაგან.

მილიცია შენ რაღას აკეთებ!

მუშკორი თერგის-ხეველი.

— **დაეხმარეთ გლეხებს.** საბჭოს ქუჩის გაწაპირას არის რამოდენიმე ბაკი, სადაც დგებიან მგზავრი გლეხები. გლეხებს უხდებათ საქონელთან წოლა. თვით გომურში არის ანტი-ჰიგიენური მდგომარეობა; ეზო მთლად გაბინძურდა ნაგვისგან და გლეხებიც უკმაყოფილონი არიან იქ დგომით, მაგრამ რა უნდა ქნან როცა სხვა გამოსავალი არ არის. საჭიროა აქ გახსნას ერთი ან ორი ბაკი, კომუნალურმა მეურნეობამ, რაც გლეხებისათვის დიდი დახმარება იქნება.

მუშკორი თერგის-ხეველი.

— ვინაიდან საარტ. ქარხნის მუშებს ფინსახკომმა შეაწერა საკლასო გადასახადი, რამაც გამოიწვია მუშებში უკმაყოფილება, ქარხკომმა სთხოვა ადმინისტრაციას საქმის გამორკვევამდე შეაჩეროს გადასახადის გადახდა.

— **აქაც მოუღეთ ბოლო ხულიგნობას.** არტილერიის ბალკაში, განსაკუთრებით უსახელო ქუჩის დასაწყისში, საღამოობით თავს იყრიან ვიღაც უსაქმო გარყვნილი, უხეში „მკლავაძეები“—ხულიგნები, რომელნიც ერთმანეთს და გამვლელთ უმასპინძლდებიან უშვერი სიტყვებით — ლანძღვა-გინებით და ხშირად ცემა-ტყეპასაც მართავენ აქა.

მილიციავ, მოსპე აქაც ხულიგნობა!

მუშა ქალაქელი.

— **დიდ დახმარებას გვიწევენ.** საქ. პროფსაბჭოსთან კულტგანმა გახსნა საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების მოსამზადებლად საანგარიშო-საბუღალტრო კურსები. კურსებზე ვირიცხებით ასამდის მსმენელი. აქ არიან კერძო პირებიც. კურსებზე მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს გამოცდილი ლექტორების წყალობით. განსაკუთრებული მადლობის ღირსია ამხ. გიგინეიშვილი. იგი არ ზოგავს თავის ძალ-ღონეს, რომ რაიმე შეგვასწავლოს.

მსმენელი ბუაძე.

— **ჭკუა ასწავლეთ ამ თავხედ ვინმეს!** მე-8-ე უბანში ამატუნოვის ქუჩ., სახლი № 16 ეკუთვნის ვინმე ვანო ჩომბახუს, რომლისთვის არ არსებობს არავითარი კანონები, პატიოსნება და სამართლიანობა. იგი ძალზე ავიწროებს და აწუხებს მუშა-მდგმურებს. ასე დღე არ გავა, რომ მან ვინმეს არ აუტეხოს ჩხუბი და დავიდარაბა, განსაკუთრებით იგი აწუხებს ჯიბლაშვილებს, რომელთაც ცემა-ტყეპითაც კი ემუქრება.

მოარჯულეთ ეს ურჯულო ვინმე.

მუშა მოსიკეთე.

— **დაეხმარეთ უმუშევარ ახალგაზრდობას.** უმუშევარ ახალგაზრდათა სახლში მოთავსებულია სადურგლო, საზეინკლო და ფეხსაცმელების საამქროები. ამათში სათანადო ხელსაწყო იარაღების უქონლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან დურგლები. დაზგებიც აღარ გვივარგა. აქ ვმუშაობთ 19 მოწაფე და სულ 8 დაზგა გვაქვს.

სხვა საამქროებშიც არა გვაქვს საკმაო რაოდენობით ხელსაწყო იარაღები. თუ ესენი არ გვექნა, წარმოებას ველარ დავაყენებთ სათანადო დონეზე.

მოგვაქციეთ ჯეროვანი ყურადღება.

მუშკორი მ. ბე—შვილი.

— **სპეც-ტანისამოსს არ გვაძლევენ.** აგერ რვა თვე შესრულდა და უმუშევარ მოზარდთა სახლის საამქროების მოწაფეებს ვერ მიგვიღიათ სპეც-ტანსაცმელები. შრომის ხელფასიც ძალიან მცირე გვაქვს. სულ თვიურად ცხრა მანეთი, რომელიც სრულებით ველარ გვაკმაყოფილებს. კავშირის წევრებათაც არა ვართ ჩაწერილი.

არ ვიცით რა დავაშავეთ.

მოგვაქციეთ ყურადღება.

მუშკორი—მ. ბ—ლი.

— **ახალსენაკის განათებას ვერაფერმა უშველა.** ახალსენაკში წინეთ გვქონდა განათება და პატარა ელსადგური, რომელიც გაგვიფუჭდა. ჩამოვიტანეთ ახალი „დიზელი“ და გვეგონა ქალაქს გაანათებდით სამუდამოთ, მაგრამ მოვსტყუვდით.

როდის მოეღება ბოლო ამ უნაყოფო ლოდინს?

სენაკელი.

მუშათა ქრონიკა

ორჯონიკიძის სახელ. მექან. საარტ. ქარხანაში

— **სპეც-ტანსაცმელების დარიგების დაგვიანება.** ვინაიდან საარტილერიო ქარხნის ადმინისტრაციამ წელიწადი დააგვიანა სპეცტანსაცმელების დარიგება, ქარხკომმა სთხოვა მეღითონეთა კავშირს მიიღოს ზომები.

— **თანხის გაღება.** სამექანიკო საარტ. ქარხკომმა სთხოვა მეღითონეთა კავშირს კულტ-ფონდიდან გაიღოს თანხა კულტ-კომისიის მუშაობის გასაძლიერებლად.

— **წარმოდგენის დადგმა.** საარტ. ქარხკომმა დაავალა ამხ. ალიპოვს და ომიანიძეს, რათა მოელაპარაკონ ც.-მუშ. კლუბის გამგეობას კულტ-ფონდის სასარგებლოდ წარმოდგენის დადგმის შესახებ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

საბჭოთა სამაზრო ყრილობა

ახალქალაქი, 23 მარტი. აღმასკომის მოხსენების გამო გამართულ კამათის დროს ორატორებმა აღნიშნეს მთელი რიგი მიღწევანი და აგრეთვე დეფექტები.

საარჩევნო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 66.000 ამომრჩეველიდან—29.000-მა.

არჩეულია მთელ მაზრაში 1.289 წევრი, აქედან მამაკაცები—1.224, ქალები—65. პარტიული შემადგენლობით: კომუნისტები და კომკავშირელები—493, უპარტიოები—796.

კურსების დახურვა

ახალქალაქი, 23 მარტი. დაიხურა კარაქის და ყველის დამმზადებელ მუშების გადასამზადებელი 3 კვირეული კურსები, კურსები დაამთავრა 56 გლეხმა.

აჭარისტანი

მილები ნავთის სინდიკატისათვის

ბათომი, 23 მარტი. ნავთის სინდიკატმა მიიღო საზღვარ-გარეთიდან 400.000 ფუთი მილი ნავთსადენის მილის გამოსაცვლელად.

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 23 მარტი. თებერვალში ბათომის ნავთსადგურით შემოტანილია 2.457.960 კილო სხვადასხვა ტვირთი; ხოლო იმავე დროის განმავლობაში გატანილია 93.790.145 კილო, უმთავრესად, ნავთის პროდუქტები.

ნავთის პროდუქტების ექსპორტი

ბათომი, 23 მარტი. უკანასკნელ დღეებში ნავთსადგურში ნავთის პროდუქტების წასაღებად მოვიდნენ: იტალიის გემი „რეკკო“, ინგლისის გემი „ასტრანანი“ და ნორვეგიის გემი „შომანი“.

საფრანგეთის გემი „ჟიულ ანრი“ გავიდა ალექსანდრიაში 3.100 ტონა ნავთის პროდუქტებით.

ნავთის ჩასასხმელ სადგურების ელექტროფიკაცია

ბათომი, 23 მარტი. ნავთის სინდიკატის ბათომის განყოფილება შეუდგა ნავთის ჩასასხმელ სადგურებზე 4 500 ცხ. ძალიანი მოტორის დადგმას.

მოტორის დადგმის შემდეგ ნავთის პროდუქტების ჩასხმა დაჩქარებული იქნება 50%-ით.

„რადიოს მეგობართა“ საზოგადოებაში

ბათომი, 23 მარტი. აჭარისტანის „რადიოს მეგობართა“ საზოგადოებამ ციხისძირში რეზინტრესტის პლანტაციებში მოაწყო ძლიერი რადიო-მიმღები აპარატი ხმამაღლა მოლაპარაკე მანქანით.

თამბაქოს თესლი

ბათომი, 23 მარტი. ქედას და ხულოს მეთამბაქოეთა ამხანაგობა ურიგებს მეთამბაქო-გლეხებს მაღალი ხარისხის თამბაქოს თესლს.

ჩაი

ბათომი, 23 მარტი, სააქციონერო საზოგადოებამ „საქართველოს ჩაი“-მ დაასრულა ჩაქვის და სალიბაურის ჩაის პლანტაციების და ფაბრიკების გამოკვლევა.

ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად გადასწყდა მოხდეს ფაბრიკების კაპიტალური შეკეთება.

შეკეთებას ახლო მომავალში შეუდგებიან და იგი დამთავრდება სეზონის დაწყებამდე.

უკვე გადადებულია ამ მიზნით საჭირო თანხები.

ახალი ქარხანა

ბათომი, 23 მარტი. აჭარისტანის ტყეების სამმართველომ მიიღო საზღვარ-გარეთიდან 10 სახერხავი დაზგა. მოწყობილ იქნება ახალი სახერხავი ქარხანა ქობულეთის მაზრაში.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

„სანიმუშო“ პასუხი

ჯერ კიდევ წარსულ წლის 9 ივლისის „კომუნისტში“ მოთავსებული იყო საყურადღებო კორესპონდენცია კოჯორის თემიდან, სადაც სხვათა შორის ეწერა:

„როგორც კოჯორის, აგრეთვე კიკეთის და პრიუტის ტყეს არ ყოლია პატრონი. ამ ზამთრის და გაზაფხულის თვეებში მოიჭრა დაახლოებით სამი ათას ძირ ხეზე მეტი. ადგილობრივ კომუჯრედმა გამოჰყო კომისია შვიდი კაცისაგან შემდგარი, რომელსაც უნდა გამოერკვია ტყეების განადგურების მიზეზი. კომისიის დასკვნით, თუ ასეთი „თვალყური“ დაურჩა ტყეს, დაახლოებით ერთ-ორ წელიწადში კოჯორის და კიკეთის ტყე ოცნებათ დარჩება. ტყის გამგის თანაშემწე კვირაობით სტოვებდა მის რაიონს და მიდიოდა ყარაიაზში თავის გაბარებულ საქონელის დასახედავათ. თუ ადგილობრივ იყო, უნდებოდა თავის მონადირე „კაპუეტ“ მიმინოს მოვლას. ტყის მცველები კი შეშის ხერხვას და წყლის ზიდვას“.

ასეთია ადგილობრივ კომუჯრედის კომისიის დასკვნა. მაგრამ ვისაც კი ერთი ან ორი წლის წინათ უნახავს კოჯორ-კიკეთის ტყეები და ვინც უკანასკნელად ყოფილა აქ, მისთვის კომისიის დასკვნის გარეშეც აშკარაა, რომ ჩვენ სასახელო აგარაკების ირგვლივ გაშლილი ძვირფასი ტყე თვალ და თვალ დნება.

თბილისის აღმასკომის საინსტრუქტორო ნაწილის ყურადღება სამართლიანად მიუპყრია ამ კორესპონდენციას. დაუნიშნავთ გამოძიება. რამდენათ ფიცხელი იყო გამოძიება, ეს საინსტრუქტორო განყოფილების საიდუმლოებას შეადგენს. ჩვენთვის კი აშკარაა ჯერ-ჯერობით ერთი რამ. 1925 წლის 9 ივლისის კორესპონდენციის პასუხი რედაქციას მოსდის 1926 წლის 19 მარტს, ე. ი. კინაღამ ერთი წლის დაგვიანებით. კიდევ კარგი, რომ რედაქცია და თბილისის აღმასკომი ერთ ქალაქში და ერთი მთის ძირას არიან, თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი ხანი მოუნდებოდა საპასუხო წერილს საინსტრუქტორო განყოფილების ერთგულ მოხელეთა წყალობით, რომ ეს ასე არ ყოფილიყო!

მაგრამ დავანებოთ თავი პასუხის დაგვიანებას. მართლაც და მართლაც, რაღა აღმასკომის საინსტრუქტორო განყოფილება უნდა ამოვიღოთ მიზანში ასეთ გულგრილობისავის სახალხო ქონებისადმი, კორესპონდენტის ხმისადმი, უბრალო საკანცელარიო თადარიგისადმი. ეს ცოდვა, ხომ არც ისე იშვიათ მოვლენას წარმოადგენს დღეს?

აღსანიშნავია თვით პასუხის შინაარსიც. აქ ჩვენ სხვათა შორის ვკითხულობთ: „მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებით შედგენილი კომისიის მიერ მოხდა ტყის ადგილობრივათ დათვალიერება და გამოირკვა, რომ „კომუნისტი“-ს № 155-ში მოთავსებული კორესპონდენცია შეიცავს სიყალბეს“.

ვის უნდა დაუჯეროთ ამის შემდეგ. კოჯორის კომუჯრედის კომისიას, რომლის წევრებიც როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, უნდა ვიფიქროთ, უკეთ იცნობენ მდგომარეობას, თუ თბილისიდან გაგზავნილ კომისიას, რომელმაც მხოლოდ ერთი ნახვით გამოიტანა თავისი ავტორიტეტული აზრი? არჩევანი აქ არც ისე ძნელი საქმეა. საპასუხო წერილში არავითარი გამამართლებელი საბუთი, თუ საბუთათ არ ჩავთვლით ლიტონ სიტყვებს „შეიცავს სიყალბეს“, არ მოიპოვება.

ასეთია მოკლეთ ერთი საპასუხო წერილის ისტორია. ამაზე შეიძლება მკითხველის ყურადღება არც კი შეგვეჩერებია, რომ ამგვარი „ისტორიები“ არ მოსდიოდეს ბევრ შემთხვევაში სხვა კორესპონდენციებსაც.

ზ. ბ—ლი.

საბჭოთა არჩევნები ჩვენს სოფელში

(სოფელი ბალმა-დვაბზუ, გურია)

ახალი საბჭოს დეპუტატების არჩევნები 14 მარტს მოხდა. მიუხედავად ცუდი ამინდისა, კრებაზე ამრჩეველთა 75 პროცენტი გამოცხადდა. საბჭოში აირჩიეს 7 წევრი და 2 კანდიდატი.

საპატიო წევრებათ საბჭოში ერთხმად აირჩიეს ამხ. ფილიპე მახარაძე, ლადო სუხიშვილი, გიორგი რამიშვილი, დათიკო ნიკოლაიშვილი და გერმანე კვაჭაძე.

ვ. გ—ძე.

ეს გზა უნდა შეკეთდეს

სამტრედია

სამტრედია-ხონის შარა-გზა მჭიდროთ დასახლებულ რაიონებში გადის. მას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს რაიონისათვის. უკანასკნელ ხანებში კი ის იმდენათ გაფუჭდა, რომ მოძრაობა ძალიან შეფერხდა.

ადგილობრივი გლეხობა მზად არის გამოვიდეს სამუშაოთ. საჭიროა მხოლოდ [illegible].

გლეხკორი ა. მელაძე.

ძველი ბერიკები

(თბილ. მ.)

ს. დრეს ყმაწვილებმა, თორმეტიოდე ახალგაზრდებმა, ძველი დრო გაიხსენეს. ეგრეთ წოდებულ ყველიერის კვირაში, 10 მარტს, ნიღაბ აფარებულნი და ხმლებით შეიარაღებულნი ისინი დადიოდენ კარ და კარ თამაშობით და ოხუნჯობით. თან ლამაზ გასათხოვარ ქალებსაც ათვალიერებდენ, რომ შემდეგ, საჭიროების დროს, ან ძალით, ან ნებით გაეტაცნათ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ამ კუთხეში.

გლეხებს ბერიკებისათვის (ასე ეძახიან აქ მეყველიერებს) გამოჰქონდათ საჩუქრებათ ერბო, ყველი, კვერცხები და სხვა სანოვაგე. ამ სანოვაგესთან ერთად სტუმართმოყვარე გლეხები ბერიკებს ღვინითა და არყით უმასპინძლდებოდენ.

ასე რომ, როცა ბერიკები გეჯა გიგაურის სახლს მიადგენ, ღვინის სიცხისაგან იმდენათ აყვანილნი იყვენ, რომ თავი და ბოლო აღარ გაეგებოდათ. გეჯა ბერიკებს პურმარილით ვერ გამოეგება. ბოდიში მოიხადა—მგლოვიარეთა ვართ და ნუ გვიწყენთ, რომ სახლში ვერ შეგვპატიჟეთო.

ბერიკებმა მაშინვე იჭვი აიღეს. ეს არის ლამაზ ქალის სახლს მივადექით და მასპინძელს არ უნდა მისი მშვენიერებით დაგვატკბოსო. გაჩნდა ერთი გაწევ-გამოწევა. გეჯა ძალათ მაცხონე სტუმრებს უკან მოერეკება, სტუმრები კიდევ სახლისაკენ იწევენ. ერთი მხრივ თორმეტი ბერიკი იბრძოდა—მეორე მხრივ გეჯა და მისი ძაღლი. მალე ხმარებაში ხმლებიც წავიდა.

ჯერ ძაღლს გაჰკრეს ხმალი და შემდეგ გეჯას თავსაც სწვდენ. გაუპეს ყვრიმალი და სისხლში გაღებეს უდანაშაულო მასპინძელი. მოჩხუბრებს შემთხვევით წააწყდენ გზაზე მომუშავე ადგილობრივი გლეხები, რომელნიც ჩაერივნენ საქმეში ბარებით და წერაქვებით. გაჩაღდა ნამდვილი ომი. ბერიკების კვერცხები და ერბო-ყველი ს ორომ-გორომათ წავიდნენ. დაიფხრიწა ნიღაბებიც. უმსხვერპლოდ არც თავდამსხმელები დარჩენილან—ერთი ბერიკი—ჩოხელი პავლე ს. ზედაუბნიდან, სასიკვდილოდ დაიჭრა და გეჯასთან ერთად ორივე გააფრინეს საავადმყოფოში. არც დარჩენილებს დასდგომიათ კარგი დღე. მილიციამ ყველანი შეიპყრო და სასამართლოში გადასცა.

საჭიროა ეს ყმაწვილები სამაგალითოთ დაისაჯონ, რომ ერთხელ და სამუდამოთ დაეკარგოს მათ ბერიკობის ხასიათი.

ბ. მექვაბიშვილი.

ლოთობის ბუდე

(ს. ზანათი, სენაკის მაზრა)

სოფ. ზანათში ახალ აშენებულ ხიდთან სამიკიტნოები გაიხსნა. თითქმის ყოველ დღე ერთი აურ-ზაური და ჩხუბია ამ სამიკიტნოებში, სადაც გლეხობა უკანასკნელ კაპეიკებს სტოვებს.

ლოთობას ადგილობრივმა მოწინავე პირებმაც მიჰყვეს ხელი, ამ რიგათ კულტურული მუშაობის მაგიერ სოფელში ლოთობა და ალაყ-მაყალია გამართული.

ეს სამიკიტნოები დროზე უნდა დაკეტოს ხელისუფლების ორგანოებმა, თორემ ისე სოფელი ვერ გაიხარებს.

მუშა მგზავრი.

არჩევნები ცოცხლად ჩატარდა

(აცანა, გურია)

ჩვენს თემში საბჭოთა არჩევნები 11 მარტს მოხდა. არჩევნებს ხალხი ბლომად დაესწრო. 1004 ამრჩეველიდან კრებაზე 715 გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ ბევრი ღრმა მოხუცებიც კი მოვიდა ხმის მისაცემად სასურველ კანდიდატისათვის.

საბჭოს წევრების არჩევნები და დასახელება პერსონალურად სწარმოებდა. სულ დასახელებული იყო 50 კანდიდატი, ასარჩევი კი 20 წევრი და 7 კანდიდატი იყო.

არჩევნების შედეგი ასეთია: კომუნისტი 7, კომკავშირელი 1, დანარჩენი უპარტიოა. მათ შორის 4 ქალია.

ლ. ქინქლაძე.

არჩევნები კარგათ ჩაატარეთ

(სარქველითუბნის თემი, შორაპნის მაზრა)

ჩვენს თემში 1700 ამრჩეველია. 10 მარტს შესდგა საარჩევნო კრება, რომელსაც 70 პროცენტი დაესწრო. საბჭოში არჩეულ იქნა 17 წევრი და 5 კანდიდატი. დეპუტატათ არჩეულია 7 კომუნისტი, 1 ა. ლ. კომკავშირის წევრი, დანარჩენი უპარტიო.

საბჭოში არჩეულია 3 ქალი. საარჩევნო კრება ძალიან ცოცხლად ჩატარდა.

ვ. კაპანაძე.

მზადება ქართული ბეჭდვის სამასი წლისათვის

შარშან განზრახული იყო საქართველოში ბეჭდვის შემოღების სამასი წლის თავის დღესასწაულის ფართოდ გადახდა.

ქართული საბიბლიოთეკო - საბიბლიოგრაფიო ჟურნალის „წიგნის მეგობარი“-ს უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულია ისტორიკოს კარიჭაშვილის ვრცელი გამოკვლევა, რომელიც ამტკიცებს, რომ პირველი წიგნი ქართულ ენაზე დაიბეჭდა არა 1626 წელს, არამედ 1629 წელს. ამ წიგნის ეკზემპლიარი ამჟამად ინახება ისტორიულ ეტნოგრაფიულ მუზეუმში (სახელმწიფო უნივერსიტეტთან), რომლის გამგედ ითვლება ისტორიკოსი კარიჭაშვილი.

წიგნს, რომელზედაც ლაპარაკია კარიჭაშვილის გამოკვლევაში ეწოდება „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომელიც შედგენილია სტეფანე პაოლინის მიერ ნიკიფორე ირბახის დახმარებით. ეს წიგნი 1629 წელს რომში გამოუცია ერთ საზოგადოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული წიგნის დაბეჭდვის სამასი წლისთავის შესრულებამდე ჯერ კიდევ სამი წელი დარჩა, უკვე დაიწყო მზადება ამ დღესასწაულისათვის. ახლო მომავალში ისტორიკოსი კარიჭაშვილი ლექციას წაიკითხავს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაზე. შემდეგ განზრახულია მთელ რიგ ლექციების წაკითხვა ამავე თემაზე. განზრახულია აგრეთვე წიგნების გამოფენის მოწყობა.

საექსკურსიო ბიურო

თბილისში მოეწყო საქართველოს ცენტრალური საექსკურსიო ბიურო, რომელშიაც შედიან საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების, რკინის-გზელთა პროფკავშირის, თბილისის პოლიტგანის, ფიზკულტურის საბჭოს, გეოგრაფიული საზოგადოების და სკოლის გარეშე მუშაკის ცენტრალურ სახლის წარმომადგენლები.

საგაზაფხულო სეზონის დაწყების გამო საექსკურსიო ბიუროს მუშაობა გამოცოცხლდა. გუშინ შესდგა ბიუროს მესამე სხდომა, რომელზედაც შემუშავებულ იქნა მომავალ ექსკურსიების გეგმა.

ჯერ-ჯერობით განზრახულია შემდეგი ე. წ. შორეული ექსკურსიები: მოსკოვში, ლენინგრადში და ა.-კავკასიაში. წელს ექსკურსიები უფრო შინაარსიანი და სასარგებლო უნდა იქნეს. მათი შემწეობით უნდა გაადვილებულ იქნეს საბჭოთა მშენებლობის ყველა დარგების გაცნობა.

საქართველოს საზღვრებში განზრახულია ექსკურსიების მოწყობა: ბათომში, ბორჯომში, ბაკურიანში, ტყიბულში, ჭიათურაში, მუხრანის და წინანდალის სახალხო მამულებში, კოჯორში და სხვა. სომხეთში: განზრახულია ალვერდის ქარხნების, კარაკლისის, ერევანის დათვალიერება. აზერბეიჯანში ექსკურსიები მოეწყობა ელენდორფში და ბაქოში. რაც შეეხება ექსკურსიების მოწყობას რუსეთიდან ამიერ-კავკასიის ფარგლებში, უკვე შემუშავებულია სამისო გეგმა და შედგენილია ხარჯთაღრიცხვა. ამიერ-კავკასიაში ჩამოსულ თვითეულ ექსკურსანტის შენახვა დღიურად დაჯდება მხოლოდ 2 მან. 50 კაპ. ამაში შედის ყველა ხარჯები და ექსკურსანტების კმაყოფა. საექსკურსიო ბაზები მოეწყობა ბათომში, ბორჯომში, ფასანაურში და ყაზბეგში. თბილისში მოწყობილი იქნება ორი ბაზა 300 საწოლით. ცენტრალური საექსკურსიო ბიურო ყოველივე ზომებს ღებულობს იმისათვის, რომ წელს ექსკურსიები უფრო მწყობრად და მიზანშეწონილად იქნეს მოწყობილი.

ქრონიკა

რემედასში

— „რემედასის“ თბილისის კომიტეტმა თავის შეფობის ქვეშ აიყვანა ალჟირის პოლიტიკური პატიმრები.

— 3 აპრილს გაიხსნება „რემედასის“ საქართველოს ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც სხვა მოხსენებებს შორის მოისმენს მოხსენებას სოფლად მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე მოელიან „რემედასის“ ცეკას წევრს ამხ. უტკინს, რომელიც ამჟამად ბაქოში იმყოფება.

ამხ. სემკოვის დანიშვნა

— პროფკავშირთა ამიერ-კავკასიის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ამხ. სემკოვი გაემგზავრა მოსკოვში. ამხ. სემკოვი დანიშნულია საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის განყოფილების გამგედ.

საქართველოს კურორტებზე

— მიმდინარე წელს გაყვანილი იქნება გზა ქუთაისიდან წყალტუბომდე.

— მომავალ სეზონში ბორჯომში მოეწყობა წყალით სამკურნალო. ბორჯომის კურორტის მოწყობის გეგმაში შეტანილი იქნება კანალიზაციის გაუმჯობესება.

თბ. ალმასკომში

◆ სახალხო საექიმო დახმარების გაუმჯობესების მიზნით თბ. ალმასკომმა შეიმუშავა მაზრაში მომუშავე საექიმო პერსონალისათვის ახალი სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

◆ განათლების განყოფილებამ შეიმუშავა თბილისის და მის მაზრაში სასკოლო და სხვა კულტურულ-სოციალურ მნიშვნელობის დაწესებულებათა ქსელის გაფართოების 5 წლიანი გეგმა.

◆ **ქალაქის ღარიბებს მცხოვრებთათვის.** ქალაქის ცენტრალური ლომბარდი პლეხანოვის პროსპექტზე ახლო ხანში ხსნის განყოფილებას, სადაც დაკლებულ ფასებში მიღებული იქნება საკომისიოდ ღარიბ მოქალაქეთა ნივები.

◆ თბილისის ბაღების გასამშვენიერებლად ბათომიდან და სოხუმიდან მიღებულ იქნა სუბტროპიკული მცენარეები.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **საზოგადო სამუშაოები.** შრომის სახ. კომისარიატი ახლო მომავალში განაახლებს საზოგადო სამუშაოებზე მუშაობას.

◆ **შრომის მუზეუმი.** საქ. შრომის მუზეუმის გამგეობა ამჟამად აწარმოებს მთელ საქართველოში შესაფერ ექსპონატების დამზადებას.

სახალხო ჯანმრთელობა

◆ სოხუმის ცენტრალურ ამბულატორიასთან გაიხსნა ბავშვთა სამრჩევლო-კონსულტაცია.

◆ **ქინაქინის მიღება.** აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა საზღვარგარეთიდან მიიღო დიდძალი ქინაქინა მაზრაში ციებასთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

◆ მთავარი საკურორტო სამმართველო გაგრაში (აფხაზეთში) ხსნის ციებ-ცხელების საწინააღმდეგო სადგურს.

◆ **წამლეულობა.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთიდან მიიღო დიდძალი წამლეულობა.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ფართლეულობის შემოტანა.** მიმდინარე საანგარიშო წლის მეორე მეოთხედში ა.-კავკასიაში, გეგმით გათვალისწინებულს გარდა შემოტანილი იქნება 30 ვაგონი ფართალი.

◆ **ჩაის გასაღება.** ჩაქვის სახალხო მამულმა შარშანდელ მოსავლიდან მოსკოვში გასასაღებლად გაგზავნა 70 ათასი გირვანქა ჩაი.

◆ **ხეტყვის წინააღმდეგ.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთიდან გამოიწერა 20 ათასი ცალი სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნა.

◆ **ბრძოლა ფილოქსერასთან.** საგარეო ვაჭრობის კომისარიატ. საზღვარგარეთიდან იღებს 80 ათასი ფ. შაბიაბანი და 60 ათასი ფ. გოგირდი ფილოქსერასთან საბრძოლველად.

◆ **დაფნის ფურცელი.** წარმოკავშირმა დასავლეთ საქართველოში დაამზადა დიდძალი დაფნის ფურცელი გასასაღებლად.

სხვადასხვა

◆ **წყალსაქაჩი.** ბორჩალოს მაზრაში სოფ. ილმარლოში საქ. საბამბო კომიტეტი შეუდგა მდ. მტკვართან წყალსაქაჩის აგებას, რომლითაც მოირწყვება 600 დესეტინამდე მიწა, რომელზედაც გლეხები სთესავენ ბამბას.

◆ **რძის გასაღება.** თბ. მუშკოოპის ცნობით, მუშკოოპი ამჟამად ყოველ დღიურად ასაღებს 8 ათას ბორჯომის ბოთლ რძეს.

◆ **საბეჭდი მანქანები.** თბილისში ამ დღეებში მიღებული იქნება რამდენიმე ასეული საბეჭდი მანქანა.

◆ **საფოსტო განყოფილება** გაიხსნა სოფ. დილიკოურში (შორ. მაზრა).

კრებები და მოხსენებები

◆ **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 25 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საზოგადოების მორიგი კრება.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში,** დღეს, 24 მარტს, საღამოს 7 ს., შესდგება სექციების სხდომა.

◆ **პლეხანოვის სახელობის კლუბში,** ხუთშაბათს, 25 მარტს, წაკითხული იქნება მოხსენებები შემდეგ თემებზე: 1. „საიდუმლო ტეხნიკა“-ზე—ლექციას წაიკითხავს პრ. დიდებულიძე. 2. „ახალი შეხედულება სამშვილობის გარეშე ორსულობა“-ზე—ლექციას წაიკითხავს ექიმ. კანდელაკი. 3. „ახალი რადიო“-ზე—ლექციას წაიკითხავს ექ. გაჩეჩილაძე. დასაწყისი საღამოს 7 ს.

◆ **მუშათა ცენტრალურ კლუბში,** დღეს, 24 მარტს, საღამოს 6 საათზე, ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილება მართავს ყველა კულტკომისიებთან, წითელ კუთხეებთან და კლუბებთან არსებულ. სალექციო-საექსკურსიო კომისიების წევრთა კონფერენციას, რომელზედაც გაკეთებული იქნება საინსტრუქციო მოხსენება მომავალში სალექციო-საექსკურსიო მუშაობის შესახებ.

შემთხვევები

◆ **ავტომობილის მსხვერპლი.** 22 მარტს, დღის 12 საათზე, რიყის ქ., მესროპ ხაჩატურიანცს დაეჯახა ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი რევაზიშვილი, დაშავებული გადააგზავნეს სავადმყოფოში. შოფერი შეიპყრეს.

◆ **ვერ მოასწრეს.** 22 მარტს, სერგო სიმონიანცმა, დღით, როცა გააღო თავის სავაჭრო, მდებარე მადათოვის კუნძულზე, ნახა დაბურღული იატაკი და სხვადასხვა იარაღები, როგორც ჩანს ბოროტგამზრახველებმა ვეღარ მოასწრეს აღნიშნული დუქნის გაქურდვა და იარაღებიც დატოვეს.

◆ **შეპყრობა.** 22 მარტს ქურდობისათვის შეიპყრეს ორტაშ არუთინოვი და ადასი მანუკიანი.

◆ ამავე დღეს შეიპყრეს ბაგრატ სარქისოვი, მუშკოოპის 1-ლ მაღაზიიდან 17 მან. საქონლის მოპარვისათვის.

◆ **ქურდობა.** 22 მარტს, კომ. ქ., № 7, გაქურდეს ისმაილ გასან-ზადეს წიგნის მაღაზია.

◆ ამავე დღეს გაქურდეს მარიამ ქრდოიანცის ბინა.

◆ 21 მარტს, პლეხ. პრ., № 9, გაქურდეს ტიგრანა ედილოვის ბინა.

◆ 22 მარტს, გოგოლის ქ., № 68, იზმაილ მაქსიმ-ოღლის ბინიდან მოიპარეს 218 მან. ნივთები.

◆ 22 მარტს, ელისაბედის ქ., № 172, გაქურდეს ამბაკო რუსიაშვილის სავაჭრო.

ხელოვნება

მეორე სამხატვრო თეატრის გასტროლები თბილისში

მაისის პირველ რიცხვებში თბილისს ეწვევა მოსკოვის მეორე სამხატვრო აკადემიური თეატრი (ყოფ. მცირე თეატრი). ამ თეატრს განზრახული აქვს საგასტროლოდ ეწვიოს საბჭოთა კავშირის მრავალ დიდმნიშვნელოვან ცენტრს, პირველი არჩევანი კი არგუნეს თბილისს.

ეს ბუნებრივიც არის, რადგან თბილისს საგანგებოთ ახასიათებს თეატრალური ხელოვნებით უსაზღვროდ გატაცება. მაგალითად შარშანაც პირველ სამხატვრო თეატრის საკავშირო ტურნეში პირველი ადგილი თბილისს ეჭირა, როგორც შემოსავლის, ისე საერთო დაინტერესების მხრივ.

ცხადია, თვით თბილისისთვისაც მნიშვნელობა აქვს, რომ პირველივე გასტროლები აქედან იწყება: პირდაპირ მთავარი რამპიდან გადმონაცვლებულ წარმოდგენებს შედარებით ისევ უნაკლოთ ექნებათ შენარჩუნებული თავიანთი პირველი სისრულე, დამუშავება და მხატვრულობა. აქ ნაკლებ ექნება ადგილი შორეულ მოგზაურობით ძალაუნებურად გამოწვეულ ტემპის შენელებას, დაქანცულობას და მობეზრებას.

რეპერტუარი შესდგება უმთავრესად ისტორიული და ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ პიესებიდან.

პირველ წარმოდგენათ წავა (2მაისს) დიკკენსის „ჭრიჭინა ღუმელზე“. შემდეგ ვახტანგოვის ერთი საუკეთესო დადგმათაგანი „ერიკ მე-14-ე“.

შემდეგ მიჰყვება ლესკოვის „გამფლანგველი“, რომლითაც იწყება თეატრის ახალი გზების გაკვლევა.

ამას მიჰყვება ვენკსტერნის „1825 წელში“, შექსპირის კომედია „მეთორმეტე ღამე“ და სხვანი.

აქ შერჩეულია ყველა ის წარმოდგენები, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს მოსკოვის აუდიტორიიდგან.

უმთავრეს სასცენო ძალებს წარმოადგენენ ბრომლეი, გიაცინტვა, სოლოვიოვა, დეიკუნი, ნველსკაია კუინჯი, აზანჩევსკი, ბერსენევი, მუზალევსკი, ვოლკოვი, მუზალევსკი და სხვანი.

დასი შესდგება 60 კაცისაგან და ტეხნიკური პერსონალისაგან, რომელიც გამოვა მოსკოვიდან 25 აპრილს. დეკორაციები გამოიგზავნება წინდაწინ 14 აპრილს. დასის მოგზაურობას ხელმძღვანელობს ი. ნ. ბერსენევი.

დ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **პლეხანოვის სახელობის კლუბში.** კვირას, 28 მარტს, ადგილობრივ დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ვინ არის დამნაშავე“.

◆ **ინაშვილის და ალეშკოს** მონაწილეობით, დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე ოპერა „ღალატი“.

◆ **ოვანეს თუმანიანის** გარდაცვალებიდან სამი წლის შესრულების გამო, დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება მოსაგონარი საღამო.

◆ **ჟანნა დიუკლო.** ძმ. ტანტების ცირკში დაიწყო მსახიობ ქალის ჟანნა დიუკლოს გასტროლები.

◆ **„დეზერტირკა“.** ხუთშაბათს, რუსთაველის თეატრში მე-27-ეთ მიდის „დეზერტირკა“.

◆ **„ძინა-ძაძუ“.** 25 მარტიდან, თბილისის კინოებში დაიწყება „„მეჟრაპომრუს“-ის სურათის „ძინა-ძაძუს“ ჩვენება.

◆ **„ჰამლეტი“.** შაბათს, რუსთაველის თეატრში უკანასკნელად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი“ მეორე შემადგენლობით.

◆ **„ვირის ჩრდილი“.** რუსთაველის თეატრში მზადდება წარმოსადგენად ფულდას კომედია „ვირის ჩრდილი“.

◆ **„განთავისუფლებული ამირანი“.** მხატვარმა მ. თოიძემ დახატა დიდი სურათი „განთავისუფლებული ამირანი“.

◆ **ტერ-დავითიანის კონცერტი** „ჰაიარტუნ“-ში გაიმართება 27 მარტს.

დღეს კინოებში

◆ **სოლეი**—„კირპიჩიკი“.

◆ **არფასტო**—„სისხლი და სული“.

◆ **მინიონი**—„კარდის ბედი“.

საბჭოთა სასამართლო

ელექტრონის გამწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა საქმე

მეოთხე სხდომა

გრძელდება **მოწმე ლეჟავას** დაკითხვა. სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა წესით სწარმოებდა „ემსის“ თანამშრომლებზე ავანსების გაცემა, მოწმემ განაცხადა: ბუხჰალტერია ადგენდა საავანსო სიას, რომელიც იგზავნებოდა სალაროში, საიდანაც თანამშრომლები ღებულობდენ ავანსებს. ასეთი სიების შედგენა ყოველთვიურად სწარმოებდა: ხშირი იყო შემთხვევა, რომ დღეში 4-5 მოთხოვნილების უწყებას ადგენდენ, რომლითაც ბრალდებული ბაქრაძე და ქავთარაძე ღებულობდენ ავანსებს 200 მანეთის რაოდენობით. ადმინისტრაცია ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა, ბუხჰალტერიას კონტროლს არავინ არ უწევდა. სულ მცირე დროს განმავლობაში ბრალდებულებს შინაურულათ გაუტანიათ 8.000 მანეთი.

მოწმე უნაფქოშვილი. („ემსის“ მომარაგების განყოფილების ყოფილი გამგე) მოუთხრობს სასამართლოს, რომ მას სმენია პირადათ აფანასიევისაგან („ემსის“ ყოფილი გამგე), რომ ბუხჰალტერიაში საქმე ცუდათ სდგასო, მაგრამ რაკი რევიზიას, რომელიც სწარმოებდა 1925 წლ. იანვარში არავითარი დეფექტები არ აღმოუჩენია, ამიტომ მას ამ გარემოებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

უნაფქოშვილს კომუნალურ ბანკში გახსნილი ჰქონია 10.000 მან. კრედიტი, რათა შეეძინა მომარაგების განყოფილებისათვის საჭირო მასალები. ამ თანხიდან ის ასესხებდა ხოლმე 2.000—3.000 მან. მატერიალურ ნაწილის გამგეს ბრალდებულ მელიავას, ელექტრონის სადგურებისათვის მასალების შესაძენად. მელიავა წაღებულ თანხას დაუგვიანებლივ აბრუნებდა.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, მოწმის კომპეტენციაში შედიოდა თუ არა მელიავას მიერ წარმოდგენილი საბუთების განხილვა, განაცხადა: არ შეადგენდა ჩემ მოვალეობასო.

მოწმემ განუმარტა სასამართლოს, რომ ბრალდებულ ბაქრაძისათვის მას სალაროდან უხელწერილოდ ფული არ გამოუტანია. იყო შემთხვევა ავანსების გატანისა, მაგრამ ბაქრაძეს აძლევდა სათანადო ხელწერილს.

ბრალდებული **ბაქრაძე** დაჟინებით აცხადებს, რომ უნაფქოშვილს სალაროდან წაღებული აქვს ავანსი უხელწერილოდ. ამ გარემოებას ასაბუთებს მით, რომ როდესაც ბაქრაძე დატუსაღებული იყო, უნაფქოშვილმა გაუგზავნა მას 60 მან. და ფაქტის დასადასტურებლად ასახელებს სამ მოწმეს.

ბაქრაძის დამცველი **ტატიშვილი** შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა ამ გარემოების დასადასტურებლად დაკითხული იქნეს სასამართლოს მიერ დამატებით ექვსი მოწმე. სასამართლომ დამცველის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

შემდეგ დაკითხული იქნა მოწმე **რამიშვილი, ინაშვილი, გავაშელი და სილაევი,** რომლებიც იმეორებდენ წინასწარი ძიების დროს მიცემულ ჩვენებებს.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

მოქ. სტებელიევის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბერიაშვილის თავმჯდომარეობით გაარჩია **გრიგორ სტებელიევის საქმე.**

სტებელიევს ბრალად ედება 5 წლის ბავშვის გაუპატიურების ცდა.

ერთ დღეს ბრალდებულმა თავის სახელოსნოში შეიტყუა მოფერებით მეზობლის ბავშვი ფენია შენკმანი, და მოინდომა მისი გაუპატიურება. შემჩნეული იქნა მოქ. ბაქრაძის მიერ და სტებელიევი დააპატიმრეს.

სასამართლოში მან თავი სცნო დამნაშავედ.

სასამართლომ ბრალდებულ სტებელიევს მიუსაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია*)

სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭოში სადგილ-მამულო დავის განხილვის წესისათვის.

ზოგადი დებულებანი

1. ყველა სადგილ-მამულო დავა, აგრეთვე ყველა დავა, რაც კი მიწათსარგებლობის უფლებას შეეხება, როგორც მაგ. ჯგუფურ ან სამარტოხელო მიწათსარგებლობას, საზოგადოებიდან მიწის გამოყოფას, სათემო მიწის გადანაწილებას და სხვ., გადაწყდება რაიონისა და მაზრის სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭოში.

შენიშვნა: სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიების შემოღებისთანავე, ამ კოლეგიებზე გადადის მაზრის სადგილ-მამულო კოლეგიების ყველა ის ფუნქცია, რაც კი გათვალისწინებულია მიწის კოდექსით.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქ. სამ. საპროც. კოდექსში აღნიშნული სამოქალაქო პროცესის წესი სავალდებულოა სადგილ-მამულო სასამართლო ორგანოებისათვის იმ გამონაკლისით, რაც მიწის კოდექსის 161—166 მუხლებით არის დაწესებული.

3. სადგილ-მამულო სასამართლო ორგანო, როდესაც იგი პირველი ინსტანციის სახით მოქმედობს საქმეს საჯარო სხდომაზე განიხილავს მხარეთა დაბარებით. ამასთანავე მხარის გამოუცხადებლობა, თუ კი მან თავის დროზე მიიღო უწყება, საქმის განხილვას ვერ შეაჩერებს.

4. მაზრის სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებსა და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭოში, როდესაც ისინი მოქმედებენ მეორე ინსტანციის სასამართლოს სახით, საქმე მხარეთა საჩივრის გამო გაირჩევა მხარეთა დაუბარებლად, მაგრამ ამასთანავე განსახილველად დანიშნულ საქმეების სია მხარეთა საცნობლად უნდა გამოიკიდოს მაზრის სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიების შენობაში ორი კვირით ადრე მაინც სასამართლოს სხდომამდე, ხოლო სადგილ-მამულო საბჭოს შენობაში—ერთი კვირით ადრე სასამართლოს სხდომამდე.

ამას გარდა, მაზრის სასამართლო კოლეგია საქმეების სიას გაუგზავნის სათანადო თემის ალმასკომს, იმ ვარაუდით, რომ იგი თემის ალმასკომის შენობაში გამოიკიდოს ორი კვირით ადრე მაინც სასამართლოს სხდომამდე.

5. რაიონისა და მაზრის სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებთან განწესებულია მდივანი, რომელიც განაგებს კანცელარიას სახალხო მოსამართლის საერთო ხელმძღვანელობით. კოლეგიის კანცელარია მოთავსებულია სახალხო სასამართლოს კანცელარიასთან.

6. უკეთუ უმაღლესი სადგილ-მამულო ორგანო სცნობს, რომ საჩივარი საფუძვლიანია, გააუქმებს გადაწყვეტილებას სრულიად ან ნაწილობრივ და საქმეს დააბრუნებს ხელახალ გასარჩევად. ამასთანავე აღნიშნავს კანონის რომელი მუხლია დარღვეული პირველი ინსტანციის სადგილ-მამულო სასამართლოს ორგანოს მიერ განხილვის დროს.

უმაღლეს ინსტანციას შეუძლიან თვითვე შესცვალოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, საქმის ხელახალი გარჩევისათვის გადაუცემლად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ესა თუ ის კანონი სწორად არ არის შეფარდებული და უკეთუ ამით გადაწყვეტილება არსებითად არ შეიცვლება.

7. კანონიერ ძალაში შესული სადგილ-მამულო სასამართლო ორგანოს გადაწყვეტილება ისეთ საჩივარზე, რაც მიწათმოწყობის წესით არის აღძრული, და მთლად წარმოებული საქმე გაეგზავნება აღსასრულებლად სათანადო მაზრის სადგილ-მამულო განყოფილებას; ხოლო გადაწყვეტილება ყველა სხვა სადგილ-მამულო დავის გამო, რაც აღძრულია მიწათმოწყობის წესის გარეშე, სისრულეში მოიყვანება საერთო წესით მხარეთა თხოვნისამებრ.

8. ისეთი გადაწყვეტილების აღსრულებით გამოწვეულ ხარჯს, რაც მიწათმოწყობის წესის გარეშე აღძრულ სადგილ-მამულო დავის გამო იქნება გამოტანილი (დღიური, გზის ხარჯი, მუშების დაქირავება და სხვ.), გადაიხდის ესა თუ ის მხარე, თანახმად სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის დადგენილებისა საერთო წესისამებრ.

სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია

9. სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია იმოქმედებს სათანადო სახ. სასამართლოს უბნის ფარგლებში და გაარჩევს ყველა იმ საქმეს, რაც აღნიშნული უბნის ფარგლებში მდებარე მიწებსა და ამ მიწების სარგებლობას შეეხება.

10. სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში თავმჯდომარეობს სახალხო მოსამართლე, ხოლო წევრებად არიან: პირველი—იმ თემის ალმასკომის სასოფ.-სამეურნეო სექციის თავმჯდომარე, რომლის ფარგლებშიაც სადავო მიწა მდებარეობს და მეორე—ამავე ალმასკომის მიერ წევრად დანიშნული პირი.

11. კოლეგიის კანცელარიაში საქმის წარმოება ისეთივეა, რაც სახ. სასამართლოში.

12. სახალხო მოსამართლე სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის სხდომას დანიშნავს საჭიროების დამიხედვით.

13. მიწისმზომელ-მიწათმომწყობი წარუდგენს სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას ყველა იმ სადავო პროექტს, რაც კი მიწათმოწყობას შეეხება.

14. უკეთუ სარაიონო სადგილ-მამულო კოლეგია იხილავს მიწისმზომლის მიერ წარდგენილ ისეთ სადავო პროექტს, რაც მიწათმოწყობას შეეხება, ან და მიწათმოწყობის ნიადაგზე აღძრულ სადაო საქმეს ამ შემთხვევაში მიწისმზომლის მონაწილეობა საქმის განხილვაში სავალდებულოა.

სხვა დანარჩენი საქმის გარჩევის დროს სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას შეუძლიან მიიწვიოს მიწისმზომელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამას ერთ-ერთი მოდავე მხარე მოითხოვს და ისიც იმ პირობით, უკეთუ აღნიშნული მხარე თავის დროზე წარადგენს, სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის დადგენილების თანახმად, მიწისმზომლის მიწვევისათვის საჭირო ფულს (საგზაო და დღიურს).

15. უკმაყოფილო მხარეს შეუძლიან სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება განასაჩივროს სამაზრო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში ორი კვირის განმავლობაში დღიდან გადაწყვეტილების გამოცხადებისა.

საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში, რომელმაც ეს საქმე გადასწყვიტა.

16. სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია შეტანილ საჩივარს და მთლად წარმოებულ საქმეს გაუგზავნის სამაზრო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას არა უგვიანეს სამი დღისა ამ საჩივრის მიღებიდან.

სამაზრო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია

17. სამაზრო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას შეადგენენ: მაზრის ალმასკომის სადგილ-მამულო ქვე-განყოფილების გამგე, ადგილობრივი მაზრის ალმასკომის წარმომადგენელი და ოლქის სასამართლოს რწმუნებული სახალხო მოსამართლე. ამ უკანასკნელის თავმჯდომარეობით. ოლქის სასამართლოს რწმუნ. სახ. მოსამართლე, ერთსა და იმავე დროს, თავმჯდომარეობას ეწევა სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაშიც, რომელიც მოქმედობს სათანადო სახალ. სასამართლო უბნის ფარგლებში; ამიტომ, უკეთუ სამაზრო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია მეორე ინსტანციის სახით იხილავს საჩივარს სარაიონო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის ისეთ გადაწყვეტილებაზე. რომლის გამოტანის დროსაც ამ კოლეგიაში თავმჯდომარეობდა ოლქის სასამართლოს რწმუნებული სახალხო მოსამართლე, ამ შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობას სამაზრო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში შეასრულებს ამავე მაზრის ერთ-ერთი სახალხო მოსამართლე.

18. სამაზრო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის სხდომებს დანიშნავს ოლქის სასამართლოს რწმუნებული სახალხო მოსამართლე.

19. სამაზრო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია თავის სხდომებს მოაწყობს ოლქის სასამართლოს რწმუნებული სახალხო მოსამართლის სხდომის დარბაზში.

20 სამაზრო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის სხდომებს დაესწრება მიწისმზომელ-მიწათმომწყობი, რომელიც კოლეგიის მოთხოვნით მისცემს განსახილველ საქმეზე საჭირო ცნობებს.

21. პირველ ინსტანციის სახით მომქმედი სამაზრო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილების განსაჩივრება შეიძლება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭოში ამა ინსტრუქციის მე-13 მუხ. აღნიშნულ ვადაზე და წესით.

22. სამაზრო სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია შეტანილ საჩივარს და მთლად წარმოებულ საქმეს გაუგზავნის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭოს, არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღებიდან.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭო

23. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭოს შეადგენენ: მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე იუსტიციის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების გამგე, პირველი ამათგანის თავმჯდომარეობით. სადგილ-მამულო საბჭოსთან განწესებულია მდივანი და საქმის მწარმოებელი.

24. სადგილ-მამულო საბჭოს სხდომებს დანიშნავს მისი თავმჯდომარე საჭიროებისამებრ.

25. სადგილ-მამულო საბჭოში მომხსენებლად ყველა იმ საკითხზე, რაც კი მიწათმოწყობის სადაო პროექტებს შეეხება, არის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების გამგე, ხოლო სხვა დანარჩენ საქმეებზე—იუსტ. სახ. კომის. წარმომადგენელი.

26. საჩივარი პირველი ინსტანციის სახით მომქმედ სადგილ-მამულო საბჭოს გადაწყვეტილებაზე შეიტანება ერთი დღის ვადაზე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ამა ინსტრუქციის მე-13 მუხლში აღნიშნულ წესისამებრ.

27. სადგილ-მამულო სასამართლო ორგანოები სასამართლოს ბაჟსა და საკანცელარიო გამოსაღებს ახდევინებენ იუსტ. სახ. კომის., მიწათმოქმედების სახკომის., ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახ. კომ. რწმუნებულისა და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომ. რწმუნებულის მიერ „სასამართლო ბაჟისა და საკანცელარიო გამოსაღების გადახდევინების წესისათვის“ გამოცემული ინსტრუქციის თანახმად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. მარტის 6.

---

*) იხ. დეკრეტი № 13 საქ. ცაკისა და სახ კომ. საბჭოსი, „კომუნისტი“ № 60.

იურიდიული რჩევა-დარიგება

ბინის ქირის შესახებ.

კითხვა

ვარ ერთ-ერთი გაზეთის თანამშრომელი. ვღებულობ ჯამაგირს პერსონალური განაკვეთით 90 მანეთს თვეში. მიჭირავს ბინა, ზომით 98,5 კვ. არშინი, ვცხოვრობთ ამ ბინაში სამი ოჯახი.

გთხოვთ მიპასუხოთ—თვიურად რამდენი უნდა ვიხადო ბინის ქირა.

ან. პარკაძე.

პასუხი

თანახმად მოქმედ საბინ. ტარიფის § 5-სა, თქვენ, როგორც ინდივიდუალური განაკვეთით ხელფასის მიმღები, საცხოვრებელ მოედნის თვითეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ხუთ კაპეიკს.

გვაქვს თუ არა უფლება მოვითხოვოთ სპეცტანისამოსები?

კითხვა

ჩვენ ვმუშაობთ ქალაქის ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულებაში. სამი თვის [illegible] სპეცფეხსაცმელები. ყველა ესენი გამოდგა [illegible] დროზე ადრე გაცვდა.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, გვაქვს თუ არა უფლება მოვითხოვოთ ახალი სპეცტანისამოსი და სპეცფეხსაცმელები.

დარაჯ. პეტრე და კოსტა ჯი—ვები.

პასუხი:

თანახმად ა.-კ. შრომის სახკომატის 1923 წლის 21 ივლისის დადგენილება № 112-ისა, ზემოაღნიშნული სპეცსაგნების გამოცვლა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მიერ დადასტურებული იქნება სპეცტანისამოსის სრულიად უვარგისობა სახმარებლად.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს 24 მარტს, საღამოს 6 საათ., ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება **საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.** დასწრება ქვემოდ აღნიშნულ ამხანაგებისა სავალდებულოა: ლოლობერიძე, მაშკევიჩი, ხუნდაძე, ლიცინოვი, ბახტაძე (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.); ა. ჯაფარიძე, მირიმანოვი, ხაცკევიჩი, ჯავახია და გაბუნია (ს. კ. პ. (ბ) ც. კ. ინსტრუქტორები); ჯაფარიძე ვ. (ც. კ. ქალთა განყ.); ინსტრუქტორები ქალთა განყ. (ს. კ. პ. (ც. კ.)—გიორგაძე და ჩერქეზიშვილი; მუშიშვილი (ს. კ. პ. (ც. კ.); სვანიძე (ს. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტი); მურავიოვი, მელნიკოვი (საქ. კ. პ. (ბ) კ. საკ.); ხუხუა, ცაბაძე და შოგირაძე (ინსტრუქტორები საკ. კ. პ. (ბ) კ. საკ.); გოგლიძე (ა.-კ. საგ. კომ. სანაპირო რაზმი); კარსაველი (ს. პ. ლ. კ. კ. (ც. კ.); მარქაროვი (ქართ. დივიზია); პეტროვი (კ. წ.-დრ. პოლიტ. მმართვ.); აფციაური (შინ. სახ. კომისარიატი) და ფანცხავა (ს. პ. კ. ს).

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საორგანიზაციო განყ. მდივანი **პ. ცაგარელი.**

ხუთშაბათს, 25 მარტს, დღის 12 საათზე თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის კოოპერატიული კომისიის სხდომა.**

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის კოოპერატიული კომისიის ყველა წევრები და აგრეთვე შემდეგი ამხანაგები: ერქომაიშვილი, ტოროშელიძე, ცომაია (დამზღვევი სალარო), დუმბაძე (კომუნალური ბანკი), კაკაბაძე (წარმოკავშირი), მელნიჩარსკი (მუშკოოპი) და ფანცულაია (მე-2-ე რაიკომი).

კომისიის თავმჯდ. **ნ. სვანიძე.**

დღეს 24 მარტს, საღამოს 8 საათზე, რემედასის თბილის. კომიტეტის ბინაზე (სასახლის ქ., № 5) მოწვეულია **რემედასის თბ. კ. პრეზიდიუმის სხდომა.** დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: ასრიბეკოვი, გიკ, ჯიჯაძე, ნაცვლიშვილი, ალიხანოვი, არაზაშვილი, გენიალიძე, მუმულაძე, ხომერიკი და ბელიაევი.

რემედასის თბილისის კომიტეტის მდივანი—**მშველიძე.**

ოთხშაბათს, 24 მარტს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის საბჭოთა უჯრედების ბიუროების კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1) საქ. განათლების სახალხო კომისარიატის, ფინსახკომის და ა.-კ. სახელ. სავაჭრო საპაიო ამხანაგობის უჯრედთა ანგარიშები.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი: **გობეჯიშვილი.**

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 24 მარტს, საღამოს 5½ საათზე რაიკომის ბინაზე (პლეხ. № 96) შესდგება მე-2 რაიონის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების თათბირი.

სარედაქციო კოლეგიების წევრები აუცილებლად უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

მდივანი: **ფანცულაია.**

ღრმათ დამწუხრებული დედა ნინუცა (ნინა) ჯაფარიძე, ძმა ჟორჟიკა ჯაფარიძე, ბებია პელაგია საყვარელიძისა, და დები—სონიჩკა და ვერიჩკა აუწყებენ თავიანთ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 22 მარტს დილით მათი საყვარელი

მიხეილ ჯაფარიძე

სამოქალაქო პანაშვიდი 24 მარტს 6 საათზე, დასაფლავება 25 მარტს 5 საათზე 1—1 ქვ. 1950

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მამა გურგენ და დედა ტასია; მეუღლე ვალერია (ბაბუცა), დები; ალექსანდრა, ელენა, ტატიანა; ძმები შალიკო და ლევანი ბერიშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 19 მარტს ტრაგიკულად დაიღუპა მათთვის უძვირფასესი და საყვარელი

კოზმა (კოლია) გურგენის ძე ბერიშვილი

რომლის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს ქალ. თბილისში 25 მარტს ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება რკინისგზის საავადმყოფოდან. 1—1 1952

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრე ნესტორის ძე და შვილი ფრიდონ ბახტაძეები, მამა ანდრია ალექსის ძე, დედა ნოლინა ოქროპირის ასული, დები ზინა, ცაცო ნადია და ძმა დავით კაპანაძეები, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 26 მარტს დღით, პარასკევს, საღამოს 5 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უსაყვარლესი და დაუვიწყარი

თამარა კაპანაძის ასულის ბახტაძის

ნ. 947 გარდაცვალების მეორმოცე დღის აღსანიშნავად 1—1

აპოლო არტისტიკო სოლეი

პრემიერა ამერიკის პოპულიარულ მსახიობ ქალის **გლორია სვენსონის** მონაწილეობით

„მისი ქმარი“

მსოფლიო რეჟისორის **მილტონ სილსის** დადგმა. სოლოს ვიოლონზე შეასრულებს **მალუნცევი.**

საუკეთესო სურათი

რუდოლფ ვალენტინოს მონაწილეობით

„სისხლი და მტვერი“

ახალი ამ სეზონში

„КИРПИЧИКИ“

პროგრამის გარეშე სენსაც. კომედია

„ШАХМАТНАЯ ГОРЯЧКА“

ანონსი 30 მარტს, „ნათელა“.

0—17 ნ. 864

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

50—30

ექიმი არსენ ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.

(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35

25—11

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 25 მარტს,

დეზერტირკა

შაბათს, 27 მარტს,

ჰამლეტ

მე-2 შემადგენლობა. უკანასკნელად ამ სეზონში

ნ. 945 3—2

სახელმწიფო ოპერა

ცნობილ ბანის

გრიგორი პიროგოვის

გასტროლები

ხუთშაბათს, 25 მარტს, **„ბორის გოდუნოვი“**

შაბათს, 27 მარტს, **„ფ ა უ ს ტ ი“**

სამშაბათს, 30 მარტს, **„თავადი იგორი“**

ბილეთები, რომელიც აღებულია 23-ს, 25 და 27 მარტისათვის, გამოდგება 25, 27 და 30 მარტსაც.

ნ. 950 3—1

სახელმწიფო ოპერა

ოთხშაბათს, 24 მარტს.

სანდრო ინაშვილის გასტროლი

ღ ა ლ ა ტ ი

ხუთშაბათს, 25 მარტს, გრიგორი პიროგოვის გასტ. **„ბორის გოდუნოვი“**

პარასკევს, 26 მარტს, სანდრო ინაშვილის გასტ. **„სევილიელი დალაქი“**

შაბათს, 27 მარტს. პიროგოვის გასტროლი **„ფ ა უ ს ტ ი“**

კვირას, 28 მარტს, სანდრო ინაშვილის გასტ. **„რიგოლეტო“**

ნ. 951 1—1

ხვალ, 25 მარტს

საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში

გაიხსნება

„ზაკსლოიუზის“

რწმუნებულთა მე-2 კრება

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

1—1 ქვ. 1946 „ზაკლოიუზის“ გამგეობა

შინამრეწველ-ხელოსანთა საზოგადოება

აცნობებს თავის წევრებს, რომ

საზოგადოების წევრების წმენდა გათავდება ა. წ. 31 მარტს,

წევრები რომელნიც ამ დროსთვის არ გაივლიან წმენდაში, ჩაითვლებიან მექანიკურად გამორიცხულებათ. მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ რაიმე წევრების საწინააღმდეგო ცნობები უნდა აცნობონ წერილობით გამწმენდ კომისიას

1—1 ნ. 952 **გამგეობა**

თბილისის საბინაო სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა

„ვაკე“

ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ სახლების აშენება დაიწყება კავშირის ქუჩიდან ავალიანის ქუჩამდე და ზევით ნაკვეთები №№ 1—41); ამ ფარგლებში ნაკვეთს მიიღებენ მხოლოდ ის წევრნი, ვინც მომავალ აპრილის 1-დე შემოიტანენ სააღმშენებლო თანხას 500 მან. რაოდენობით სათანადო სესხის მისაღებათ და შენობის დასაწყებათ; ის წევრნი, რომელთათვისაც ნავარაუდევი იყო ნაკვეთის მიცემა აღნიშნულ ფარგლებში და რომელნიც 1 აპრილამდე არ შემოიტანენ 500 მან., ჰკარგავენ უფლებას ამ რაიონში (№№ 1-41) ნაკვეთის მიღებაზე და მიმდინარე წელში სესხის მიღებაზედაც; მათ ნაკვეთები მიეცემათ მომავალში აღნიშნულ რაიონის გარეშე

1—1 ქ. 1953 **გამგეობა**

ქუთაისის პირველი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში გელათის ქუჩაზე სახლი № 10 დანიშნულია 29 მარტს 1926 წ. დილის 12 საათზე **მეორე საჯარო ვაჭრობა** მანუახ იაკობიშვილის ქონების: ბუფეთის შკაფის შეფასებულის 50 მან. ტანისამოსის შკაფის 60 მან., მარმარილოს პირსაბნის 50 მან., კომოდის 20 მან., მაგიდის 25 მან. და სალამურის შკაფის 10 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან, შაქრის ტრესტის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. 1-1 ნ. 948

მედიცინის დოქტორი
ზ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექიმი ი. ი. ჭიჭიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავ რის ქუჩა).
25—7

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—19

ექ. ი. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—13

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ, საღამოს 5-დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად
22—17

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 3.
25—8

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი.
ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზ.) № 33. მიიღებს ავადმყოფებს.
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—17

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ, საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—22

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—25

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.
ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა) 49. ტელ. 4—82
25—13

დოქტორი გ. მებრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზით პნეიმოტორაკსის და ტუბერკულიოზის, რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 სალ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.
25—25

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი
მიღება საღ. 3—6, **საბჭოთა** (ყოფილი ჩერქეზიშვილის) ქუჩა № 22.
25—20

პროფ. გრ. მუხაძემ
ავადმყოფობის შემდეგ განახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწარმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77.
25—7

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ.
ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—12

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—11

ექ. ვასილი ნიკიფორესძე
ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: საბჭოთა (ყოფ ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—11

დაკარგა მატრიკული მიცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან თამარ ყანჩელის სახელზე, ჩ. გ. 1944 1—1

დაკარგა მედსანშრომის კავშირის საწევრო წიგნაკი № 3523 ვერა სანაძის სახელზე, ჩ. გ. 1943 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა უვადო ვლადიმერ ევტიხის ძე ახალაძის სახელზე, ჩ. გ. 1942 1—1

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ალექსანდრე თომას ძე ფრუიძის სახელზე, ჩ. გ. 1949 1—1

დაკარგა თბილისის ქალაქის ლომბარდის ქვითარი № 22046 ჩ. გ. 1948 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა ბორის ტემბალატოვის ძე სჩამკოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 953 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა მიხეილ ალექსანდრეს ძე გაბისონვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 953 1—1

დაკარგა სალექციო წიგნაკი № 2073 ნადია სადრაძის სახელზე, ჩ. გ. 1947 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 356 შალვა მარგველაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 953 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 2040 კოსტა ჩიხლაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 953 1—1

დაკარგა თამასუქი ხუთასი მანეთის ხელმოწერილი გერასიმე დავითის ძე ნაცვლიშვილის და მოსე დავითის ძე ბერძენიშვილის მიერ სამტრედიის საურთიერთო ნდობის ბანკის შტამპით, სიმონ იორდანეს ძე გეგეჭკორის სახელზე, ჩ. გ. 1951 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68

ტირაჟი—25.543